

№3. 2020 ♀.

იალტა

## აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო



საიმ „კულტურის, სპორტისა და  
ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო“



**იუსტიცია** - შემასწოდით-ციტების შემსრულებელი უფროსი უძღვისთვის  
დაარსებულია 1996 წელს



**აფხომი** - აონა-ახაბელი ყველაზე პატარისტის  
დაარსებულია 2010 წელს

„სააგენტოს“ დირექტორი **ლიანა კვარაცხელია**

რედაქტორი **ნანა ჭავჭავაძე**

მხატვრული რედაქტორი **ნუნე ჯავახიძე**

მხატვარი, პასუხისმგებელი მდივანი  
დიზაინი, დაკაბადონება **ვახტანგ ზეჩარაძე**

### რას წაიკითხავთ „იალქანში“?!

ვაკრძელებულ ერებულ II-ის ფარაფერის  
300 წლისთვის დაკავშირებული  
ჰუნტიკარენის გამოქვეყნებას. მეოთხეული  
ამჟრადას გაერინება თელავის ისტორიული  
მუზეუმის ლვანელმოსილი მესრიუ-მუშავის  
ლიანა თანამდებობის ნერილს. იშვიათ  
საარქივო ქადაგებზე ფარიზნორით –  
"ერებულ II უქოლეოთა ჩანაწერებში".  
სახელმწიფო გვირგვინოსანიე  
ნაკითხავთ სხვა მნიშვნელოვან  
მასალებსაც.

გვ. 7; 20; 39; 52

რუბრიკით "ჩემთანა საქართველოს  
ვეძებ" ინტერესი იტალიელი ფრანჩესკო  
ტრეჩის შთამცემული ნერილი. სავანგერო  
"ალქნისთვის" გამოგზავნილი. როგორს  
ავტორი ამბობს, მას უკანს "ქვეყნას"  
რომელიც ლმერთს თავისთვის უხდოთ  
(ეს ზაფონი ტრეჩის საქართველოსადმი  
შიძლვნილი ერთ-ერთი ნიგნის სათაურია) ფა  
სადაც თავს ისე გრძნობა, როგორ  
სახლში.

გვ. 12

ტექნიკური უნივერსიტეტის  
პროფესორმა, წონილმა პუბლიუსტემა და  
ნოვაციონმა გიგლა გორგეჩიძე შემოგვთავაზა  
რამდენიმე საინტერესო ფრავენტი  
გამოსაუმჯობესო მისი მომავალი  
ნიგნილი "1001 ქართული ხასიათის  
ქრონიკა". ავტორი ამ ამონარიცებით  
გვასესენმა, რომ იმი შერინდახოვან  
ერთად ხანდახან სხვა  
ფერნილებად.

გვ. 26

### საგამომცემლო ჯგუფი:

გიგლა გორგეჩიძე, ნინო ვახანია, ზაურ კალაძე, სალომე კაპანაძე, დავით კობაძე, ნატო კორსანტია, ნუნე გვარებული, რომანე ნიშარაძე, გურამ პეტრიაშვილი, ოთარ ურდანია, ვენერა რურუა, პაატა ძურდოვანიძე, გელა ჩქვანავა, სოსო ჭუმაშვილი.



ურნალი გამოცის აფხაზეთის ა. რ. მთავრობისა და  
უმაღლესი საბჭოს მხარისაჭრით



## ქეთევან იაშვილი – ქალპატონი, რომელსაც უნდა იწინობდეს ქართველი ერი

ასე ინება უფალმა:

გამოარჩია ისეთი უანგარობით, რომ მისი დრო სამუდამოდ განივრცო სამივე განზომილებაში. აკეთილშობილებდა, აძლიერებდა თითოეულ დღეს სიფაქიზით, სიყვარულით. ამ ნიჭს ისეთი ფუფუნებით ფლობდა და მთელი ცხოვრება ინარჩუნებდა სიმაღლის იმ ნიშას, საიდანაც ყველაფერი მდიდრულად და თავპრუდამხვევად მოჩანდა.

**ქალპატონ ქეთევან იაშვილზე მოგახსენებთ.**

ბევრს, სავარაუდოდ, არც გაგიგიათ მის შესახებ, მაგრამ საზოგადოება, ქართველი ხალხი უნდა იცნობდეს ერის წინაშე ამ ვალმოხდილ პიროვნებას.

„ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ჩემი ხალხის ფიზიკურ მშვენიერებას ვემსახურები. მიზნად დავისახე, ანგარიში გამენია მისი სულიერი სიფაქიზისთვის... ვეძებდი ხელოვნების შესანიშნავ ქმნილებებს, რომლებიც შემდეგ ჩემს ხალხს, ერს, ჩემს სამშობლოს ვუძლევენი“, – ეს თელაველი საზოგადო მოღვაწის, ცნობილი მეცენატისა და კოლექციონერის ქეთევან იაშვილის სიტყვებია, რომელიც მან გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე დაწერა.

ქეთევან იაშვილი დაიბადა თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ შალაურში, 1883 წლის 23 აპრილს, თავად მერაბ იაშვილის ოჯახში. თელავის წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლის დამთავრებისთანავე გაემგზავრა ხარკოვში, სადაც ფარმაციის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ცოტა ხანს პროვიზორად იმუშავა თელავში. 1930-იან წლებში კი ახალ პროფესიას – კოსმეტოლოგიას დაეუფლა (სასწავლო კურსი გაიარა სანკტ-პეტერბურგში). სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა თბილისში, საკუთარ ბინაში გახსნილ კოსმეტოლოგიურ კაბინეტში.

დალხენილი ცხოვრება არ ჰქონია (პირველი მეუღლე ადრევე გარდა აცვალა, აყვანილი გოგონაც გამოეცალა ხელიდან, მეორე ქორწინებაც უიღბლო აღმოჩნდა), მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ყველასა და ყველაფერზე აღმატებული სიკეთე ამხნევებდა.

ქალპატონმა ქეთევანმა, რა ხანია, დატოვა ეს წუთისოფელი და უკვე დღეს აცნობიერებს მადლიერი ქართველი, როგორ უყვარდა და როგორ აპედინერებდა ირგვლივ მყოფთ. ეს იყო კეთილშობილი ლვანლი, რომელსაც შეეჭიდა.

ყველაფერი კი დაიწყო იმით, რომ მეცენატმა და ქველმოქმედმა ქეთევან იაშვილმა, ადრეული ასაკიდანვე გადაწყვიტა საკუთარი სახსრებით ხელოვნების უნიკალური ნიმუშების, ფერწერული ტილოების შეძენა. ასე მოიყარა თავი მის უმდიდრეს კოლექციაში XVII-XVIII-XIX ს.ს.-ის დასავლეთ ევროპის გამორჩეულ მხატვართა ნაწარმოებებმა; აგრეთვე, XIX-XX ს.ს.-ის ქართული და რუსული ცნობილი სკოლების წარმომადგენელთა საუკეთესო ნიმუშებმა. მისი ბინის კოლექციას 200-მდე ფერწერული ტილო ამშვენებდა.

„მთელს ამ სურათებს, რომელიც ჩემი შრომით მაქვს შეძენილი და რომლებიც შვილებივით მიყვარს, გადაუცემ სამშობლოს, სადაც დავისადე, გავიზარდე – ჩემს სათაყვანებელ მშობლიურ ქალაქ თელავს, მის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. დაე, ჩემი სიკვდილის შემდეგ მადლიერმა მნახველმა თქვას, ამ ქალს ფუჭად არ გაუტარებია თავისი სიცოცხლე“, – ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ შეუძლებელია, უდიდესი მოწინება არ დაგეუფლოს, მართლაც რომ, სხივმოსილი ქალპატონის მიმართ.

ქეთევან იაშვილი გარდაიცვალა 40 წლის წინათ, 1980 წელს, 97 წლის ასაკში. ანდერძისამებრ, მსოფლიო დონის ყველა შედევრი უკლებლივ გადაეცა თელავის ისტორიულ მუზეუმს. საპატიო თელაველის – ქეთევან იაშვილის ერთადერთი სათხოვარი თანაქალაქელებისადმი ის იყო, რომ სამუდამო განსასვენებელი მიეჩინათ მუზეუმის ეზოში, მის მიერ რუდუნებით შეგროვილი მხატვრული ტილოების სიახლოვეს.

„400 მილიონ ლარზე მეტიც კი ღირს ის საგანძურო, რაც ქეთევან იაშვილმა საქართველოს დაუტოვა“, – აღნიშნა ფოტოხელოვანმა გოგა ჩანადირმა.



ქეთევან იაშვილი



პროცესის ოსტატის, გამორჩეული სტანდის მწერლის ოთარ ჩხეიძის შემოქმედებას კარგად იცნობს ქართველი მყითხველი. მისი სიტყვა საოცრად ცოცხალია, მფეთქავი; კითხულობ, ულრიმავლები და მთელი სისაუსით შეიგრძნობ მალეიან ქართულ ენას; თუ უბრალო გადამჟითხველი არ ხარ, როცა ბოლომდე მიჰყვები მწერლის ხმას, იგრძნობ, როგორი ახლობელი, შენეულია მის მიერ დახატული სამყარო.

თითქოს შენც ნაწილი ხარ თხრობისა, ამავე დროს, შენც ეხვევი მშობლიური სიტყვის სურნელში.

„შემოზამთრებას“, ოთარ ჩხეიძის მოთხოვნას ციყლიდან „ჩემი სოფლის ეტიულები“, რომელიც მწერლის სახელოვანმა შვილმა როსტომ ჩხეიძემ საგანგებოდ შევირჩია „იალქნისთვის“, დარწმუნებული ვართ, თბილად მიიღებს მყითხველი.

ოთარ ჩხეიძეს, ფილ ქართველ კლასიკოსს, წელს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდებოდა.

## შემოზამთრება

### ოთარ ჩხეიძე

სოფლის ნაპირას აივანმოძველებული, ორსართულიანი ქვითკირის სახლი ყოველთვის უხმაურო და მინაბული მოჩანდა. მაგრამ ზოგჯერ ქარი ააჭრიალებდა აივნის ოდნავ მოღრუცილ, ლაქებადასულ ბოძებს, ფოთოლგაცვენილი ვერხვნი აბუბუნდებოდნენ და თითქოს დაფუტუროებულ კარებს გამოაღებდა მოხუცი ქალი, წაცახცახდებოდა შერყეულ აივანზე, ყავარაცვენილ სახურავს გახედავდა სევდიანი თუ შეშინებული თვალით და უკუიქცეოდა. ერთადერთი ინდაური რობროხით შესტებოდა კიბეზე და უკან დაედევნებოდა. ალერსით დაუტატანებდა მოხუცი, ცომს ჩამოუტანდა, პეშვით აჭმევდა, მეორე ხელს თავზე უსვამდა და კბილებით ეჭირა შალი, რომლის ბოლოებს ქარი უფრიალებდა.

მართლაც მხოლოდ ქარი თუ გამოაცოცხლებდა იმ სახლს, სახურავიდან ყავარს აფხრენდა და ხილნარში გაიტაცებდა, ჩამშრალი რუებიდან გამხმარ ფოთოლებს წამოკრეფდა და აივანზე გადაყრიდა. მაშინ ცოცხს გამოიტანდა მოხუცი, ბევრგან ფიცარჩავარდნილ თუ ჩამომტვრეულ აივანსა გვიდა და თანაც ბუტბუტებდა. ოლონდ, ვინ იცის, რასა ბუტბუტებდა, წყრომისა თუ იყო, ან მოგონებისა.

ხან რომელიმე ნამონაფართავანი ეახლებოდა, ძლვენს მიართმევდა და მალევე გაეშურებოდა. თვალს გაადევნებდა მოხუცი ქალი და მისი მადლიანი სახე ისევე სევდიანდებოდა, როგორც მშრალი დღეები შემოზამთრებისას.

ციონდა. სციონდა მარტოხელა მოხუცსა. მისი ბუხრიდან კვამლი არ ამოდიოდა. დილაობით ლობის ძირებში კინანებს\* თუ გამოამტვრევდა, შეჭამანდის გასათბობად ააპრიალებდა, მაგრამ მოხუცის ერთი თუ, თუნდაც, რამდენიმე ხელეური\*\* ჩინჩხვარის\*\*\* ბოლი ბუხრის თავამდისაც ვერ ააღწევდა.

ასე გვეგონა. ასეც იყო...

და ხან ვინ, ხანაც ვინ მიაგდებოდა ნაჯახით ხელში ან ლატნებით ილლიაში. მაგრამ ეს ხანდახან იყო, ვისაც როდის გაახსენდებოდა, ვისაც როდის მოესურვებოდა, ვისაც როდის აუჩვილდებოდა ან მოუთბებოდა გული. და უფრო მეტად სციონდა, სციონდა.

ერთ დილას ნაჯახს მეც ავუწყე პირი; პო, პირი ავუწყე და ვეახლე ძველ მასწავლებელს. მან სინანულით გადმომხედა და უსასოდ გადაავლო თვალი ეზოს: იქ დასაპობი ალარაფერი იყო. მაშინ ვერხვები შევათვალიერე. ხელები გაატატანა მოხუცმა ქალმა:





– ნუ, ნუ!.. ვერხვებს ხელს ნუ ახლებ, შენი ჭირიმე, ჩემი ქმრის დარგულია. სხვა აღარაფერი შემრჩენია იმისი ნახელავი.

– ხმელ ტოტებს შევაჭრო...

– არა, არა!.. ცულს ნუ მიაკარებ, ხმელს თვითონვე ჩამოიყრის. რაც მეტი იქნება, თვითონვე მოიცილებს, ნუ შეაწუხებ, ცულს ნუ მიაკარებ! – ჩქროლვით იძახდა მოხუცი ქალი, ბებრული სიმკვირცხლით მოესწრაფოდა ხელებგანვდილი. თითქოს არა სჯეროდა, რომ სიტყვა შემაყოვნებდა.

შემეცოდა შეშფოთებული ქალი. ნათლისმცემლის ეკლესიის ცაცხვებისაკენ წავემართე და ახლა უფრო აცახცახდა.

– ისევ აქა, ისევ აქა, შენ შემოგვლე. ოღონდ გაარჩევ კი ხმელსა და ნედლსა? ფოთოლი შემოძარცვია, გაარჩევ? არ შეცდე, ნედლს ჭრილობა არ მიაყენო...

ჩავიცინე, რას არ გავარჩევ-მეთქი, მაგრამ ვიდრე ვერხვზე მივითაფხებოდი, ისე კანკალებდა და ისე ცახცახებდა, სიტყვის ამოთქმისას ისე უღელავდა კბილებჩაცვენილი ყბები, რომ შემეშინდა, ცულის მოქნევა და იმისი სულის დალევა ერთი იქნება-მეთქი. ისევ ჩამოვედი, ჩამოვედი და სახლიდან მოვათრიე დიდი კუნძები, მოვათრიე და მერე კარგა ხანს მესმოდა ჩემი ცულის გამოძახილი.

ბუხარი ავაგუზგუზეთ, ოთახში ჩამოთბა, სითბო იგრძნეს მოხუცის ძვლებმა, მაგრამ მის თვალებში იგივე სინაკლულე, იგივე ცივი ელფერი კრთოდა და მივხვდი, რომ რცხილის კუნძების ცეცხლი არა კმაროდა იმის გასათბობად, მისი სულის ასაციალებლად, სულისა, რომელიც ბებერ ძვლებზე უფრო სათუთი იყო.

იმ სალამოს ქარი ჩადგა, სუსხმა დაიკლო, მომყუდროვდა, შუკებს ბოსლების სუნი გაუჯდა.

ორი ახალგაზრდა მასწავლებელი ავიყოლიე, ერთი მათემატიკოსი იყო, გოგი ერქვა, საოცრად დინჯი იყო და ჩვეულებრივ დინჯ გოგიას უძახდნენ; მეორე ბიოლოგი იყო, ანანო, იმასაც ჰქონდა მეტი სახელი, მოცინარას უწოდებდნენ უფრო თავაზიანნი, გაიკრიჭეს – უფრო მახლობელნი ან თავაზიანობაზე რომ ცოტა მწყრალად იყვნენ ისეთნი, თუმცა რას უძახდნენ და ვინ უძახდა, ეს რა მოსატანია; საქმე ისაა, რომ ავიყოლიე, წიგნები, რვეულები ამოვიწყეთ იღლიაში და მორიდებით დავაკაკუნეთ თითქოს სამუდამოდ დაუქმებული კარი.

კარი ჭრიალ-ჭრიალით გაგვიღო მოხუცმა მასწავლებელმა, ძველმა მასწავლებელმა, რაც შეეძლო, მალე გაგვიღო, მაგრამ მალევე ვერ გამოერკვა და ერთ ხანს ასე გამოლებულ კარში ვიდექით ოთხივენი, ერთიმეორეზე წამდგარნი; ჩვენ შესვლას ვლამობდით, ის თითქოს გველობებოდა. მერე გაიღიმა და გაწითლდა. რა საცოდაობაა, მოხუცები რომ წითლდებიან.

– რა მემართება?! – რომ გაწითლდა, მაშინა თქვა,

– რატომ არ შეგინვევთ?! მობრძანდით, მობრძანდით, ყმაწილებო!..

და მოხუცი სულ გამოიცვალა, წყვილი სელის სკამი უჩვეულო სიმარჯვით მიიტანა ბუხართან, ტყავგადაცვეთილი, მძიმე სავარძელიც თვითონვე მიაჩოჩა; არ ქნა, ხელის მიკარება არ დაგვანება. მერე ადგილებიც თვითონვე მოგვიჩინა. მე სავარძელი მარგუნა, ცხადია, ბუხარში მოგუზგუზე ცეცხლის პატივისცემითა.

ამ ზრუნვას მორჩა და ტახტზე მოიკეცა, გახუნებული ხავერდის ბალიშზე მოიკეცა, კალთაში წიგნი ჩაიდო. და იყო ასე, მიამიტად იღლიმოდა მოხუცი ქალი, ხან ჭალარა კავებს\* შეეხებოდა, ხან წიგნს ფურცლავდა, ვინ იცის რამდენჯერ გადაკითხულ წიგნსა.

პირველი სიტყვა მოცინარამ დასძრა, აი, იმ მოცინარამა, დაშინაურებულნი გაიკრიჭესაც რომ უძახიან.

– ძვირფასო მასწავლებელო, – ასე თქვა მოცინარამ, რა თქმა უნდა სიცილითა თქვა, – თუ თქვენთვის ძნელი არ იქნება და სალამ-სალამობით თითო საათს გაიმეტებთ, ჰო, თუ გაიმეტებთ, მაშინ ჩვენს დიდ სურვილს გაგანდობთ. გაიმეტებთ? ჩვენი სურვილიც ისაა, რომ ფრანგული ენა გავიკვეთოთ, თქვენ ხომ ფრანგულს ასწავლიდით? გაგვიგონია, როგორ კარგად ასწავლიდით. გაიმედებთ, გამგონე შეგირდები ვიქნებით, თქვენი პატარა და მორჩილი შეგირდები.



\* – საფეთქლიდან ლოყამდე ჩამოშვებული დახვეული თმა.



თაროსთან მიცახცახდა, სკამი მიიდგა და ყაფაზებზე\* ჩარიგებულ წიგნებში დაიწყო ფათური – აი... აი... შესანიშნავი სახელმძღვანელო მოგიძებნეთ, პირველად მეც ამითი დავიწყე.

და დაიწყო ჩვენი პირველი გაკვეთილა.

ოთახში ჩამოთბა. იქ სითბო, დიდი ხანია, აღარა ყოფილიყო. ჩვენ ფრანგულ ანბანსა და დიფორმნებს\*\* ვიზეპირებდით, ვზუზუნებდით, ვზუზუნებდით რაც შეგვეძლო ლაღად, მონდომებით. მოლიმარი, პირნათლიანი მოხუცი მასნავლებელი გაბზარული სათვალის ზემოდან გადმოგვყურებდა, დროდადრო გამოთქმას გვისწორებდა, გვაქებდა, გვეალერსებოდა – ჩვენ ხომ სულ პატარა ბავშვები ვიყავით, პატარები, ენას რომ აბორძიკებენ, ბერათა გადაბმასა ლამობენ, შეგონება რომ უკვე ესმით და შემგონებელიც ეშვში შესულა. მაგრამ განა მხოლოდ ეს ატყობნა მოხუცი მასნავლებლის სულსა? ჰმ...

ის ხომ, კარგა ხანია, პენსიაში გასულიყო, კარგა ხანია, სკოლას დაშორებოდა, მასნავლებელი თითქოს სახელად შერჩეოდა. ახალ მოსნავლეთათვის მაინც ასე იყო... ეს პირველი გაკვეთილი იყო დიდი ხნის შემდეგ, პირველი გაკვეთილი, პირველი შევსება იმ სინაკლულისა, რასაც გამოუთქმელად განიცდიდა იმისი სული. უხაროდა, მერე როგორ უხაროდა! ჩვენ უფრო მეტად გვიხაროდა, ერთმანეთს გადავხედავდით მოლიმარნი, ანბანის წყობა აგვეროდა, ენა მოგვეჩილიქებოდა და ალერსიანად გვიწყრებოდა მოხუცი მასნავლებელი. მოხუცი? არა, არა, ეს ხომ პირველი გაკვეთილი იყო...

რარიგ ჩამოთბა მარტოხელა მოხუცის ბინაში, რომლის ცივი მყუდროების ერთადერთი ხშირი დამრღვევი კანჭებკორძიანი ინდაური იყო!



ბუხარი გიზგიზებდა, იწვოდა, ტკაცუნობდა რცხილის ნაკუნძარი.

გვიან ავიშალენით, ძალიან გვიან, ის მაინც არ გვიშვებდა, მაგრამ დაღალა პირველმა გაკვეთილმა, გავინიეთ, კარი გამოვალეთ და... თოვდა...

– თოვლი!.. – დაგვასწრო, პირველად იმან ამოიძახა, ახალგაზრდული სიხალისით ამოიძახა და ხელი გაიშვირა ფიფქების დასაჭერად, – პირველი თოვლი...

– პირველი... ვინ იცის, მერამდენე პირველია, – ჩაიდუდუნა გოგი.

– ვინ იცის! – მაშინვე დაატანა მოხუცმა მასნავლებელმა, – მაგრამ მაინც ყოველთვის პირველია, ყოველთვის ახალი, – ესა თქვა და ხელს დაცვენილი ფიფქები ტუჩებზე მოისვა რაღაც თავისებური სიამის ამოიძახილით.

ჭიმკრამდის მიგვაცილა მოხუცმა ქალმა, პირველ თოვლს გვიკვლევდა და, როცა უკუიქცა, ჩვენს ნაკვალევს როდი გაჰყვა, უკვლევზე გაიარა, ახარებდა მოხუცს პირველი თოვლი, სიახლე ახარებდა...

თოვდა. სოფელი გარინდულიყო...



## ერეკლე II უცხოელთა ჩატარებში

ლიანა თანდილაშვილი

XII ს.-დან მოყოლებული ევროპა და ერეკლე II-ის უცხოელთა გადაწყვიტა. ეგზოტიკური აღმოსავლეთის ქვეყნების კულტურას. ქართული ისტორიულ წყაროთმცოდნეობაში, სხვა უცხო წყაროთა შორის, განსაკუთრებულ ადგილს იყავებს XVI-XVII ს. ს.-ის განათლებული ევროპის მოგზაურთა და მეცნიერთა ნაწერები საქართველოს შესახებ.

„თელავის სახელმწიფო მუზეუმის დირექციამ და სამეცნიერო საბჭომ გადაწყვიტა, მოიძიოს უცნობ და ცნობილ ევროპელ მეცნიერთა, მისიონერთა და სხვათა მოგზაურების თუ მეცნიერების ხასიათის ნაწერები კახეთის შესახებ“, - კაიოთხულობთ მუზეუმის ფონდის ჩანაწერებში.

1963 წლის 20 სექტემბერს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა თ. ფირალიშვილმა თელავის ისტორიული მუზეუმის დირექციასა და სამეცნიერო საბჭოს წარეცმინა ერეკლე II-ის თანამედროვე უცხოელ მოგზაურთა და გამოჩენილ მოღვაწეთა ჩანაწერები, მოგონებები კახეთსა და მეცნე ერეკლე II-ზე.

კახეთი, როგორც სრულიად გამორჩეული ეთნიკური, კულტურული და პოლიტიკური სფერო, დღიდი ხნის მანძილზე იქცევდა ევროპელთა ყურადღებას. დასავლეთ ევროპის წამყვანი ქვეყნები თვალყურს ადევნებდნენ აღმოსავლეთის კარიბჭესთან მყოფი პატარა მამაცი ერისა და მისი გამორჩეული თავკაცის ბრძოლას უთანასწორო ჭიდილში.

თ. ფირალიშვილსა და მუზეუმის დირექციას შორის დაიდო შეთანხმება და დაიწყო საქართველოსა და ევროპის სხვადასხვა ბიბლიოთეკაში არქივში მოძიებული ამ უნიკალური მემუარული მასალების თარგმნა, აღმოჩნდა მანამდე სრულიად უცნობი ჩანაწერები.

ვიგებთ ამბავს ერეკლე II-ზე, როგორც სამხედრო და პოლიტიკურ მოღვაწეზე, რაც მთავარია, პოპულარულ გვირგვინოსანზე, რომლის ბეჭა და უბეჭობაზე მიქცეულია იმ ეპოქის ევროპელთა ყურადღება. საყურადღებოა ერეკლე II-ზე რომის პაპის მიერ ბიბლიიდან დამოზმებული სიტყვები „ბრიწყინავ, ვითარ შროშანი ბეჭებისა შიგან“.

განსაკუთრებით საინტერესოა იმ მოღვაწეთა ჩანაწერები, რომლებმაც პირადად მოინახულეს ქართველი პოლიტიკური, სამხედრო და სახელმწიფო მოუვაწე. და რაც მთავარია, ამ ავტორთა გვარ-სახელები მანამდე არც იყო ცნობილი სამეცნიერო თუ ბიბლიოგრაფიულ ლიტერატურაში; თარგმანები შესრულებულია იტალიურიდან, ფრანგულიდან, გერმანულიდან, ინგლისურიდან.



უცხოური პრესა ერეკლე მეფის შესახებ

### ძიების გზებით...

„მე აღფრთოვანებული ვარ იმ ხალხის გემოვნებით, რომელმაც აირჩია თელავი რეზიდენციად, რადგან უფრო ლამაზი და უკეთესი სამეფო ადგილი არსად შემხვედრია. ნათელ ამინდში იშლება ულამაზესი ხედი, ჩრდილო-დასავლეთით თელავის ველი, რომელზედაც ალაზანი მოედინება და ამჟითებული ამაღლებული ღრუბლებში შექრილი დიდებული კავკასიონი“, – აღნიშნავდა 1822 წელს შოტლანდიელი მოგზაური და ექიმი, რობერტ ლაიელი, რომელმაც მოინახულა თბილისი, თელავი, ყვარელი, გრემი, ალავერდი. 1825 წელს გამოსცა კიდეც ორტომეული სახელწოდებით – „მოგზაურობა რუსეთში, ყირიმში, კავკასიასა და საქართველოში“.

თელაველმა მეცნიერმა გ. არსენიშვილმა ვენის არქივში მოიძია ერეკლე II-ის მიერ ევროპაში გაგზავნილი წერილები და მათი ზუსტი ასლები მშობლიურ მუზეუმს გადასცა. წერილებში შესანიშნავად იკვეთება ქართველი მეფის ევროპული ორიენტაცია. ის ავსტრია-უნგრეთის მეფეს – იოსებ II-სა და ვენეციის სენატს სთხოვს ორი პოლკისთვის ფინანსურ დახმარებას, რათა მათ ევროპული გამოცდილება გაუზიარონ ქართველ ჯარისკაცებს.

„ერეკლე მეფე ისე არაფრისკენ არ მიისწრაფვის, როგორც თავისი ხალხის ევროპულად გარდაქმნისაკენ“, – წერდა საქართველოში ჩამოსული ერთ-ერთი რუსი მოხელე.



## „მეფე ერეკლეს ბედსა თუ უბედობაზე ამჟამად მიქცეულია ურადღება ევროპისა“...

წყაროებს შორის გამოიჩინევა ერეკლე II-ის თანამედროვის, იტალიელი დიდგვაროვანის, კათოლიკური და პოლიტიკური ორგანიზაცია „ლა პროპაგანდა ფილას“ თვალსაჩინო წარმომადგენლის, ბორჯიას ჩანაწერები.

მას პირადად უნახავს ეპოქის სახელმოხვეჭილი პიროვნება და აღფრთოვანებულია მისით. ეს მასალა დათარიღებულია 1773 წლით და მოპოვებულია პალერმოს ბიბლიოთეკაში. ბორჯია რომის პაპისა და კარდინალთა საკრებულოსადმი გაგზავნილ მოხსენებით პარათში იუწყება:

„სენიორ მთავარი ერეკლე 55 წლისაა, ტანდაბალია, შავგვრემანი და სახეთხელი, რომელსაც ასეთივე თხელი მწითური წვერი მოსავს. სენიორი ერეკლე მეტად ფრთხილი და წინდახედულია; შეთვისებული აქვს სალვოტო და საერო მეცნიერებანი. დიდად სამართლიანია, დიდსულოვანი და დიდი მეგობარი. დაჯილდოებულია ყველა ასეთი და სხვა განსაკუთრებული თვისებებითაც თავისი ერისა და სახელმწიფოს სასახელოდ“.



ერეკლე II. ფიროსმანის ნახატი

ამასთან ერთად, ბორჯიას შეფასებით, ერეკლე მხოლოდ განათლებული გვირგვინოსანი კი არა არის, არამედ საუკეთესო კანდიდატი საკუთარი ქვეყნის, სახელმწიფო ინტელექტუალური ცხოვრებისა და კულტურისა.

ძალზე მნიშვნელოვანია XVIII ს.-ის ფრანგი დიპლომატის პეისონელის შრომა „ნარკვევები სპარსეთსა და საქართველოს ჯანყზე“. იგი ასე ახასიათებს მეფე ერეკლეს:

„ეს სახელმოვანი მეფე ყოვლად ღირსია ყურადღებისა არა მარტო რომანებში გმირად გამოყვანისა (წერილები ერეკლე II-ის შესახებ ყოველ დღე ისე მზადდება, თითქოს რამე სამჭედლოში იბეჭდებოდეს ძალზე სწრაფად). ეს მეფე ერეკლეა, რომლის ბედსა და უბედობაზე ამჟამად არის მიქცეული ევროპის ყურადღება; ესაა გმირი, რომელიც იშვა თავისი სამშობლო ქვეყნის, წინაპართა და მშობელთა გასაბრნებულიად. ყველა, ვინც კი იცნობს ამ მეფეს, გვარენმუნებს, რომ იმისთანა ყოველნაირი ნიჭით სავსე კაცი აღმოსავლეთში არ მოიპოვება, რომ მისი ბადალიც სხვა არავინაა. ის, 27 წლის, შემკულია სრული ჭური და აღემატება თავის წლოვანებას... საარაკო ვაჟკაცია, სამაგალითო ღვთისმოსავი, შეურყეველი მართლმოსამართლე და საკვირველი მოქალაქეობაც აქვს. თავისი ქველობის მეობებით მეფე ერისა და ჯარისათვის სათაყვანოა და იმსახურებს მეზობლების განუსაზღვრელ პატივისცემას, ხოლო მტერს შემის ზარს სცემს... მთელს მის პირადობაში იხატება ისეთი დიდებულების იერი, რომელიც გვიმტკიცებს, რომ ის ნამდვილი გვირგვინოსანია თავის სასახლეში და სარდალი თავის ჯარში“.

## „გეგონებათ, ანგელოზი ღალადებსო მისი ბაგეებით...“

„შთამომავლობით ხელმწიფე და პრინცი, ერეკლე II, ღვთისგან წყალობით მეფე ქართლისა“, როგორც მას ახასიათებდნენ, ირგვლივ მყოფთ აჯადოებდა თავისი პიროვნული ხიბლით, იშვიათი უნარით, წარმოჩნდილიყო სულიერი სიფაქიზით, უდიდესი ენერგიით დამუხტული, მეფეთ-მეფის თანადგომისა და თანაგრძნობის უსათოესი ურთიერთობებით ოჯახის წევრთა თუ ქვეშევრდომთა მიმართ.

ერეკლე II-ის ცხოვრების აღმნერთა შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ინდოელი (ეროვნებით სომები) პოლიტიკური მოლვანე უოზეფ ემინი, რომელიც არათუ იცნობდა ახლოს, არამედ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ქართველ მეფესთან დიდხანს ურთიერთობის პატივიც ჰქონდა.

აი, როგორ იხსენებს ერეკლე II-ეს უოზეფ ემინი:



„ერეკლე უთუოდ ჩვენი დროის ერთ-ერთი უდიდესი ადამიანი გახდებოდა, მისი გონიერის ჭეშმარიტებისაკენ მოქცევის მეტი საშუალება რომ ყოფილიყო. იგი იმდენად გამჭრიახი და გონიერაგახსნილი ადამიანი იყო, რომ საუბრის დაწყებისთანავე ჭვრეტდა საქმის არსა. ამასთან, მისთვის უცხო იყო სიამაყე და, ვგონებ, თავის სიცოცხლეში მას არც ერთხელ არ უკადრებია, დაეტრაბახნა. ერეკლე II მათ (ქართველთა) შორის ყოველმხრივ პირველი იყო და ეს მას ყოველთვის და ყველაფერში მეუფეობას ანიჭებდა. ერეკლეს პიროვნებას ოდნავადაც არ ახასიათებს ამპარტავნული სიამაყე და ქედმაღლობა, რაც ესოდენ დამახასიათებელია აზიური გვირგვინოსნებისთვის. როდესაც საუბრისას ის წარმოსთქვამს ცალკეულ სიტყვებს ან მსჯელობს რაიმე საგანჩე, მისი ხმა ისეთი საამო და მიმზიდველია, რომ მსმენელი, რომელიც ვერ ხედავს მის მომწვანო, ყავისფერ სახეს, ეგონება, რომ ანგელოზი ლალადებს მისი ბაგეებით“.



ბატონის ციხის კარიბჭესთან

### „ერეკლე II-ეს საქართველოში ყველაზე მამაც პიროვნებად მიიჩნევენ“

18 წლის იყო მეფისწული ერეკლე, როცა ჭაბუკი მძევლად გააგზავნეს სპარსეთის შაჰის კარზე. თავისი სიმამაცის წყალობით ინდოეთსა თუ ავლანეთში ლაშქრობისას დიდად გაითქვა სახელი. მას არ გაუზიარებია წინამორბედ მძევალთა სასტიკი ხვედრი. პირიქით, შაჰ-ნადირმა წყალობით აავსო და საჩუქრებით გამოისტუმრა სამშობლოში; მეტიც: 1744 წელს კახეთის ტახტიც დაუმტკიცა, ერეკლეს მამა თეიმურაზი კი ქართლში გაამეფა.

აი, რას წერს ერეკლე II-ზე გერმანელი ისტორიკოსი და დიპლომატი გეორგ-ავგუსტ ბრეიტენბაური, რომელიც პირადად იცნობდა მეფეს და ალფროთოვანებულიც ყოფილა მისით:

„ამ თავადმა თავისი ყმანვილეაცობის ნაწილი ნადირ-შაჰის კარზე და მის ლაშქრობებში გაატარა. იგი ასეთ პირობებში მიეჩვია სპარსულ წეს-ჩვეულებებს, რაც შემდეგ მთლიანად გავრცელდა მის სამფლობელოში. ერეკლე II წინდახედული, ფრთხილი, მაგრამ, ამასთან, მამაცი ადამიანია. მისი დიდი რიდი და შიში აქვთ მის სპარსელ ხანებს; იგი მეტად გამჭრიახი პოლიტიკოსია. ბრძოლებისას ერეკლე მეფე საუკეთესო მაგალითია მეომრებისთვის. მუღამ ჯარების წინამდლოლი მეფე ამონვდილი ხმლით ეკვეთება ხოლმე მტერს. ერეკლე II-ეს საქართველოში ყველაზე უფრო მამაც პიროვნებად მიიჩნევენ. ამ მეფეს, ამავე დროს, უყვარს დიდება და ფუფუნება“.

პ.ს. ვეცალეთ, უცხოელ მოგზაურთა და მისიონერთა პირადი ჩანაწერებით შევვერმნა ფსიქოპორტრეტი უდიდესი პიროვნებისა, სახელოვანი მეფეისა, რომელმაც იმდენად ლირსეულად იცხოვრა, მის მიერ განვლილი გზით ერი მუღამ იამაყებს. მეფე ერეკლე არის ერთადერთი მონარქი საქართველოდან, რომლის შესახებაც ყველაზე მეტი იწერებოდა ეკროპაში.



დველი თელავი



## ჩაის კულტურა სოხუმში

ჩაის კულტურა ცნობილია II-III ს.ს.-დან. მისი სამშობლოა ჩინეთი და მას თავდაპირველად მხოლოდ საზემო მილებების დროს სვამდნენ. დიპლომატიური, პოლიტიკური თუ მდიდრული ოჯახური შეხვედრები ჩაის მირთმევით სრულდებოდა.

უკვე X ს.-ში ჩაი ჩინეთში საყოველთაო სახალხო სასმელად იქცა და მას „ჩინური ბალახი“ დაერქვა. III ს.-დან ჩაი ფართოდ გავრცელდა იაპონიასა და კორეაში, მოგვიანებით კი 27 სხვადასხვა ქვეყანაში.

რაც შეეხება საქართველოს:

გადმოცემის თანახმად, პირველად ჩაი საქართველოში გამოჩნდა 1770 წელს, როცა იმპერატორმა ეკატერინე II-ემ სამოვარი და ჩაის სერვიზი უსახსოვრა ერეკლე II-ეს.

ჩაი კი, ზოგადად, საქართველოში დაინერგა XIX ს.-ის დასაწყისში; კერძოდ, გურიაში. ეს ნარგავი პირველად გაჩნდა 1809

წელს, გურიის სამთავროს უკანასკნელი მთავრის მამია გურიელის (V) ბალში.

15 წლის განმავლობაში გურიელმა ჩაის, ფორთოხლისა და ლიმნის გაშენებით შესანიშნავი ბალიც მოაწყო.

1812 წლიდან გურიელის ბალის კეთილმოწყობას შოტლანდიელი ბარონი და მებალე – იაკობ მარი (ცნობილი ენათმეცნიერის ნიკო მარის მამა) ხელმძღვანელობდა. მან ჩაის 200-მდე ბუჩქი დარგო ოზურგეთის ბალში.

ამ საშვილიშვილო საქმიანობაში მისი დამრიგებელი და მრჩეველი იყო ქართველი თავალი, სოლომონ I-ის შვილთაშვილი, მიხეილ (მიხა) ერისთავი, რომელსაც საქართველოში „ჩაის დანერგვის პიონერს“ უწოდებენ.



ჩაის კრეფა. ჩაქვი. 1905 წ.

\* \* \*

მოკლედ მიმოვინილეთ ჩაის ისტორია, ამ კულტურის გაშენების პირველი კერა საქართველოში, მაგრამ ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა, როგორ გავრცელდა იგი აფხაზეთში.

**ასტამურ ოტირბა, ამჟამად „აფხაზჩაის“ ხელმძღვანელი, ალნიშნავს:**

„სხვადასხვა წყაროს მიხედვით, 1843-1848 წ.წ.-ში ჩაის ნარგავები ყირიმიდან და ნიკიტინის ბოტანიკური ბალიდან გადმორგეს სოხუმის ბოტანიკურ ბალში. ამ კულტურაზე პოზიტიურად იმოქმედა სუბტროპიკულმა კლიმატმა“.

ბატონი ასტამური რატომღაც სხვა კონკრეტიზაციისაგან, რბილად რომ ვთქვათ, თავს იკავებს.



„აფხაზჩაის“ ხელმძღვანელი კი, ვფიქრობთ, მეტი ინფორმაციას უნდა ფლობდეს: მას „შევახსენებთ“, რომ სოხუმის ბოტანიკურ ბაღში ჩაი მოაშენა სწორედ თავადმა მიხეილ ერისთავმა, რომელმაც ის გურიიდან, ოზურგეთის მაზრის სოფელ გორაბერეულის ჩაის პლანტაციიდან წამოიღო.

მოვლენები კი ასე ვითარდებოდა:

„ჩაის კულტურა გურიაში არასოდეს დაინერგება. ამ მხარის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, ნესტიანი ნიადაგი ამ წამოწყების განსახორციელებლად არახელსაყრელ პირობებს ქმნის“, – ასე ჩამოუყალიბა თავისი უარი მიხეილ ერისთავს რუსეთის ჩინოვნიკმა, როცა მან ჩაის საქართველოში დასანერგად რუსეთისგან სესხის გამოყოფა – 20 000 რუბლი მოითხოვა (მოგეხსენებათ, მაშინ იმპერიის ნაწილი ვიყავით).

სესხის გაცემას 4 წლის განმავლობაში აყოვნებდნენ. მხოლოდ XIX ს.-ის 40-იანი წლების ბოლოს გამოიყო სახელმწიფო ბიუჯეტიდან საჭირო რაოდენობის თანხა.




სოხუმის ბოტანიკური ბაღი. XX ს.-ის დასაწყისი

გამართულ სრულიად რუსეთის გამოფენაზე წარმოადგინეს ქართველი თავადის მიერ მოყვანილი და გადამუშავებული ქართული ჩაი.

„მამას არ ჰქონდა სპეციალური განათლება. მისი სკოლა იყო დაუღალავი შრომა და ცდების, ძიების დაუსრულებელი პროცესი“, – აღნიშნავდა მიხეილ ერისთავის ვაჟი – ანდრია. ერთი ლამაზი ლეგენდაც უკავშირდება მიხეილ ერისთავს:

გადმოცემის თანახმად, თავადი ჩინეთშიც კი გამგზავრებულა. იმ პერიოდისთვის ჩინეთიდან ჩაის ნერგებისა და თესლის გადმოტანა კანონით აკრძალული ყოფილა. მოუფიქრებია და ჩაის თესლი ერისთავს, თურმე, გახვრეტილ ტროსტში ჩაუყრია და ისე ჩამოუტანია საქართველოში...

და მაინც: განსაკუთრებულ ადამიანთა ხვედრია მათზე შეთხზული ლეგენდა თუ ლეგენდები. ჩვენ კი ქართველი დიდებული თავადი მიხეილ (მიხა) ერისთავი „გავახსენეთ“ სოხუმს.





ეს იყო ამ რამდენიმე წლის წინათ.

ფილოლოგიის დოქტორი, ილიას უნივერსიტეტის იტალიური ცენტრის პედაგოგმა, სოხუმელმა ნანა ლომიამ ერთ-ერთი ქართული გამოცემის გვერდზე წაიყითხა სტატია იტალიელ ენთუზიასტზე, ფლორენციელი ფრანგესკო ტრეჩის შესახებ, რომელიც გატაცებულია ქართული კულტურითა და ისტორიით, აინტერესებს ჩვენი ქვეყნის დღევანდველობა და წარსული და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გულწრფელად აცხადებს, რომ მას უზომოდ უყვარს „ქვეყანა, რომელიც ტმერთს თავისთვის უნდოდა“ და რომ ეს მისი მეორე სამშობლოა, სადაც თავს ისე გრძნობს, როგორც სახლში.

წაკითხულით შეძრულმა და აღფრთოვანებულმა ქალბატონმა ნანამ სოციალურ ქსელში მოიძია ტრეჩის კოორდინატები და ტაუევშირის მხილოდ იმიტომ, რომ საქართველოსა და ქართველებზე შეყვარებული იტალიელის მიმართ მატლიერება გამოიხატა.

42 წლის ფრანგესკო ტრეჩიმ, ფლორენციაში დაბადებულმა, დაამთავრა პოლიტიკურ მეცნიერებათა და შეა საუკუნეების ფარაულტეტები. ამჟამად მუშაობს ინფორმატიკის სფეროში. „იალენის“ მყითხველი შეიტყობს, თუ როგორ, როდის და რა გაიგო საქართველოს შესახებ, იმ ქვეყანაზე, რომლის არსებობა მანამდე არც იცოდა. „ბეჭნიერება ეს გზაა და არა დანიშნულების ადგილი“, - ამოვიყითხე ერთგან ახლახან. ფრანგესკო ტრეჩისთვისაც ბეჭნიერება ის ერთი პოეტური გზაა, უფრო სწორად, მონაკვეთი იტალიიდან საქართველომდე, რომელიც მუდამ ალატებს.

ჩვენი „იტალიელი ქართველი“ (მოლით, ასე მოვიხსენიოთ ბატონი ტრეჩი) ახლა ინტენსიურად სწავლობს ქართულ ენას, რომ, როცა ისევ გვესტურება, მასასა და მასპინძლებს შორის არ იყოს ენობრივი ბარიერი.

სხვათა შორის, ფრანგესკო ტრეჩის პირველი წიგნის პრეზენტაცია (საქართველოს მან ორი წიგნი - უძღვნა) ილიას უნივერსიტეტის იტალიური კულტურის ცენტრში მოეწყო ჩვენი პეტლიკაციის მთარგმნელის - ნანა ლომიას ინიციატივითა და ამავე ცენტრის ხელმძღვანელთა თანადგომით.

## ქართული გენის ლრმდ სურის აღმოსაჩენა

ფრანგესკო ტრეჩი  
იტალიურიდან თარგმნა ნანა ლომიამ

### რაჯ ჩემს თავს შევპირდი

2000 წლის შემოდგომა იყო, როდესაც იტალიურ უურნალ „რეპუბლიკა“ -ში წავიკითხე სტატია შორეულ და ჩემთვის თითქმის უცნობ ქვეყანაზე. დღესაც მახსოვს ის შეგრძნება, რაც კითხვისას დამეუფლა. რაც მეტს ვიგებდი, მეტად მოვდიოდი განცვიფრებაში. ვერც კი ვიჯერებდი ბოლომდე, რომ არის ქვეყანა, სადაც საუბრობენ იმავე ენაზე, რომელზეც ურთიერთობდნენ ერთმანეთთან ორიათასზე მეტი წლის წინ! ეს იგივეა, ჩვენ რომ დღეს ვმეტყველებდეთ ეტრუსკულზე ან ლათინურზე. გამაოგნებელია! ენა - სიყვარულით, საკუთარი ანბანით შენახული. ასე მხოლოდ წმინდა საყდრის ნაგრევებს ინახავენ.



ფრანგესკო ტრეჩი

უურნალისტი წერს, რომ ამ მინაზე არავინ გრძნობს თავს მარტოსულად. სტუმარი, მოგზაური, უცხოელი აქ „ლვთის საჩუქრად“ მიიჩნევა. სტატიის ავტორი მოუწოდებს მკითხველს, პირადად დარწმუნდეს ამ სიტყვების სიმართლეში: „ქვეყნის ნებისმიერ კუთხეში მანქანა რომ გაგიფუჭდეთ, ან რაიმე სხვა სახის პრობლემა გაგიჩნდეთ, ყოველთვის მოიძებნება ვინმე, ვინც დახმარების ხელს გაგიწვდით“.

დავხურე უურნალი, ღრმად ამოვისუნთქე და ჩემს თავს შევპირდი, რომ ადრე თუ გვიან, წავიდოდი ამ პატარა სამოთხის აღმოსაჩენად; წავიდოდი საქართველოში!

ლრმდადრო წარმოვიდგენდი ჩემს თავს იქ, კავკასიაში, მოგზაურად ჩასულს. მაგრამ თან შიშიც მეუფლებოდა, ვაითუ, ვერ შევძლო ამ ცცნების ასრულება-მეთქი.

ციფრული რევოლუციის სათავეებთან ვიყავით, როცა ოჯახში კომპიუტერი შევიძინეთ, მაგრამ ინტერნეტი არ გვქონდა. ამიტომ ოთხმოციანი წლების დე აგოსტინის ენციკლოპედიას დავეწავე. სწორედ იქ ვნახე თბილისის ფოტო, უცნაური და ძნელადნარმოსათქმელი მისი სახელით.



## „ახლო თქვენ ხართ ქართველი“

პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ვსწავლობდი, ფლორენციაში. 2002 წლის მარტში უნივერსიტეტის გამოცდებს ვამთავრებდი. უნდა დამეწყო სადიპლომო ნამუშევრის წერა, მაგრამ ვერა და ვერ ვირჩევდი ჩემთვის საინტერესო თემას. ბოლოს მივედი შუა-აღმოსავლეთის ისტორიის პროფესიონალთან, რომელმაც მითხვა, რომ თავის სტუდენტებს სთავაზობს საბჭოურ თემებს ყოფილი საბჭოთა კავშირის ამა თუ იმ რესპუბლიკაზე: „დამრჩა საქართველო და ტაჯიკეთი. ასე რომ, თუ გსურთ, სადიპლომო დაიცვათ ჩემი ხელმძღვანელობით, აირჩიეთ ამ ორთაგან ერთ-ერთის ისტორია 1989 წლიდან დღემდე“, – მითხვა მან.

ყურებს არ ვუჯერებდი! პროფესიონალ პეტრიჩოლის არც დავამთავრებინე სიტყვა, ისე წამოვიძახე: „საქართველო!“. „დაფიქრდით და კარგად გაიაზრეთ, – მითხვა მან, – მერე ვერაფერს შევცვლით. აღდგომის მერე მობრძანდით და საბოლოო პასუხი მომეცით“.

დავქოქე მოტოციკლეტი და სახლისაკენ ავილე გეზი. მაგრამ, ორი თუ სამი შუქნიშნის გავლის მერე დამეუფლა შიში, ვაითუ, ვინმე სხვა სტუდენტმა აირჩიოს „ჩემი“ თემა! ვაითუ, დამაჯერებლად არ დავაფიქსირე ჩემი არჩევანი პროფესიონალ! ვერაფრით დავკარგავდი ამ შესაძლებლობას. ამგვარად, მოვაბრუნე სკუტერი და უკან გამოვბრუნდი.

**როდესაც პროფესიონალმა დამინახა, გაოგნებისგან გაუფართოვდა თვალები. „საქართველო ჩემია, – ვუთხარი ალელვებულმა, – ხელი ხომ არ მოვაწერო რამეს?“ მანაც სიცილით მიპასუხა: „თქვენია ეს ქვეყანა, თქვენია! არ იდარდოთ. მინდა გითხვათ, ახალგაზრდობაში მეც სწორედ ამ ქვეყანაზე დავწერე ნაშრომი; მაშინ მეც ქართველს მეძახდნენ. ახლა კი თქვენ ხართ ქართველი!“**

ახლაც ძალიან კარგად მახსოვს ის სიხარული, რაც დამეუფლა. მახსოვს იმიტომ, რომ ეს არის შეგრძნება, რომელიც არასდროს განმშორებია. აღტაცებული ვიყავი და შევფიცე კიდეც ჩემს თავს, რომ წავიდოდი საქართველოში და ვისწავლიდი ქართულს.

მაშინვე დავიწყე მასალების მოძიება საქართველოს ისტორიასა და კულტურაზე. სამწუხაროდ, იტალიურ ენაზე მნირი ინფორმაცია იყო. მერე მოვიპოვე ტექსტები ინგლისურად და ფრანგულად; თუმცა მასალა არ იყო საკმარისი.


ერთი თვის შემდეგ, 2002 წლის მაისში, ფლორენციაში ჩამოვიდა დელეგაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. პროფესიონალ პეტრიჩოლიმ დამირეკა და მეც მიმინვია.

ამ შეხვედრაზე საუბარი წარიმართა ჩენებს ქვეყნებს შორის ურთიერთობებზე, ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობაზე. სტუდენტებს შორის იყო ზურაბ ზურაშვილი, ის, ვინც მომავალში იქცა ჩემს დიდ მეგობრად.

2003 წლის ივნისში დავიცავი სადიპლომო. მწველი სიცხე იყო. უნივერსიტეტის დამთავრებასთან დაკავშირებით არაფერს ვითხოვდი, არც ზეიმი მინდოდა, არც საჩუქრები. ერთი რამე მსურდა მხოლოდ – თვითმფრინავის ბილეთი თბილისის მიმართულებით.



მარცხნიდან: ზურაბ ზურაშვილი და ფრანჩესკო ტრეჩი. საქართველოში პირველი ვიზიტის დროს



ტრეჩის წიგნი „საქართველოს ისტორია“



ფრანგეთის ტრეჩი – პირველის წიგნის „საქართველოს ისტორია“ პრეზენტაცია იტალიაში

დელეგაციის ხელმძღვანელი, შესანიშნავი მეცნიერი, პროფესორი პაატა კერვალიშვილი; შემდგომში ისიც ჩემი დიდი მეგობარი გახდა.

გამუდმებით ვაგრძელებდი მასალების მოძიებას საქართველოს შესახებ. ერთხელაც, პიემონტეს რეგიონში, ქ. ბორგომანეროში აღმოვაჩინე სკოლა, რომელიც ახორცილებდა გაცვლით პროგრამას ერთ-ერთ ქართულ ბავშვთა სახლთან. დავუკავშირდი პროფესორ დანილო ბელოსტას და ჩემი ხელფასით დისტანციურად ვეხმარებოდი ერთ ქართველ გოგონას.

თითქმის 10 წლის შემდეგ, მუშაობის პარალელურად, 2006 წელს ავიხდინე დიდი ხნის ოცნება და მოვეწყვე ფლორენციის უნივერსიტეტის შუასაუკუნეების ისტორიის ფაკულტეტზე; სადიპლომონი ნამუშევრის თემად, რა თქმა უნდა, საქართველოს ისტორია ავირჩიე. იტალიური უნივერსიტეტის საძიებო სისტემაში, დიდი ხნის ძების შემდეგ, აღმოვაჩინე ვენეციის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთადერთი ქართველი პროფესორი. მე მას დავუკავშირდი და ვთხოვე, ყოფილიყო ჩემი ხელმძღვანელი. სამუდამოდ მაღლიერი ვინები პროფესორ გაგა შურლაისი, რომელმაც ფასდაუდებელი სამსახური გამინია საქართველოს ისტორიის კვლევისას. მახსოვს, მითხრა, ძალიან ბევრი უნდა მემუშავა დასახული მიზნის მისაღწევად. დავეწაფე მის ნაშრომებსაც: „ქართული სულიერება“, „წმინდა ნინო და საქართველო“ და მის სხვა უამრავ სტატიას. მომეცა საშუალება, კარგად შემესწავლა საქართველოს ისტორია და კულტურა; მაგრამ ვერ ვკმაყოფილდებოდი მხოლოდ კითხვით; მინდოდა, საკუთარი თვალით მენახა ის ადგილები, სადაც აღნერილი ფაქტები საუკუნეების წინ ხდებოდა.

2009 წელს ის ადამიანი, ვინც შემდგომში ჩემი ცხოვრების თანამგზავრი გახდა, დავითანხმე, გამყოლოდა საქართველოში; რა თქმა უნდა, ისევ ზურაბთან ერთად მოვინახულე თბილისი, ასევე, გორი, უფლისციხე, ქუთაისი, ოზურგეთი, მცხეთა და კახეთი. ჩემი მეუღლეც აღფრთოვანებული დარჩა ქართველი ხალხითა და ულამაზესი ადგილებით.



ფრანგეთის ტრეჩის პირველი წიგნის პრეზენტაცია ილიას უნივერსიტეტში

## რაც იმ პირველი დაუკუნებით მოგზაურობის დრინი

მივდიოდი საქართველოში და არც კი მჯეროდა. ეს იყო 2003 წლის ივლისი – ჩემი პირველი და დაუკუნებით მოგზაურობა. საქართველოში ვნახე მხოლოდ თბილისი. ის გაცილებით უფრო ლამაზი ყოფილა, ვიდრე მასზე ნიგნებიდან და უურნალებიდან წარმოდგენა მქონდა შექმნილი. დღემდე სათუთად ვინახავ იმ ემოციას.

დრო გადიოდა. მე კი გამუდმებით ვგრძნობდი საქართველოსთან კავშირს და ამ მიწის ძახილს; არ მინდოდა, ყველაფერი დასრულებულიყო იმ ერთი მოგზაურობით. ზურაბის წყალობით არ ვწყვეტდი კავშირს ამ ქვეყანასთან.

სექტემბერში რიმინიში სამსახურეობრივი კონფერენციის ფარგლებში გავიცანი ქართული პროფესორი პაატა კერვალიშვილი; შემდგომში ისიც ჩემი დიდი მეგობარი გახდა.

გამუდმებით ვაგრძელებდი მასალების მოძიებას საქართველოს შესახებ. ერთხელაც, პიემონტეს რეგიონში, ქ. ბორგომანეროში აღმოვაჩინე სკოლა, რომელიც ახორცილებდა გაცვლით პროგრამას ერთ-ერთ ქართულ ბავშვთა სახლთან. დავუკავშირდი პროფესორ დანილო ბელოსტას და ჩემი ხელფასით დისტანციურად ვეხმარებოდი ერთ ქართველ გოგონას.

თითქმის 10 წლის შემდეგ, მუშაობის პარალელურად, 2006 წელს ავიხდინე დიდი ხნის ოცნება და მოვეწყვე ფლორენციის უნივერსიტეტის შუასაუკუნეების ისტორიის ფაკულტეტზე; სადიპლომონი ნამუშევრის თემად, რა თქმა უნდა, საქართველოს ისტორია ავირჩიე. იტალიური უნივერსიტეტის საძიებო სისტემაში, დიდი ხნის ძების შემდეგ, აღმოვაჩინე ვენეციის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთადერთი ქართველი პროფესორი. მე მას დავუკავშირდი და ვთხოვე, ყოფილიყო ჩემი ხელმძღვანელი. სამუდამოდ მაღლიერი ვინები პროფესორ გაგა შურლაისი, რომელმაც ფასდაუდებელი სამსახური გამინია საქართველოს ისტორიის კვლევისას. მახსოვს, მითხრა, ძალიან ბევრი უნდა მემუშავა დასახული მიზნის მისაღწევად. დავეწაფე მის ნაშრომებსაც: „ქართული სულიერება“, „წმინდა ნინო და საქართველო“ და მის სხვა უამრავ სტატიას. მომეცა საშუალება, კარგად შემესწავლა საქართველოს ისტორია და კულტურა; მაგრამ ვერ ვკმაყოფილდებოდი მხოლოდ კითხვით; მინდოდა, საკუთარი თვალით მენახა ის ადგილები, სადაც აღნერილი ფაქტები საუკუნეების წინ ხდებოდა.

2009 წელს ის ადამიანი, ვინც შემდგომში ჩემი ცხოვრების თანამგზავრი გახდა, დავითანხმე, გამყოლოდა საქართველოში; რა თქმა უნდა, ისევ ზურაბთან ერთად მოვინახულე თბილისი, ასევე, გორი, უფლისციხე, ქუთაისი, ოზურგეთი, მცხეთა და კახეთი. ჩემი მეუღლეც აღფრთოვანებული დარჩა ქართველი ხალხითა და ულამაზესი ადგილებით.

რაც უფრო მეტად „ვეხებოდი“ „ნამდვილ ქვეყანას“, მეტად მეუფლებოდა მისი ხელახლა ნახვის სურვილი. და აი, ცხრა თვის მერე, 2010 წლის მაისში, მე და ჩემი მეუღლე ისევ ჩამოვედით საქართველოში. ამჟერად მხვდა პატივი, თბილისში გამეცნო მამა გაბრიელე ბრაგანტინი, რომელმაც მათხოვა მიხეილ თამარაშვილის\* უიშვიათესი L'Histoire de l'Eglise georgienne – ფასდაუდებელი ნაშრომი ჩემი თემისათვის.

მოგზაურობა გავაგრძელეთ ყაზბეგში, ანანურში, ქუთაისში, ოზურგეთში და ბოლოს პაატა კერვალიშვილთან ერთად ბათუმს ვესტუმრეთ. საქართველო ის პატარა მიწაა, რომელმაც მოიცავს ალპურ მთებს, თითქმის ტროპიკული მცენარეებით, უკიდეგანო დაბლობებითა და ვაზით.



## პირველი ქართული ეკლესია ფლორენციაში

2010 წლის დეკემბერში დავიცავი ჩემი მეორე თემა. პროფესორ შურლაიას საოცარი თანადგომით კაყილი და ამაყი დავრჩი ჩემ მიერ შესრულებული ნაშრომით.

ნოემბერში, დაცვამდე რამდენიმე დღით ადრე, გავიგე, რომ ფლორენციაში ჩამოსულა მართლმადიდებელი მღვდელი საქართველოდან. მაშინვე ვეცადე, დავკავშირებოდი მას და 2011 წლის იანვარში გავიცანი კიდეც.

ჩვენს ქალაქში ჩამოსულ სტუმარს, როგორც მასპინძელმა, მივართვი მამაჩემის წარმოებული ზეითუნის ზეთი და ჩემი სადიპლომო ნაშრომი. მას შემდეგ მამა ანდრიას ჩემს ცხოვრებაში დიდი და მუდმივი ადგილი უჭირავს.

**2011 წლის მარტში ფლორენციის ეკლესიამ უსასყიდლოდ და უვადოდ გადასცა ქართულ სათვისტომოს წმინდა ელისაბედის სახელობის ეკლესია სერალის ქუჩაზე. კარგად მახსოვს, რამდენიმე კვირის შემდეგ როგორ იკუროთხა იგი წმინდა ნინოს სახელზე; ასე გაჩნდა პირველი ქართული ეკლესია ტოსკანის რეგიონში.**

ამ ღირშესანიშნავი მოვლენის აღსანიშნავად, იმავე წლის მაისში ყველანი გავემართეთ ულამაზეს სასახლეში და სწორედ იქ გავიცანი მისი აღმატებულება აპრამი, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დასავლეთ ევროპის ეპარქიის მიტროპოლიტი.

არ დავიღლები, მადლიერება გამოვხატო საქართველოს საპატრიიკოს მიმართ იმის გამო, რომ ჩვენს ქვეყანაში საქართველოდან გამოგზავნეს სასულიერო პირები, მღვდლები – იოანე, მოსე, გაბრიელი, კირიონი. ისინი დაუდალავად ემსახურებიან თავიანთ თანამემამულებს, ქართული სათვისტომოს წარმომადგენლებს მთელ იტალიაში, ყველაზე გადაკარგულ რეგიონებშიც კი.

იტალიაში არსებულ ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას აქვს არა მარტო რელიგიური და სასულიერო დატვირთვა, ის მნიშვნელოვანია, როგორც „მუდმივი შეხვედრის ადგილი“ ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ქართველებისათვის და, გარდა ამისა, როგორც ხიდი იტალიელებსა და ქართველებს შორის.

შემდგომ წლებში, ფლორენციაში, არაერთხელ შევახვედრე ერთმანეთს მამა გაბრიელე ბრაგანტინი და მამა ანდრია, რათა ჩვენ ხალხებს შორის დაწყებულ დიალოგს უფრო სხვა მასშტაბი შეეძინა.




პირველი ქართული წმინდა ნინოს სახელობის სამრევლო ფლორენციაში

## „ქვეყანა, რომელიც ლმერთს თავისთვის უნდოდა“

2014 წლის მარტში ისევ დავბრუნდი საქართველოში და მაშინვე მამა ანდრიასთან ერთად გადავწყიტე, მოგვეწყო დიდი ყრილობა ფლორენციაში, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ბევრი იტალიელის მოწვევა. ბოლო-ბოლო, ვიპოვეთ შესაბამისი ადგილი: „დამეგობრების თეატრი“.

2014 წლის 24 ოქტომბერს საქართველო წარდგა ფლორენციის წინაშე. ქალაქმა ის კარგად მიიღო. უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. ეს ღონისძიება გააშუქა ადგილობრივმა გაზეთმა; მასში ჩაერთო სხვადასხვა ინსტიტუცია. მეც გავაკეთე მცირე მოხსენება საქართველოს ისტორიის შესახებ.

ამ წამოწების შედეგად სურვილი გამიჩნდა, დამენერა პატარა წიგნი, სადაც ვისაუბრებდი საქართველოს ისტორიის საინტერესო ეპიზოდებზე. მაშინვე შევუდექი წერას და 2015 წლის გაზაფხულზე უკვე დასრულებული მქონდა ნაშრომი. ეს არ წამოადგენდა მეცნიერულ კვლევას. მისი მიზანი იყო, საზოგადოებისათვის გამეცნო საქართველო, მისი ისტორია და კულტურა და, მასთან ერთად, ქართული სათვისტომ.



ფრანცესკო ტრეჩის მეორე წიგნი  
„ქვეყანა, რომელიც ღმერთს  
თავისთვის უნდოდა“

ამგვარად დაიბადა პირველი წიგნი „Storia della Georgia“ („საქართველოს ისტორია“), რომლის ოფიციალური პრეზენტაცია მოეწყო 2016 წლის 3 იანვარს, ფლორენციაში.

ნახევარ წელში კი წიგნის ნარდგენა მოხდა თბილისში, ილიას უნივერსიტეტის იტალიური კულტურის ცენტრში.

ჩემი წიგნების ბეჭდვასა და ყველა პრეზენტაციას საკუთარი ხარჯებით ვახორციელებდი. არასდროს არავისგან მიმიღია ფინანსური დახმარება.

სამწუხაროდ, ბოლო წლებში დავასკვენი, რომ ბევრი ჯერ კიდევ არ იცნობს საქართველოს, ხშირად ის ამერიკის ჯორჯიის შტატში ერევათ; ზოგსაც მიაჩნია, რომ ის რუსეთის ერთ-ერთი ცივი პროვინციაა, სადაც კირილიცაზე წერენ.

ამიტომაც, 2017 წელს, გადავწყვიტე, დამეწერა მეორე წიგნი „Georgia, il paese che Dio voleva per sé“ („საქართველო ქვეყანაა, რომელიც ღმერთს თავისთვის უნდოდა“). წიგნი, რომელიც დაანახებდა იტალიელებს, თუ როგორია სინამდვილეში საქართველო, ერთობ მომხიბვლელი ქვეყანა, რომელიც ემოციებით აღავსებს მის მხილველს.

ამ წიგნის მიზანი იყო, საქართველო გამეცნი იტალიური საზოგადოებისათვის, ნარმომეჩინა მისი უძველესი ქალაქები და სოფლები, ველური ტყეები, ქვეყნის ისტორია და კულტურა.

მოვაწყე ამ წიგნის 32 პრეზენტაცია.

## ჩემს მეორე ქალიშვილს დავარქვი „Giorgia“\*

საქართველო არის საუკუნოვანი ქვეყანა, რომელმაც შეინარჩუნა თავისი იდენტობა და დღეს სიამაყით ნარმოაჩნის ამას მთელი სამყაროს წინაშე.

იმედი მაქვს, ყველა იტალიელი, ვინც წაიკითხავს ჩემს წიგნებს და გაუჩინდება მისი მონახულების სურვილი და ისევე, როგორც მე, მოიხიბლება ამ ერით.

წელსაც, უკვე მეშვიდედ უნდა ჩამოვსულიყავი საქართველოში და უნდა მომევლო ქვეყნის შორეული კუთხეები. თვეების განმავლობაში ვადგენდი გადაადგილების მარშრუტს, მაგრამ, სამწუხაროდ, კოვიდ 19-თან დაკავშირებულმა მდგომარეობამ ჩამიშალა გეგმები.

ყველაფერი გადავიტანე 2021 წლისათვის.



მოსაწვევი ბარათი მეორე წიგნის პრეზენტაციისათვის

ამჟამად ვსწავლობ ქართულ ენას და თუ ეპიდემია დასრულდება, 2021 წლის სექტემბერში დაუვინწყარ მოგზაურობას მოვაწყობ საქართველოში, რისთვისაც გამოვყოფ საკმარისზე მეტ დროს; ვივლი ქალაქ-ქალაქ, სოფელ-სოფელ, რათა აღმოვაჩინო ქართული გენის ლრმა სული; შევხვდები უამრავ ადამიანს, შევაგროვებ ბევრ ამბავს, ცხოვრებისეულ გამოცდილებას. გადავიღებ უამრავ ფოტოს, რათა ყველას უზრვენო ამ ქვეყნის სილამაზე, გავუზიარო ჩემი განცდები.

ეს ყოველივე თავს მოიყრის ჩემს მესამე წიგნში, რომელიც გამოიცემა 2021 წელს.

უკვე 20 წელია, საქართველო მიყვარს უსაზღვროდ, მას აქეთ ჩემი ცხოვრებაც მას მივუძღვენი, სწორედ ამიტომაც, ჩემს მეორე ქალიშვილს დავარქვი „Giorgia“ (საქართველო).

საქართველო – ჩემი მეორე სამშობლოა, იქ თავს სახლში ვგრძნობ.



თურმე ქართველები საპაერო ბურთის პირველ აფრენას ესწრებოდნენ! ეს იყო 1783 წლის ნოემბერში, როცა ძმებმა მონგოლფებმა ააგეს ჰაერზე უფრო მსუბუქი ხომალდი – საპაერო ბურთი. პარიზელებთან ერთად ამ საოცარ სანახაობას ესწრებოდა ქართველიც. ჩვენამდე მოაღწია მის მიერ მეფე ერეკლესადმი გაგზავნილმა წერილმა. მასში აღწერილია ამ უჩვეულო დღის წვრილმანებიც; ისიც კი, რამდენი ბოთლი ლვინო წაიღეს თან პაერონავტებმა.

მოზამბიკის დროშა ერთადერთი დროშაა მსოფლიოში, რომელზეც გამოსახულია თანამედროვე რუსული საბრძოლო იარაღი – კალაშნიკოვი.



მონგოლფების საპაერო ბურთი

ბუტერბროდის გამომგონებლად ითვლება ინგლისელი გრაფი – სენდვიჩი. ის იმდენად აზარტული მოთამაშე იყო, რომ კარტის თამაშის დროსაც მოითხოვდა, მიერთმიათ მისთვის ცივი საუზმე პურისა და ხორცის ნაჭრის სახით. ასე გაჩნდა სენდვიჩი, ანუ ბუტერბროდი.

პირველი სტამბა, რომელიც ვახტანგ VI-ემ დააარსა 1709 წელს (პირველი ნაბეჭდი წიგნები იყო „სახარება“ და „ვეფხისტყაოსანი“), სიონის ტაძრის ახლოს იყო აგებული. იგი დაინგრა აღა-მაჰმად ხანის შემოსევისას, 1795 წლის სექტემბერში.

პლატონ გიგინეშვილი – ბათუმელი ექიმი, რომელმაც XX ს.-ის 10-იან წლებში დაამთავრა ოდესის სამედიცინო ინსტიტუტი და დაბრუნდა მშობლიურ ქალაქში. ის ორ რეცეპტს უწერდა თავის პაციენტებს – მწვანე და თეთრ ფურცლებზე. მწვანერეცეპტიან ავადმყოფებს, ანუ ღარიბებს, პრეპარატებს აფთიაქში აძლევდნენ უფასოდ. თვის ბოლოს ბატონი პლატონი დაივლიდა სააფთიაქო დაწესებულებებს და მწვანერეცენტიანი წამლების საფასურს საკუთარი დანაზოგიდან იხდიდა.

ლეგენდარულმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა პელემ, რომელსაც მიმდინარე 2020 წელს შეუსრულდა 80 წელი, საფეხბურთო კარიერის მანძილზე ჩატარებულ 1368 თამაშში გაიტანა 1281 გოლი.

ეს მოხდა 125 წლის წინათ, 1895 წელს: ფიზიკის დარგში ნობელის პრემიის პირველმა ლაურეატმა, გერმანელმა პროფესორმა ვილჰელმ რენტგენმა ელექტრობაზე ექსპერიმენტებისას შემთხვევით აღმოაჩინა იქს-სხივები, რომლებსაც მოგვიანებით რენტგენის სხივები ეწოდა.

სიტყვა „კალენდარი“ ლათინურია და ითარგმნება, როგორც „ვალების წიგნი“. ძველ რომში ვალების პროცენტს ყოველი თვის პირველ რიცხვში იხდიდნენ და ამ დღეს ერქვა „კალენდა“. მოგვიანებით ამ სიტყვით აღნიშნავდნენ წიგნს, რომელშიც წერდნენ დღესასწაულების, იმპერატორთა დაბადების თარიღებს, სენატის შეკრების დღეებს. აქედან დამკვიდრდა ტერმინი „კალენდარი“.

ძველმა რომაელებმა მშენებლობაში პირველებმა გამოიყენეს ცემენტი.



სანტა-მარია-დელ-ფიორეს ტაძარი

სანტა-მარია-დელ-ფიორეს საკათედრო ტაძარი იტალიაში, ფლორენციის ცენტრალურ ნაწილშია; მისი გუმბათი ყველაზე დიდია მსოფლიოში. ტაძრის მშენებლობა დაიწყო 1296 წელს და დასრულდა 1436 წელს. ზღაპრული სილამაზის მქონე ქმნილების გრანდიოზული გუმბათი აგურით ააგო აღმოჩენების ეპოქის გენიალურმა იტალიელმა არქიტექტორ-სკულპტორმა – ფილიპო ბრენელესკიმ. 2-ტონიანი მოოქროებული ჯვრის აღმართვისას (საინუინრო ტექნიკაში) მას ეხმარებოდა თვით ლეონარდო და ვინჩი. ამ ტაძრის მშენებლობაში უსაფრთხოების ქამრებიც ოსტატებმა პირველად გამოიყენეს.



## აფხაზეთში მოღვაწე წმინდა მამები\*

### მონახვე ვასილისკო – III-IV ს.ს.



წმინდა ვასილისკოს წყარო. სოფელი კომანი

წმინდა მონამე ვასილისკო წმინდა დიდმონამე თეოდორე ტირონის (ხსენება 17 თებერვალს) ძმისშვილი იყო და რომის იმპერატორ მაქსიმიანე გალერიუსის (295-305 წ.წ.) დროს ეცტროპისა და კლეონიკესთან ერთად (ძმები იყვნენ) აღესრულა ქრისტესთვის.

წმინდა მონამენი – ეცტროპი და კლეონიკე ჯვარზე გააკრეს (ხსენება 3 მარტს), მონამე ვასილისკო კი აფხაზეთში, სოფელ კომანში გადაასახლეს.

**საპყრობილები მყოფ წმინდა ვასილისკოს უფალმა დახმარება აღუთქვა და ისიც აუწყა, რომ მონამეობრივად აღესრულებოდა.**

კომანში ვასილისკომ დილეგის დარაჯებს სთხოვა, მშობლიურ სოფელში ოჯახთან გამოსამშვიდობებლად გაეშვათ. დარაჯებმა, რომლებიც პატივს სცემდნენ წმინდანს მის მიერ აღსრულებული სასწაულების გამო, თხოვნა შეუსრულეს.

როცა მმართველმა აგრიპამ ეს ამბავი გაიგო, განრისხდა და მკაცრად დასაჭადა დარაჯები. ვასილისკოს მძიმე ბორკილები დაადეს, ფეხზე კი ლურსმანგაჩრილი რკინის ჩექმები ჩააცვეს და ისევ კომანში გაგზავნეს.

პაპანაქებისაგან შეწუხებული ბადრაგები ერთ სახლში შევიდნენ მოსასვენებლად, მშეერ-მწყურვალი მონამე კი მცხუნვარე მზის ქვეშ ხეზე მიაბეს. ვასილისკო მხურვალედ ევედრებოდა უფალს. მოულოდნელად ზეციდან ხმა შემოესმა: „ნუ გეშიანიან, მე შენთანა ვარ“.

მალევე მიწა იძრა, კლდე გაიპო და წყარომ ამოხეთქა. მიწისძვრით შეშინებული ჯარისკაცები, ოჯახის დიასახლისი – ტრიოიანა გარეთ გამოცვიდნენ და მომხდარი სასწაულით განკვიფრებულებმა ვასილისკო გაათავისუფლეს.

ვასილისკოსთან სოფლის მცხოვრებნი მოდიოდნენ და კურნებას იღებდნენ.

გაშმაგებულმა აგრიპამ პრძანა, მონამე ვასილისკო მიეგვარათ მასთან. მმართველმა კერპების თაყვანისცემა მოსთხოვა ვასილისკოს. მტკიცე უარის მიღების შემდეგ აგრიპას პრძანებით წმინდანს თავი მოჰკვეთეს, გვამი კი მდინარეში გადააგდეს.

**წმინდა ვასილისკო აღესრულა 308 წელს (ხსენება 22 მაისს).**

ქრისტიანებმა გამოისყიდეს მისი წმინდა ნაწილები და პატივით დაფლეს.

როდესაც აფხაზეთში, კერძოდ, სოფელ კომანში წმინდანისთვის საფლავს თხრიდნენ, ქრისტიანებს წყალი მოსწყურდათ და წმინდა ვასილისკოს შესთხოვეს დახმარება. მალევე იქვე წყარომ ამოხეთქა, რომელსაც ახლა ვასილისკოს წყარო ჰქვია და დღემდე განკურნების სასწაულებრივი მადლი აქვს.



## მონახვი ევსტათი წებელდელი მთავარი – VIII ს.

მონამე ევსტათი წებელდელი მთავარი და მრავალნი ქართველნი, ქარანში\* ალსრულებულნი, წარმოშობით დასავლეთ საქართველოდან, აფხაზეთის სამთავროდან იყვნენ.

ევსტათი წებელდელი დაბადა VIII ს.-ის დასაწყისში (დაახლოებით 710 წელს), აფხაზეთის სამთავროს სოფელ წებელდაში მცხოვრებ თავად მარინის ოჯახში.

VIII ს.-ის შუა ხანებში ბიზანტია და არაბეთი თავგანწირვით ებრძოდნენ ერთმანეთს კავკასიაში, კერძოდ, დასავლეთ საქართველოში გავლენის მოსაპოვებლად. 706-711 წ.წ.-ში ქართველებმა ბიზანტიელებთან ერთად მოახერხეს აფხაზეთიდან არაბთა განდევნა.

738 წელს არაბთა ხალიფა ხიშამ თავისი შვილის – სულეიმანის მეთაურობით ლაშქარი გამოგზავნა საქართველოში. არაბებმა ტყვედ აიყვანეს აფხაზეთის ქართველები, რომელთა შორის იყო ევსტათი წებელდელიც.

ხალიფა ხიშამ ბრძანა, ამოეხოცათ საქართველოდან წაყვანილი ტყვეები და ცოცხალი დაეტოვებინათ მხოლოდ ისინი, რომლებიც მუსულმანობას მიღებდნენ.

ევსტათი წებელდელმა და მასთან ერთად ტყვეობაში მყოფმა ქრისტიანებმა უარი თქვეს სარწმუნოების შეცვლაზე, რის გამოც ყველანი სიკვდილით დასაჯეს.

ევსტათი წებელდელისა და ქარანში (სადაც ისინი აწამეს) ალსრულებულ ქართველ მონამეთა ხსენება 20 სექტემბერია.



მონამე ევსტათი  
წებელდელი მთავარი

## მონახვი დიმიტრი ლაზი, კონსტანტინოპოლის – XVIII ს.

მონამე დიმიტრი ლაზი, კონსტანტინოპოლელი, წარმოშობით ლაზი იყო და ცხოვრობდა სოხუმთან ახლომდებარე სოფელში.

ამ დროს აფხაზეთში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო ადგილობრივი მოსახლეობა ტოვებდა მშობლიურ სახლ-კარს და საცხოვრებლად სხვა ქვეყანაში მიდიოდა.


ასე ალმოჩნდა 25 წლის დიმიტრი კონსტანტინოპოლში (ამჟამად სტამბული, თურქეთი). ის იქ ბერძენი ქრისტიანის, ხავი პანაიოტის ტავერნაში მუშაობდა.

დიმიტრისთან ხშირად დადიოდნენ პონტოელი მუსულმანები და რწმენის შეცვლის სანაცვლოდ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას სთავაზობდნენ. დიმიტრი მტკიცედ აცხადებდა, რომ ქრისტიანად დაიბადა და ქრისტიანად დატოვებდა წუთისოფელს.

ერთხელ ტავერნაში ჩხუბი ატყდა. დიმიტრიმ ძალით გაიყვანა შენობიდან თურქები, რომელებმაც მას სასამართლოში უჩივლეს.

მუსულმანურმა სასამართლომ სიცოცხლის შენარჩუნების სანაცვლოდ დიმიტრის სარწმუნოების შეცვლა შესთავაზა. მსჯავრდებულმა მტკიცე უარი განაცხადა.

1784 წლის 27 იანვარს დიმიტრი ლაზი სიკვდილით დასაჯეს. წმინდანის ხსენება სწორედ 27 იანვარს აღესრულება.



მონამე დიმიტრი ლაზი,  
კონსტანტინოპოლელი

\* – თურქეთის ერთ-ერთი პროვინცია.



## ქართველი პეტრილი ესტონია 225 წელი

თელავი საქართველოს სხვა ქალაქებიდან იმით არის გამორჩეული, რომ ერთადერთია, სადაც მეფის სასახლეა შენარჩუნებული. საინტერესო კუთხით დაუნახავი რუს მოგზაურს – ევგენი მაკაროვს. მან საქართველოში იმოგზაურა 1880-იან წლებში და თელავიც მოინახულა. იგი ადარებს თელავს მაღალ ცივილიზებულ ქალაქს, „რომლის მოკირნყლულ ქუჩებში ფაიტონები დადიან, სეირნობს პუბლიკა, დუქნები საქონელს გთავაზობენ, ხოლო ქალაქის ბაღებში ირმებიც კი დასეირნობენ“.



„სენიორ ერეკლეს ჯარის რაოდენობა ქართლსა და კახეთში, მთასა და ბარში, ყველგან, სადაც მისი მფარველობა სწვდება, 60 000-ზე მეტს აღწევს. იგი მას იმ შემთხვევისთვის იყენებს, როდესაც უკიდურესი გაჭირვებისა და გარდაუვალობის წინაშეა. საერთოდ, ერეკლეს სხვადასხვა ადგილას ცალკეული შემთხვევებისთვის მუდმივად ჰყავს 20 000 შეიარაღებული მეომარი“, – წერს ერეკლეს ეპოქის იტალიელი დიდგვაროვანი, კათოლიკური და პოლიტიკური ორგანიზაცია „ლა პროპაგანდა ფრიდას“ თვალსაჩინო წარმომადგენელი, ბორჯვია. ინყება მზადება ომისათვის, ირანელი საჭურისის, დაუნდობელი აღა-მაჰმად ხანის წინააღმდეგ. უბედურება ქვეყანამ მაინც ვერ აიცილა.



ისტორიკოს იასე ცინცაძის შეფასებით, აღა-მაჰმად ხანის საქართველოზე თავდასხმის საფრთხე ჯერ კიდევ 1791 წელს დაუნახავთ და ამის შესახებ ერეკლე II-ის კარის მდივნს, დიპლომანტს, სულხან თუმანიშვილს უცნობებია, რუსეთის იმპერატორის – ეკატერინე II-ის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიანი პიროვნებისთვის – გრიგორი პოტიომკინისთვის\*.



ჯერ კიდევ 1793 წელს, საქართველოზე თავდასხმის შიში იპყრობს მეფე ერეკლეს, რომელიც რუსეთში მყოფ შვილს – მირიანს ასე უთვლის:

„გიბრძანებ შენ, ვითარცა მშობელი, გამოიჩინო ერთგულება და ჩემი თხოვნა გრაფისა და უგანათლებული თავადის გრიგორი პოტიომკინის შუამდგომლობით მის უდიდებულესობას მიართვა... რათა რაიმე საშუალებით აგრძნობინოს მტერს, რომ საქართველოს ასეთი დიდი მონარქი მფარველობს. ამ გზით შეშინებულმა მტერმა, იქნებ, გადაიფიქროს თავდასხმა“.

„მეფე ერეკლე“.  
გრიგორ გაგარინის ნახატი. XIX ს.



1795 წლის ივლისში ქართველი დიპლომატი, ქართლ-კახეთის ელჩი რუსეთის იმპერიაში, გარსევან ჭავჭავაძე ულტიმატუმის მოთხოვნით უგზავნის წერილს ალექსანდრ ბეზბოროდვოს – რუსეთის იმპერიის საგარეო უწყების ხელმძღვანელს:

„სპარსეთის ახლანდელი მბრძანებელი აღა-მაჰმად ხანი მიისწოდაფვის, შაპად იქნეს ცნობილი და საქართველოზე თავდასასხმელად ემზადება. ჩემი თანამდებობისამებრ, მე უმდაბლესად გთხოვთ, გვაუწყოთ: ინებებს თუ არა რუსეთის უმაღლესი კარი ტრაქტატით გათვალისწინებული დახმარებისა და მფარველობისა აღმოჩენას? ვთხოვთ თქვენს ბრწყინვალებას, ამ ჩემს წარდგინებაზე სწრაფად მომცეთ პასუხი. ჩვენ ახლა უკიდურესად გვჭირდება ამისი ცოდნა“.



**225 წლის ნინ, 1795 წლის 11 სექტემბერს ცუდი დღე გაუთენდა თბილის.** ცა ქალაქის თავზე ბნელი და შავი იყო, წერს ისტორიკოსი; ცა კიდევ უფრო გაშავდება, გაშავდება დენთისა და გადამწვარი ქალაქიდან ავარდნილი კვამლით. დღის ბოლოს წვიმაც წამოვა, თუმცა მანამდე წვიმის წყალზე მეტი სისხლი დაიღვრება. „ალა-მაჰმად ხანი, „ღვარძლიანი საჭურისი“, როგორც მას პოეტი უწოდებს, არავის დაინდობს, თვით ქალაქსაც, მის კედლებს, სასახლეებს, ეკლესია-მონასტრებს, აბანოებს...“



„ერთბაშად დაიქუხეს ყაშაყალის ზარბაზნებმა, მეტებმაც ბანი მისცა. დაიწყო ზარბაზან-ზამბულაკების ორმხრივი გრგვინვა, მეტებიდან მტკვრის ნაპირებს უშენდნენ, ხოლო ყაშაყალიდან – შავნაბადას ახლო მისადგომებს. მალე ქედზე მტრის ახალი ურდოები გადმოეფინენ. ჩვენი მაშველი კი არსად ჩანდა“, – ასე აღნერს ომის დაწყებას მწერალი ლევან გოთუა მოთხოვნაში „კრწანისის სევდა“.



„ბანაკმა მძიმე სვლით მეოთხე დღეს მიაღწია თბილის, მტკვრის პირას დაიბანაკა და მეორე დღესვე ბანაკმა დაიწყო გადასვლა თბილისისკენ“, – წერს ომის თვითმხილველი იაკობ ბებუთოვი, რომელიც ალა-მაჰმად ხანის (ცხენოსანი ნაწილების ერთ-ერთი ქვედანაყოფის მეთაური იყო (ჟურნალი „ივერია“, 1885 წ.).



„პირველად ყოველ ბანაკს დლიერ უხაროდა და სიხარულით მოვდიოდით საქართველოზედ. საქართველოს სიმდიდრე და მცხოვრებთ მშვენიერების ამბავი საჩქაროდ გავრცელდა, – იხსენებს ისევ იაკობ ბებუთოვი, – მაგრამ, როდესაც შევედით მათ მიწაში, შიში დღედაღამ ასუსტებდა ჩვენს გულებს. სხვადასხვა ჯაშუშისგან ამბავი მოგვდიოდა, რომ ერეკლე ხანს, 40 ანუ 50 ათასი კავკასიის მცხოვრებნი შეუკრებიან და ყოველი სიმაგრე უჭირავს და განზრახული აქვს, ზურგს უკან მოგვექცეს და თავს დაგვესხასო...“



„კრწანისის ბრძოლა“. ვალერიან სიდამონ-ერისთავის ნახატი. თელავის ისტორიული მუზეუმი



იაკობ ბებუთოვი და ალა-მაჰმად ხანის სხვა საველე მეთაურები მალე დარწმუნდებიან, რომ „ერეკლე ხანის“ განკარგულებაში ბევრად ნაკლები ჯარისკაცი იყო.



კრწანისის ბრძოლა 11 სექტემბერს, დილის 7 საათზე დაიწყო.

ქართველების მოწინავე ნაწილები შებმიან მტერს, დიდი სიმტკიცე გამოუჩენიათ, მაგრამ, როგორც ისტორიკოსი აღნერს, მტერი მაინც შეტევაზე გადადიოდა ახალი ძალებით. „და ბრძოდეს მეწინავენი მხედრობანი მეფისანი საკვირველად“, – წერს თეიმურაზ ბატონიშვილი.



„ერეკლეს ჯარი ხუთ ნაწილად ჰყავდა დაყოფილი: მარჯვენა ფრთას სარდლობდა მეფის შვილიშვილი – დავით ბატონიშვილი, რომელიც თბილისში შემომავალი გზების შესაყარს იცავდა. მის განკარგულებაში იყო 6 საშუალო და მცირე ყალიბის ზარბაზანი; მარცხენა ფრთასაც მეფის შვილიშვილი – იოანე მუხრან-ბატონი სარდლობდა; ბრძოლის ველის ცენტრსა და მთელ ფრონტს ერეკლე სარდლობდა. ცენტრში, მეომრების უკან იდგა ორი რაზმი, რომელთაგან ერთს ვახტანგ ბატონიშვილი, ხოლო მეორეს – ოთარ ამილახვარი ხელმძღვანელობდა. ისინი მეფის უშუალო განკარგულებაში იყვნენ. იმერელი მხედრები, ზურაბ ნერეთლის თავკაცობით, მთავარსარდლის მარჯვინივ იდგნენ. ერეკლეს შვილიშვილი კი მენინავე რაზმს – ავანგარდს სარდლობდა; ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილი სახელდახელოდ შეკრებილი რაზმით გვერდით უდგას მამას და კრწანისის ბრძოლის შუა ცეცხლში ტრიალებს“, – გვაუწყებს ქართველი მემატიანე.

თბილისის დამცველებმა რომ დაინახეს მტკვარზე გადასული ჯარი, იფიქრეს, ალყაში გვაქცევენოდ უკან დაიხიეს, ირანელებმა კი წინ წაინიეს და ბალები დაიკავეს. ერეკლემ 150 მეტრძოლთან ერთად დატოვა თბილისი. ქალაქში აღა-მაჟმად ხანის მენინავე ჯარებმა დაიწყეს შესვლა.



**აი, როგორ აღნიშვნა ამ ტრაგიკულ დღეს იაკოპ ბებუთოვი:**

„ვიწრო იყო ის გზა, რომელიც მიდიოდა ქალაქისაკენ. ორსავე მხარეს ბალები იყო და შაჰმა ვერ გაბედა, მაშინვე დადევნებოდა გაქცეულებს; მოითმინა ნახევარ საათამდე, ვიდრე უკან დარჩენილი ჩვენი ჯარი არ შეუერთდა და დაიწყო შესვლა ქალაქში. თვალწინ წარმოგვიდგა ეკლესიები, სასახლეები, მცხოვრებთა სახლები და აბანოები, რომელიც, შეგვეძლო, თითო-თითო დაგვეთვალა“.

პლაკატი „კრწანისის ბრძოლა“.  
ერეკლე II და აღა-მაჟმად ხანი



ისე ცინცაძის თქმით, კართლ-კახეთის დიპლომატიამ რუსეთის სამეფოს კარს დროულად მიაწვდინა ხმა, თუმცა რუსეთის ლალატის ტოლფასი ბიუროკრატიზმის გამო საქართველოს ძალისხმევამ შედეგი ვერ გამოიღო. ეკატერინე II-ემ მხოლოდ 1795 წლის 4 სექტემბერს, თბილისზე თავდასხმამდე ერთი კვირით ადრე, მოაწერა ხელი რესკრიპტს\*, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა გენერალ გუდოვიჩს.



გენერალმა გუდოვიჩმა ეს ცნობა მიიღო 1 ოქტომბერს, როცა თბილისი უკვე მიწასთან იყო გასწორებული, ხოლო აღა-მაჟმად ხანი – ორი კვირის წასული საქართველოდან.

ალექსანდრე ობელიანი, ერეკლე მეფის შვილიშვილი და 1832 წლის შეთქმულების მონაწილე კატეგორიულად იტყვის, რომ აღა-მაჟმად ხანი 10 სექტემბრის შეტაკების შემდეგ აპირებდა აყრას და სპარსეთისკენ წასვლასო.



ომში, რომელიც კრწანისის ბრძოლის სახელითაა ცნობილი, აღა-მაჟმად ხანი 75•000-ანი არმიით შემოიჭრა ქართლ-კახეთში, ერეკლეს კი მხოლოდ 6•000-ანი ჯარი ჰყავდა.

კრწანისის ომმა მძიმე კვალი დაამჩნია თბილისი, საქართველოს, მის განვითარებას. ბედის ირონიით, დაუძლურებულმა და რუსეთს მინდობილმა ქართლ-კახეთის სამეფომ სწორედ კრწანისის ომის წლისთავზე, 1801 წლის 12 სექტემბერს ალექსანდრე I-ის „უმალლესი მანიფესტით“ დაკარგა სუვერენიტეტი.



## დეფის სხივუკები

ნანა ჭავჭავაძის

როდის მოხდა ეს ამბავი? ზღაპარში თუ ცხადში?  
მაგრამ ვიღაცამ, ვინც მოყვა თუ მოიგონა ეს  
თქმულება, გადაწყვიტა, რომ იგი ბევრს კი არა,  
ყველას უნდა გაეგო; უნდა მოეყოლა, ერთ დღესაც  
უშორესი მანძილიდან ციცინათელებივით როგორ  
ჩამოფარფატდნენ მადლიანი სხივუკები.

არაფრით გამორჩეული დილა გათენდა.  
მაგრამ გადასარკული ცის მოულოდნელმა  
და უცნაურმა გადაფერებამ ყველა გააოცა;  
და კიდევ უფრო იმან, რომ დღის ნათება  
თანდათან ისეთ სხივებს, ისეთ კაშკაშა შუქს  
იმატებდა, გადაბრდლვიალებული არემარეს  
შემხედვარე იფიქრებდი, ახალი მზე ხომ არ  
იპადებაო.

მალევე დაინახეს, როგორ მოფრინავდნენ  
და მოქროდნენ ციდან პატარა სხივუკები,  
ნიავქარის უსწრაფესად, თითქოს ერთმანეთს  
ეჯიბრებოდნენ ერთმანეთზე უფრო  
კუსკუსები და ფრთამალები. ციცქანა  
სანთლუკები (ძალიან ჰერბეტენ ანთებულ  
სანთლებს) ერთმანეთს აგულიანებდნენ  
ასეთი გადაძახილ-გადმოძახილებით:



- უფრო უნდა ვიჩქაროთ!
- ჩვენ ხომ დედის სხივუკები ვართ!..
- და რაც ღადლადა მზემ და ღალანა მთვარემ დაგვაბარეს, ყველაფერი,  
ყველაფერი გვახსოვს!..
- როგორ გვითხრეს?! ელაპარაკეთო ყველას იმაზე, რაც ყველამ ძალიან  
კარგად იცის და მაინც, არ დაიღალოთო, ეტიტინეთ შვილებსა და დედებსო!



- ნახეთ და დაელაპარაკეთო ჩიტსაც,  
ყვავილსაც, ხესაც, ბუჩქსაც, პანუკა ფესვსაც,  
წყლის ქვეშაც მოიძიეთო სულიერი და ბალახ-  
ბულახშიც შეფაცხუნდითო, რომ არავინ  
გამოგრჩეთ, ვისაც დედა ჰყავს და უთხარითო  
შორიდან დანაბარები!..

- კიდევ რაო მზემ და მთვარემ?! რაო და,  
დედების მკერდში ჩაკრულებიც რომ იყოთ,  
მაშინაც მოინატრეთ ისინიო!..

ასე გაუჩერებლად ეხმიანებოდნენ ერთმანეთს მოტიტინე  
სხივუკები; თითქოს ფრთხილობდნენ, დანაბარებიდან არაფერი  
გამორჩენოდათ, არაფერი დავიწყებოდათ. და ისეთი გულით  
მოქროდნენ, არც დაღლილან. სიმაღლეც მაღე გაილია.



– ეს ვინ არის, ასეთი პანუკა და ნაზი? –  
გაიკვირვა ერთმა სხივუკამ.  
თუმცა მალევე იცნეს მაღლობზე ამოსული ია.  
– მე ია მქვია, მთის ია, – თქვა ჩუმად,  
თითქმის თავისთვის.  
– მოდი, გავიცნოთ ერთმანეთი, –  
აუღურტულდნენ მოუსვენარი სანთლუკები,  
– ჩვენ სხივუკები ვართ; მაგრამ კონა-  
კონებსაც გვეძახიან. კონებად დავფრინავთ,  
დავფარფატებთ ყველგან, სადაც შვილები და  
დედები გვეგულება.

მთის იას უფრო თამამმა სხივუკამ ჰკითხა:  
– როგორ გიყვარს შენი დედიკო?  
– ძალიან მეშინია და ისე მიყვარს; დედიკო  
კი მეუბნება, მთის იაზე უფრო უმწეო მარტო  
ჩემს გარეშე ხარო; ვერანაირი ბუკიოტი და  
საფრთხობელა, როცა ერთად ვართ, ვერ  
შეგაშინებსო. ასე გვიყვარს ერთმანეთიო,  
ხშირად მიმეორებს.

სხივუკებმა ახლა შავხალებიანი წითელი პეპელა შეამჩნიეს, ბუერას ფოთოლზე  
დასკუპებული. გამოეცნაურნენ. მასაც უთხრეს, ვინც იყვნენ და ძალიან შორიდან  
რატომაც მოსულები.


– დედიკო როგორ გეფერება, ლამაზო?! – იკითხეს ფარფატა სხივუკებმა.  
– როგორც მიყვარხარ, ისე ვერასოდეს გეფერებიო, – მეუბნება – ხშირადაც  
ამიტომ ვტირიო. ჩემს დედიკოს ძალიან ხშირად აქვს ცრემლიანი თვალები.  
სხივუკებიც აცრემლდნენ.

ფანცქვალა სანთლუკებს ამჯერად გვირილას ფოთოლში  
მიყუული ციცქნა ბზუილა მწერის წრიპინი შემოესმათ.  
– ტირი თუ იცინი, კუსკუსა?! – შეეკითხნენ პანია არსებას.  
– ჩემი უმწეო ბზუილი მასევდიანებს მუდამ. ვფართხალებ,  
ვზუზუნებ, ჩემი დედიკო ძალიან მიყვარს-მეთქი, მაგრამ არავის  
ესმის ამქვეყნად ჩემი ბზუილა და სუსტი ხმა!

– ჩვენც ეს დაგვაბარეს შენთან მზემ და მთვარემ, უფრო  
იზუზუნოსო! და იცოდესო, ეს სიყვარულის სიმღრაა და მასზე  
უფრო ლამაზ ჰანგებს შვილის გარდა ვერავინ უმღერებს  
დედასო!..

ცქნაფა სხივუკებმა დაამშვიდეს თვალებწყლიანი ბზუილა  
და გზა განაგრძეს.

ტრიალ მინდორში განმარტოებული,  
მუდამ ფოთოლმცივანა ვერხვი  
შრიალებდა. როგორ უხდებოდა  
განმარტოებულ ხეს ყვითელგულა ღაბუა  
ჩიტი. დაუპატიჟებელი სტუმრების  
დანახვამ თითქოს შეაკრთო ღუდღუდელა  
ფრთოსანი. ღიმილით ჰკითხა სხივუკებს:





— არ მეცნობით, საიდან მოხვედით  
ასეთები და ამდენი სახემცინარე, ასეთი  
გასხივოსნებულები?!.

ერთმანეთს ასწრებდნენ ტიკტიკს, ტკარცალს,  
ჩვენ ფერია კონა-კონები ვართ, დედიკოებისა  
და შვილიკოების მოსაფერებლად გაჩენილებიო.

— რა კარგია, მეც რომ გამომელაპარაკეთ.  
როგორ მინდოდა, ვიღაცისთვის მეთქვა, რაც  
მითხრა ამ დილით დედიკომ, ისევ საშოვრიდან  
დაბრუნებულს რომ ველოდები და ისევ  
მენატრება ძალიან?!.

— ასეთი რა გითხრა შენმა დედიკომ? —  
აფოფინდნენ სხივუკები.

— ასე მითხრა, ამ მინდორზე, ირგვლივ ტყეში,  
იმის იქით მდინარესთან, ხის კენწეროსა თუ  
ბუჩქებში, მთელს ხეობაში მარტო შენ გხედავო;  
სადაც კი გადავიფრენ, ყველგან ხარ და, ასე  
მგონია, ერთი კი არა, ხუთი ხარ, ათიც, ასიც,  
ათასიც... ყველგან და ყველა ხარ, ისევ და ისევ,  
ჩემო ერთაო... ერთი დედიკო და ერთი შვილიკო  
ასე აბევრებენო სიყვარულს, ერთმანეთის  
გაფრთხილებით. ბოლომდე მაინც ვერ გავიგე,  
რაც მითხრა დედამ, მაგრამ გული ახლაც  
მიფართხალებს...



სხივუკები ასე არავის მოფერებიან,  
ასე არავის ჩახუტებიან.

კიდევ ბევრს, ძალიან ბევრს მოეფერნენ, ყველას  
დაუტოვეს სანთლუკების წილი, გაგვისხენებთო.

დედამიწაზე სხივუკების ერთდღიანი ყოფნის დრო  
ამოწურულიყო და არავინ იცოდა, კიდევ როდის  
დაბრუნდებოდნენ...

კინაღამ დაგვავიწყდა: სხივუკები ბოლოს ერთ გუნდად  
შეგროვდნენ, ისე დაბზრიალდნენ, რომ ცეცხლოვანი ნათება  
უკვე იყო მარტო ზეცის, სადაც ნაწყვეტ-ნაწყვეტ მათი წკრიალა  
ხმებიც გაიბნა:

— გაუფრთხილდით ყველაზე მიმტევებლებს, ცრემლიანებს,  
ფრთხილებს, ყველაზე ლამაზებს, იმედიანებს, დიდგულიანებს,  
ძლიერებს და თანაც ყველაზე თვალებმშიშარებს, ყოველთვის  
მოსანატრებლებს!..



ტექნიკური უნივერსიტეტისა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, სდასუ-ს პროფესორი, საქართველოს საინკინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენციი, ცნობილი პებლიცისტი და ნოვატორი გიგლა გობეჩია ის გამორჩეული ავტორია, პირველივე პებლიციაციებით (XX ს.-ის 80-იანი წლებიდან) ძალზე პოპულარული ჟურნალისტის სახელი რომ დაიმევიდრა. დასანანია, რომ წიგნების თარიზე დღემდე არ დევს გიგლა გობეჩიას ერთ წიგნად შეკრული ის გახმაურებული წერილები, ესელუზიური თემებითა და ლიტერატურული გემოვნებით რომ ხიბლავდა მეითხველს (თუმცა საქართველოს ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდ "ოქრის ფრთის" ვიცე-პეზილენტი და საქართველოს გამომგონებელთა ასოციაცია "ლაზარისის" დამფუძნებელი და თავმჯდომარე გიგლა გობეჩია ორი მეტად საგულისხმო წიგნისა და ორი პატენტირებული ნოვაციის ავტორია).

ამჯერად გთავაზობთ რამდენიმე საინტერესო ფრაგმენტს გამოსაცემად გამზადებული მისი მომავალი წიგნიდან "1001 ქართული ხასიათის ქრონიკა" (ავტორის თქმით, სათაური პირობითია), რომელიც მან საგანგებოდ ჟურნალ "იალქნისტვის" შეარჩია.

გიგლა გობეჩია ამ ამონარიცებით (ქართულ-აფხაზური ურთიერთობებიდან) გვახსენებს, რომ ომი მტრობასთან ერთად ხანდახან სხვა აუხსნელი ფენომენიცაა; ლრო თითქოს არ უბრუნდება ომამდელ სტატუს-უკოს, და მაინც, შლაგბაუმებით დაშორიშორებული ადამიანები სიყეთეს თხზავენ, რომ ბავშვივით გაოცდე და იმეცს მეტად ჩაებლაუჭო.

## 1001 ქართული ხასიათის ქრონიკა

გიგლა გობეჩია

### ფენოლოგიური პედაგოგიური დარჩენილი მაჩა...

აფხაზეთის ომმა 300 ათასზე მეტი ქართველი მშობლიურ მიწაზე ხიზნად აქცია. მათ შორის იყო ცნობილი ჟურნალისტისა და პუბლიცისტის კობა ბენდელიანის ოჯახი. მისი სახლი სოხუმში, კომკავშირის გზატკეცილი მდებარეობდა. ახლა მას ეს სახელი უკვე არ ჰქვია.

2016 წლის 4 იანვარს კობამ ფბ-ზე მისი სახლის ფოტო გამოაქვეყნა. ეს ფოტო მას სოხუმელმა ადამიანმა, მამამისის ყოფილმა მოსწავლემ გამოუგზავნა.

ფოტომ, ცხადია, მოგონებები წამოალიცლიცა და კობამაც ხელში ერთი, ძალიან საინტერესო ხასიათი ჩამიგდო.

თურმე ნუ იტყვით და, როცა ბენდელიანების ფენოლი ოჯახი სოხუმიდან ახალი გამოსული იყო, კობამ რაღაცა გზებით გაიგო და მამას „მიახარა“, ჩვენი სახლი არ გადაუნვავთ, მაგრამ ახლა იქ უკვე მრავალშვილიანი აფხაზის ოჯახი ცხოვრობსო.

როგორც კობა წერს, ცოტა ხანი გაყუჩებულა მამამისი. დაფიქრების შემდეგ კი შვილს ასეთი რამ სთხოვა:

— კობა, მამა, დროზე მიაწვდინე მაგათ ხმა, ხომ იცი, ჩვენს სახლს ელექტრობა არ უვარგოდა და ემანდ, უბედურება არ მოხდეს, ხანძარი არ გაჩინდეს და ბავშვებს არაფერი დაემართოთ!!!

სულ ეს იყო. მეტი არაფერი. სოხუმელი მასწავლებელი აპოლონ ბენდელიანი გარეთ, ჰაერზე გავიდა ამ ამბის გაგების შემდეგ.

სავსებით სწორად და სიამაყით წერს კობა:

„ასე ბრძანა დენილობაშიც პედაგოგიურ დარჩენილმა მამაჩემმა, აპოლონ ბენდელიანმა“.

რა იყო შემდეგ?

ისევ კობას მოვუსმინოთ:

ვინც მამაჩემს იცნობდა, იცის, მე მის დავალებას შეუსრულებელს ნამდვილად ვერ დავტოვებდი. არც ვნანობ.

ახლაც მახსოვეს იმ ადამიანის გაკვირვება, ვისაც ვთხოვე ჩვენს სახლში მცხოვრებლებისათვის ინფორმაციის მიწვდენა...“





## გლოკინტი კარგი აშშეზის ჩასაწერად

2017 წლის 8 სექტემბერს ჩემს მეგობარ ნანა ჭანტურიასთან რედაქტირაში მივედი... ნანა ძალიან კარგ და საჭირო საყმანებილო უურნალ „იალქანს“ გამოსცემს აფხაზეთის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს თანადგომით.

რაღაც იდეა შევთავაზე ერთ პატიოსან აფხაზ კაცზე, რომელიც ჩემი ჩხოროწყუელი მეგობრის ბენო ჯობავას ღვიძლი ბიძა იყო. ეს კაცი, გვარად ჯობუა, გუდაუთის რაიონის სოფელ აციში ცხოვრობდა, იქვე დაიღუპა და დაკრძალვაზე ჩასულ ჩემს მეგობარს ერთი რამ ემცხეთა, ყველა აფხაზი, ვინც მას პატივი მიაგო, ერთხმად აღიარებდა, რომ მას სიბინძურე არ ჩაუდენია და ქართველის ქონებაზე ხელი არ წასცდენია.

ეს მახსოვდა ბენოს მონაყოლიდან და ნანას შევთავაზე, ჩაეწერა ინტერვიუ ბენოსთან. ნანას იდეა კი მოეწონა, მაგრამ „ხურდაში“ უფრო საოცარი ფაქტი მოაყოლა.



თურმე რამდენიმე დღე ჭანტურიებს სტუმრად ჰყოლიათ სოხუმიდან ჩამოსული მამიდა, ნათელა ბელქანია, რომელსაც ომის შემდეგ სოხუმი არ დაუტოვებია, იქ დარჩა და დღემდე იქაა.\* მას მოყვოლია ნანასთვის, რომ იქ, სოხუმში, აფხაზეთის ტელევიზიაში მუშაობს ოცი წლის გუდაუთელი აფხაზი ბიჭი, სახელად ახრა, რომელიც დღესაც ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს თურმე. არადა სოხუმში ქართველთა ცარიელი მიტოვებული საცხოვრებელი ბინები და სახლებით იქაურობა სავსეა, მაგრამ ამ ახრამ არაფრით არ ისურვა ასეთ ბინაში ცხოვრება.

ნანამ მორიდებით მამცნო, მეტი ვერაფერი მოვიფიქრე და ამ პატარა, შვილების ტოლა უმცროს უცნობ კოლეგას საჩუქრად ბლოკნოტი გავუგზავნე წარწერით – „კარგი ამბების ჩასაწერად!!.“

## ჩემი ხახლი უკეთესია, ის დავწვდო!

ედიშერ ჯანჯულია ზვიად გამსახურდიას მთავრობაში გალის რაიონის პრეფექტი იყო. არაერთი განსაცდელი დაატეხეს თავს ეროვნული ხელისუფლების განდევნის შემდეგ მას ხუნტისტებმა. მერე იყო აფხაზეთის ომი და ამას დევნილობაც მოჰყვა.

2018 წლის იანვარში მან ფეისბუკში გამოაქვეყნა გალის რაიონის სოფელ ოქუმის მკვიდრთა ფოტო. ფოტოდან ოთხი ახალგაზრდა ბიჭი შემოგვყურებს. მათგან ორი გარდაცვლილი აღმოჩნდა. ედიშერი იგონებს, როგორი სულიერი სიდიადის მაგალითი დაგვიტოვა ერთ-ერთმა.



როცა აფხაზეთი მოღალატური პოლიტიკის გამტარებელმა ხუნტისტურმა ხელისუფლებამ მტერს ჩააბარა, გალში შემოჭრილმა ჩეჩენ-აფხაზთა და რუსთა მებრძოლებმა ადგილობრივების დახვრეტა-ნამებასთან ერთად დაიწყეს მათი სახლების გადაწვაც.

\* – მასალა დასაბეჭდად მზად იყო, როცა შევიტყვეთ ამ ქალბატონის გარდაცვალება.



იმ დროს შუქრი გოგოხია აფხაზებმა ოქუმის ცენტრში დაიჭირეს და საბიგვავოს უბანში წაიყვანეს. იქ ცეცხლში იყო მთელი უბანი გახვეული. შუქრისაც უბრძანეს, თავისი ხელით წაეკიდებინა ცეცხლი ერთი სახლისთვის. თან სასტიკად გააფრთხილეს, წინააღმდეგ შემთხვევაში უდაო სიკვდილი ელოდა.

როგორც ედიშერ ჯანჯულია წერს, დიდი მამის მიერ და დიდ ოჯახში გაზრდილმა, თავადაც დიდი ბუნების ვაჟკაცმა შუქრი გოგოხიამ მყისვე უპასუხა მოძალადეებს – „მე აქედან, ასე, კილომეტრნახევარში ვცხოვრობ, იქ ამაზე ბევრად უკეთესი სახლი მიდგას, წავიდეთ და იმას მოვუკიდებ ცეცხლსო...“

შუქრი გოგოხიას სიტყვებმა გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა აფხაზებზე. მათ შუქრიც ცოცხალი გამოუშვეს და არც ის სახლიც დაწვეს. თუმცა, სამწუხაროდ, ამ ომმა შუქრი გოგოხიას სიცოცხლე მოგვიანებით მაინც შეიწირა.

## მეომარი, რომელიც მჭრის შავშვის... გადარჩენას შეენირა!..

სულისშემძვრელი სახასიათო ისტორია დადო ჩემმა ფეისბუქმეგობარმა თამთა დემურიშვილმა 2017 წლის 4 იანვარს თავის გვერდზე.

1993 წელს, აფხაზეთში ომში, სოფელ შრომასთან დაიღუპა 25 წლის თბილისელი ბიჭი ზაზა გამგებელი. სნაიპერის ტყვიამ გააცივა მისი გული. მხოლოდ თბილისში გადმოსვენების შემდეგ გაირკვა მისი დაღუპვის მიზეზი.



თურმე ერთ-ერთი შეტევის დროს ზაზას აფხაზი ბავშვის ტირილის ხმა შემოესმა. ზაზა სანგრიდან ამოვიდა და ბავშვისკენ გაემართა. მივიდა, ხელში აიტატა და უკან, სანგრისკენ გამოეშურა. მშვიდობით მოალწია კიდეც სანგრამდე, ბავშვი თანამებრძოლებს გადასცა, მაგრამ მეტი ვერ შეძლო - იქვე მოუსწრო აფხაზი სნაიპერის ტყვიამ, რომელიც მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა.

სიკვდილის წინ ესდა მოუხერხებია და თანამებრძოლებისთვის უთქვამს – მეც ორი პატარა მყავს სახლში და მოუყევით, რომ არ ვაპირებდი მათ მარტო დატოვებასო...



## კონსერვი, პური და ლირსერის ქართული გაგება!

სოხუმი რომ დაეცა, დევნილები საკენის უღელტეხილით სვანეთში გადავიდნენ და პირველ ხანებში ბინა იქ, ჭუბერის საშუალო სკოლის შენობაში დაიდეს. საკენში კი დარჩა დევნილთა დიდი ნაკადი, მათ შორის, სამხედროების.

ჭუბერში ყოფნისას გადაწყდა, რომ გაჭირვებაში ჩავარდნილი ხალხისთვის პური და კონსერვი მიენოდებინათ. გამზადდა ვერტმფრენი „მი-8“ და გაფრინდნენ საკენისკენ.

ვერტმფრენის გამცილებლობა „კვირის პალიტრის“ სამხედრო უურნალისტმა ირაკლი ალადაშვილმა იკისრა. მოვუსმინოთ მას:



„ზემოდან კარგად ჩანან უღელტეხილის გზაზე უწყვეტ ნაკადად მომავალი დევნილები. მფრინავებს ვუთითებ დასაჯდომად ვარგისა ადგილს, ვკადებით, შვეულმფრენი არ რთავს ძრავას, ხრახნები ტრიალებს, მიწაზე კონსერვების და პურის ნაწილი ჩამოვტვირთეთ, გზა საკენისკენ უნდა გავაგრძელოთ...“

ხალხი მადლიერი თვალით გვიყურებს, საკვებს იღებს და გზას აგრძელებს, მათ შორის მებრძოლებიც არიან. მოულოდნელად ისინი კონსერვებს უკან ყრიან და გვაგინებენ...

რა ხდება? თურმე ჩვენს შვეულმფრენში მყოფ ორ უცხოელ უურნალისტს მსხვილი პლანით იმის გადალება დაუწყიათ, თუ როგორ იღებენ სამხედროები კონსერვებსა და პურს, რამაც ამ უკანასკნელების საშინელი გალიაზიანება გამოიწვია.

ვცდილობ, დავაწყნარო – ძმებო, გუშინ მეც თქვენს დღეში ვიყავი და ნეტავ ასე ვინმეს პური მოენოდებინა-მეთქი. არ მისმენენ – თქვენი მათხოვრები არ ვართ, რომ ჩვენი გასაჭირი მთელ მსოფლიოში გამოაჭენოთო, ყრიან საკვებს და გზას მშივრები, მაგრამ ამაყი სახით აგრძელებენ...“ ესეც შენი კოლექტიური პარადოქსი ქართული ხასიათისა.

## „წერლენიაში“ გაწვლილი... ნივა!

სოციალური ქსელის მომხმარებელმა დავით ახრახაძემ 2017 წლის 2 ივლისს ფეისბუქით ოჩამჩირები, ტამიშთან დალუპული მეომარი და მეგობარი ვახტანგ დანელია გაიხსენა.



იგი, კანონიერი ქურდი, აფხაზეთში საომრად არავის მოუხმია, მაგრამ ომში თვითონ, საკუთარი სურვილით წავიდა – ვერავის ჩავაფურთხებინებ სულშიო. აფხაზეთში ომისას მან ისეთი რამ გააკეთა, რაც, ალბათ, ბევრის სტანდარტში ვერ ჩაჯდება:

საკუთარი ნივა რუსებს ტანკის ცეპლენიაში გაუცვალა... ვახტანგ დანელია იქ, ტამიშთან 1993 წლის 2 ივლისს რუსების გადმოსხმულ დესანტს შეაკვდა.



თითქოს ჩქარობდა, რაც შეიძლება მეტი მოესწორ, მეტი დაეწერა და დაეხატა; თითქოს გრძნობდა, რომ ხანმოკლე იქნებოდა მისი ამჟღვნად ყოფნა.

მართლაც, მეტეორიზით გაიელვა მისმა სიცოცხლემ და ქართული ცა გაჟანრია...

დათო კრანაშვილი, უნიჭიერესი მხატვარი, პოეტი, მოაზროვნე, რომელსაც დიდ მომავალს უწინასრარმეტყველებდნენ და რომელიც მხოლოდ 17 გაზაფხულს მოესწორ.

სიცოცხლეშივე „პატარა გენიოსაც“ აღიარებული, უამრავი ფერწერული თუ გრაფიკული ნამუშევრის, 35-მდე ლექსის და 10-მდე დღიურის ავტორი (დაჯილდოვებული იყო მუსიკალური ნაწარმოებების იმპროვიზაციის ნიჭითაც).

წელს დათო კრანაშვილის გარეაცვალებიდან 40 წელი გავიდა. მისი ნიჭის თაყვანისმცემლებისთვის ფლესაც ძვირფასია დათო კრანაშვილის შემოქმედება, ხოლო პლანეტა 53146,\* სახელით „დათო“ ახლაც დაფრინავს უსასრულობაში.

### დათო კრანაშვილი (1963 – 1980)

**\* \* \***

აბა, გაზაფხულზე რა უნდა მარტოობას,  
გიპოვი სადმე და ქვეყანას დაგიმტკიცებ,  
მე შენი თვალებით შევხედავ სამყაროს.

არ გჯერა?

თუ გინდა იებზე დაგიფიცებ –  
„პატარა იების სიცოცხლეს გეფიცები,  
მათ ახლად ახელილ თვალებს“.  
ო! ისე ლამაზად მეყვარები,  
შენს თავს შენ თვითონვე შეგაყვარებ,  
არა, გაზაფხულზე რა უნდა მარტოობას,  
გიპოვი სადმე და ქვეყანას დაგიმტკიცებ.  
მე შენი თვალებით შევხედავ ყვავილებს.  
არ გჯერა?  
თუ გინდა იებზე დაგიფიცებ –  
„პატარა იების სიცოცხლეს გეფიცები“.




**\* \* \***

დღეს ჩემი სული ტაძარია და სანთელია ასანთები,  
დღეს მხოლოდ შენ ერთს გაბარია ტაძრის კარების გასაღები.  
მოდი, ამანთე სანთელივით, ნახე ხატი და სალოცავი,  
თვალები ფართოდ გახელილი, ღიმილი ასე საოცარი,  
რატომ დღემდე ვერ შევამჩნიე, ვის უნდა ვუთხრა საყვედური,  
რატომ დღემდე ვერ დავამჩნიე ჩემს ბილიკს შენი ნაფეხური,  
დღეს ჩემი სული ტაძარია და სანთელი ასანთები,  
დღეს მხოლოდ შენ ერთს გაბარია ტაძრის კარების გასაღები.



## მწყინს?!

ეს ერთი ღამეც თეთრად მათენდება,  
გარეთ წვიმს...  
მოვა ერთად დღე და დაფეხება...  
აი, ეს მწყინს!  
ეს ნახატი სხვისთვის მენანება;  
წვიმს.  
კაცი რომ თავის თავში ვერ ეტევა...  
აი, ეს მწყინს!  
და კიდევ საათი რომ თავის თავში ვერ ეტევა,  
მწყინს!  
კიდევ ბევრი რამ მწყინს...  
ნუთუ, ისევ წვიმს?..  
წვიმს!..



\* \* \*

გაირბენს დრო და ჩაივლის წლები,  
საათი დარეკს და ისიც მოვა.  
გამიფრინდება ბავშვობის წლები,  
მოვა ზაფხული და შემოდგომა.  
შემოდგომაზე დავხატავ სურათს  
და მე ეს ტილო გამითქვამს სახელს,  
დაველოდები მერე ცივ ზამთარს  
და მაინც ბოლო ნახატი მამხელს.  
მოვა ზამთარი, გამოიცვლებით,  
ჩაიძირებით მოგონებებმი...  
ოთახში ჩუმად გარდავიცვლები  
ჩემი პალიტრით და ფუნჯით ხელში.  
გასვენების დღეს იქნება წვიმა.  
წვეთები უკვე წუნუნს იწყებენ,  
მიმაბარებენ თბილისის მიწას  
და მერე ალბათ... დამივიწყებენ...

\* \* \*

გამიქრა ყრმობის ოცნებები,  
ტკბილი ზღაპრები,  
მოვარდა ქარი, წაყოლა  
ჩემი აფრები.  
სად არ გიარე, სად არ მივაწყდი  
ავდრად აშლილი, –  
ძილმორეული, ცრემლმორეული  
ბავშვი – ბავშვივით...  
უცბად ვიხილე სანუკვარი  
მძიმე კარები,  
ხმაც გავიგონე – რეკლენ მძიმედ  
ცივი ზარები.  
შეშინებულმა ვთქვი უსიტყვოდ,  
დე, იყოს ნება...  
კარებზე დიდი ასოებით ეწერა –  
„ხე-ლოვ-ნე-ბა“.





ჩვენო ყმაწვილებო,

იმედია, ამჯერადაც დაგაინტერესებთ რებრიკა „ო, ენავ ჩემო“-ს ორი ვერიდი. ვაგრძელებთ დილი მეცნიერის \_ არნოლდ ჩიქობავას „ქართული ენის განმარტებითი ლექსიურიდან“ საანბანო თანმიმდევრობით ამოქრებილი სიტყვების ბეჭდვას. დარწმუნებულნი ვართ, ამა თუ იმ სიტყვის განმარტება იცით კიდევ, თუმცა მათ პარალელურად გელოფებათ არაერთი საინტერესო ლექსიური ერთეულის არანაკლებ საინტერესო ახსნა.

ამჯერად გთავაზობთ „გან“-ის, „დონ“-ისა და „ენ“-ის მრავივში ანბანური რიგითობით განთავსებულ სიტყვებს.

• გ •

**გააზატება** – აზატად ქცევა – განთავისუფლება (ყმის)

**გაალიცლიცებს** – პირამდე აავსებს

**გააღადლადებს** – ძლიერ გაანათებს, გააღვივებს  
(ცეცხლს, ნაკვერჩხალს)

**გაბუსკნული** – კარგად გამაძლარი (იტყვიან ბავშვზე)

**გაგრია** – უსწავლელი, გაუნათლებელი

**გავაზი** – მტაცებელი ფრინველი



გავაზი -  
მტაცებელი ფრინველი



**გარაბადი** – კავებიანი ან რქებიანი დგამი  
ტანსაცმლის ჩამოსაკიდებლად –  
საკიდარი

**გარიბალდი** – კრაველის ქუდი (XIX ს.-ის იტალიელი მოღვაწის  
სახელის მიხედვით)

**გარმიანული** – (ძვ.) უცხო, შორეული ადამიანი, გადამთიელი  
გაქირი – ჯიუტი, ოჩანი

**გაცრიატდება** – გაფერმკრთალდება

**გეზელი** – მამალი მონადირე ფრინველი (შავარდენი, ქორი, მიმინო...)

**გეზელქორი** – მამალი ქორი

**გერილი** – წვიმა, რომელიც წარმოუშენს და მალე გადაიღებს

**გოგორა** – ურმის, ეტლისა და მისთანის  
თვალი, ბორბალი

**გოზაური** – ღვინო-არყის ჩამოსასხმელი  
მოზრდილი თიხის ჭურჭელი

**გოხი** – კლდის ნატეხი, რიყის ქვა

**გუგულისკაბა** – ბალახოვანი ტყის  
მცენარე, წითელწინწკლებიანი  
ყვავილებით

**გულურა** – ერთი შეკვრა წვრილი შეშა,  
ფიჩი

**გუთნეული** – გუთანში ერთი შებმა  
ხარ-კამეჩი (4-დან 8 უღლამდე)



გოგორა – ურმის, ეტლისა და  
მისთანის თვალი, ბორბალი



• ვ •

**დააფრაკებული** – დაპრეცილი

**დაბლარი** – დაბალი ვაზი, მიმაგრებული სარჩე ან მავთულზე  
(საპირის. – მაღლარი)

**დავლური** – 1. ქართული ცეკვა; 2. დავლური ომი – (ძვ.) თავდასხმითი ომი

**დავრიში** – (აღმ. ქვეყნ.) – მოხეტიალე მუსულმანი ბერი

**დაინინდება** – დაინიშნება (ვისიმე საცოლედ)

**დალალი** – 1. გრძელი ნაწნავი; 2. შუაკაცი ვაჭრობაში; 3. – მაჭანკალი



**დაფიონი** – ცის კილურის ალისფრად  
შელებვა მზის ამოსვლის წინ

**დალაობა** – გლოვის ზარი (თუშეთში)

**დარახტული** – რახტით (ოქროსა და  
ვერცხლის აღვირი) მორთული  
(ცხენი)

**დაუნალავი** – დაუჭედავი (ცხენი, საქონელი)

**დაფიონი** – ცის კიდურის ალისფრად შელებვა  
მზის ამოსვლის წინ

**დაშარტული** – მაგრად შეკრული (თოკით, არტახებით)

**დგანდგარი** – დიდი ხმაურობა, გრიალი

**დედაფუტყარა** – ბალახოვანი მცენარე

**დედოფალა** – მტაცებელი ცხოველი (კვერნების ოჯახის)



**დავრიში** – მოხეტიალე  
მუსულმანი ბერი

**დინდგელი** – სკის შავი ცვილი

**დიხაშხო** – უნაყოფო, მწირი მინა

**დროშიონი** – (ძვ.) სალოცავში მიმავალი ხალხი, რომელსაც წინ

**დროშის მზიდველი** ხევისბერი ან ხატის მსახური მიუძღვდა  
(ფშავში)

**დუმფარა** – წყლის მცენარე, ზედაპირზე ატივტივებული

**ფოთლებითა და ყვავილებით**

**დუშაყი** – ცხენის ფეხების დასაბორკი თოკი ან ბორკილი



**დუმფარა** – წყლის მცენარე,  
ზედაპირზე ატივტივებული  
ფოთლებითა და ყვავილებით

• გ •



**ემბაზი** – ქრისტიანული  
წესით ბავშვის მოსანათლავი ჭურჭელი

**ენკენისთვე** – სექტემბრის ქართული სახელწოდება

**ერდო** – შუაცეცხლის თავზე ამოქრილი ადგილი –  
სარკმლისა და საკვამურის დანიშნულებით

**ერქვანი** – გუთანი (სახნავი იარაღი)

**ესკადრა** – სამხედრო ხომალდების მსხვილი შენაერთი

**ესკადრილია** – სამხედრო-საავიაციო შენაერთი

**ესპერანტო** – ერთ-ერთი ხელოვნური საერთაშორისო ენა

**ეფრემვერდი** – ასტროლოგიური (ვარსკვლავთმრიცხველობის) წიგნი;

**იგივე** – ეფუთი

**ეჯიბი** – (არაბ.) 1. ქართველი მეფის დიდი მოხელე;

2. მეფის მეჯვარე



„თვითმფრინავი №658093 ითხოვს აფრინას ზაურ ბეჭია, რიგითი სოხუმელი, უმაღლესი კატეგორიის სამოქალაქო მფრინავი, ისტორიული რეისის იმ ეკიპაჟის მეთაურია, ზვიალ გამსახურდის სიცოცხლე რომ ებარა და უდიდესი რისკის ფასად გადაარჩინა იგი“, - წერს ფეისბუქმობმარებელი მედეა ცაგარეიშვილი.

დიახ, ზაურ ბეჭიას, ლეგენდარულ მფრინავს, რომელმაც 1992 წლის იანვარში თავისი ქვეყნიდან დავინილი პრეზიდენტი ოჯახთან და დაცვის წევრებთან ერთად ერევნიდან გრიოზნოში გადააფრინა, იყნობს საზოგადოება.

ბატონი ზაური, ამავე დროს, ბრძანდება ქართულ-აფხაზური სახალხო დიპლომატის თავმჯდომარე და ორივე მხრიდან არაერთი შეხვედრის მონაწილე; თუმცა, წლებია, სახალხო დიპლომატის ფარგლებში სახელმწიფოებრივი აქტივობა შენელებულია.

აფხაზი მეგობრისადმი - სტანისლავ ეშბასალმი გაგზავნილი გულწრფელი წერილი, ვფიქრობთ, ზაურ ბეჭიას ამ გარემოებამ დააწერინა; იმანაც, რომ ქართულ-აფხაზური თანაცხოვრების მიღმა საუკუნეებით შეფუთული ჯანსაღი ურთიერთობები მაინც ეიმედება.

## “შეიძლებოდა, ეს ბარათი არასოდეს მომავარა...“

ზაურ ბეჭია

ჩემო მეგობარო, პატივსაცემო ადამიანო, ჩემო სტანისლავ!

მსურს, წერილი დავიწყო იმით, რომ დრო სწრაფად გარბის და ჩვენ, გუშინდელი ძმები, სულ უფრო ვშორდებით ერთმანეთს. ერთმანეთისგან ჩვენ უკვე გვყოფს არა მდინარე და ხიდი, არამედ ჩვენ შორის უდიდეს დაბრკოლებად აღმართული კედელი, რომელიც, ოქვენთვისაც არაა დასამალი, რომ ის „ჩრდილოეთელთა“ და „ოკეანისგაღმელთა“ დამსახურებაა.

არადა, აფხაზები და ქართველები ამქვეყნად ხომ თანაცხოვრებისთვის ვართ მოვლენილნი. რაც უფრო დროულად გამოვნახავთ ერთმანეთთან საერთო ენას, მით მალე და ბუნებრივად გაიღება ჩვენი „ჩარაზული კარები“. სხვა გზა არა გვაქვს, თითოეული ჩვენგანი უნდა ჩაუღრმავდეს ქართველ-აფხაზთა საერთო წარსულს, უნდა დაგვაფიქროს ნათესაურმა კავშირებმა, შერეულმა ოჯახებმა, ნათლობა-ძინიშვილობამ, რაც ოდითვან ასე გვეამაყებოდა.

ეს ურთიერთობები, დროით გამოცდილი, საუკუნეებს ითვლის. მაგრამ ამ წრფელმა, შეუბლალავმა დამოკიდებულებამ გასტანა მანამდე, ვიდრე სიყვარულითა და თანხმობით მიღწეულ თანაცხოვრებაში არ შემოიჭრა უკეთური ძალა, რომელმაც დღევანდელი უმძიმესი რეალობის წინაშე დაგვაყენა.

ამიტომაც ვამბობ ასე თამამად და ხმამალლა, რომ შეიძლებოდა ამ ომის თავიდან აცილებაც და ისიც, რომ ეს ბარათი არასოდეს მომენტრა თქვენთვის!

შეიძლებოდა კი არა, აფხაზეთში აფხაზებსა და ქართველებს, როგორც გუშინ და გუშინწინ, ისევ თანხმობითა და ერთმანეთის გვერდით უნდა გვეცხოვრა, ამ ღვთიური კუთხის ბატონ-პატრონები ისევ ერთად უნდა ვყოფილიყავით, „ამრაზე“ ისევ ერთად უნდა ვმდგარიყავით ქვიშაზე მოდულებული ყავის რიგში...

ჩემო სტანისლავ, ჩემო მეგობარო, როგორ მინდა, ჩემნაირად თქვენც მისვამდეთ შეკითხვებს: ნუუ არ დადგა დრო, ვიყოთ ერთმანეთთან გულახდილები და გავიგოთ სიმართლე, რომელსაც

საგულდაგულოდ ვმალავდით და ვმალავთ, საზოგადოებამ შეიტყოს, რატომ არ იცნობენ ერთმანეთს აფხაზი და ქართველი ახალგაზრდები, რა ამოავსებს უერთმანეთოდ ჩავლილ დროსა და მანძილს, როგორია დაგვიანებული სინანული და რა სახელი უნდა დავარქვათ ტრაგედიას, რომელიც დაიწყო 1992 წლის 14 აგვისტოს?

ეს იყო (და არის) უმძიმესი ტრაგედია! მომავალში, თუნდაც გამწვავდეს ურთიერთობები ქართველებსა და აფხაზებს შორის, მაინც გავიმეორებ, რასაც, წლებია, ასე დაუინებით ვამბობ: რაც მოხდა, არ უნდა მომხდარიყო! არ უნდა დაგვეშვა ომის ესკალაცია! გაიწირა ახალგაზრდობა, რომელიც ამ ომში ორივე მხრიდან ჩაერთო.





კი, იყო ომი, მაგრამ მასაც აქვს თავისი დაწერილი თუ დაუწერელი კანონები, რომელსაც როგორდაც უნდა დაყვე... .

ქართველი და აფხაზი დედების ერთ-ერთ მორიგ აუდიენციას მეც ვესწრებოდი. მაშინ ერთმანეთს შეხვდნენ ძაძებში შემოსილი აფხაზი და ქართველი დედები. მათ შორის იყვნენ აფხაზი ესმა ჯიკირბა, აძიუშელი ქალბატონი, რომელსაც ჯერ სახლი დაუწვეს და მერე ოჯახის თითქმის ყველა წევრი მოუკლეს – მამა, დედა, და, ბებია, ბაბუა, და, რაც ყველაზე საშინელია, ორივე ვაჟიმვილი; აქ იყო ქართველი ნაირა კალანდიაც, რომელსაც თვალინი მოუკლეს 17 წლის შვილი და მერე ესეც არ აქმარეს... გამოტანილი განაჩენი იყო სასტიკი. და ეს იცის ორივე მხარემ.

არაერთი ასეთი უმძიმესი შემთხვევის მიუხედავად, ეს დედები მოგვიწოდებენ, შევხვდეთ ერთმანეთს, შევრიგდეთ, გაგრძელდეს გაწყვეტილი ქართულ-აფხაზური ურთიერთობები. არ გაიწიროს საერთო მომავალი...

მაში, მოდით, ჩემო სტანისლავ, უური დავუგდოთ შაოსან დედებსაც!..

მაგრამ, თუ გვსურს, სიმართლეს თვალი გავუსწოროთ, საჭიროა, ქართველები და აფხაზები უფრო ხშირად ვხვდებოდეთ ერთმანეთს, და ვხვდებოდეთ „იმ მესამე“ სუბიექტის გარეშე, ვინც დღესაც ჩვენს შორის დგას.

ამ შეხვედრებისას იქნება კამათი, იქნება მწვავე პოლემიკა, იქნება მწარე, მაგრამ სამართლიანი რეპლიკები, ერთმანეთის მიმართ გამოთქმული. ჩვენ ვალდებული ვართ, მოთმინებით ავიტანოთ და მოვისმინოთ შეულამაზებელი ფრაზები, შეფასებები! ჭეშმარიტება, როგორც იტყვიან, კამათში იპადება!

ამიტომაც ეს შეხვედრები ისევ სახალხო დიპლომატიის ეგიდითა და ჩვენივე თანამოქალაქების, აფხაზებისა და ქართველების და, რაც მთავარია, უხუცესთა თანამონაწილეობით უნდა გაგრძელდეს.

აქ არანაირი პოლიტიკა არ უნდა ჩაერთოს!

ძალისხმევა არ უნდა დავიშუროთ ჩვენ, ჭეშმარიტმა აფხაზებმა და ქართველებმა, საერთო სამკვიდროს შვილებმა და არა „უცხო სუბიექტებმა!“

ძვირფასო მეგობარო!

მე ის მაღლვებს, რომ მცირერიცხოვან ეთნოსს ემუქრება ასიმილაციის საშიშროება; ქართველებთან თანაცხოვრებისას კი ამ საფრთხის წინაშე არ ალმორჩნდებოდით!

მავანი, ჩვენ შორის „ის მესამე“, მუდამ ცდილობდა, აფხაზის თვალში ქართველისგან მტრის სატი შეექმნა! პირიქით კი არასოდეს ხდებოდა!  
ჩვენი ახალგაზრდა თაობა, აფხაზიც და ქართველიც, ისე უნდა იზრდებოდეს და ყალიბდებოდეს მენტალურად, როგორც ცხოვრობდნენ, ურთიერთობდნენ ერთმანეთთან უხსოვარი დროიდან ჩვენი ლირსეული წინაპრები.

ლრმად პატივცემულო ჩემო მეგობარო, სლავა ახმედის ძევ, გონიერი აფხაზი, ქართველი და თითოეული ადამიანი, ვინც დედამინის ამ სამოთხისებრ მხარეში ცხოვრობს, ელოდება დღეს, როცა ქართულ-აფხაზური სახალხო დიპლომატია პოზიტიურ შედეგებზე ალაპარაკდება; როცა დავიჯვერებთ, რომ მხოლოდ მშვიდობა და სიყვარული იმაჯვებს ავკაციობაზე; როცა არასოდეს არ ვიტყვით, რომ „ზღვა, რომელიც შორია“, არც ქართველისაა, არც აფხაზის, ის „იმ მესამე კაცისაა“, რომელსაც უკვე ორი საუკუნეა, პოეტისა არ იყოს, „აფხაზეთზე თვალი უჭირავს“; როცა მოგვენატრება სოხუმი, გაგრა, სადაც აფხაზურთან ერთად ქართულსაც გავიგონებთ, როცა ვინამებთ, რომ ყოვლისშემძლება უფალი და რომ „შეუძლებელი კაცთათვის შესაძლებელია ლვთისთვის“.

ჩემო მეგობარო, უმორჩილესად გთხოვთ, ერთად დავძლიოთ სირთულეები, არ შეგეშინდეთ წინააღმდეგობების; უნდა აღვადგინოთ სიყვარულის, თანხმობისა და პატივისცემის ხიდი, რომელიც ოდითგან არსებობდა ჩვენს ხალხებს შორის! მაქსიმალურად უნდა დავიხარჯოთ!

ამ საგვარტომო საქმეში თქვენს გევრდით მიგულეთ ერთგულ ჯარისკაცად.

გფარავდეთ უფალი და ლვთისმშობელი.



სოხუმის სანაპირო

ლოის იმედითა და ერთოლი სულილებით თქვენი უმოქმედობის მემკანი გადასაცემა.



## მაიმუნი

მაიმუნმა შემთხვევით  
თაფლში ჩადგა ფეხები.

სიხარულით, ის იყო,

დადნა, გაიპრანჭა,

რომ მის სიახლოვეს

მიწის თაგვი გაჩნდა.

და მაიმუნს შესძახა:

– მართლაც რჩეულს ვეხები!

შეიძლება, ბატონო,

აგილოკო ფეხები?

თაგვს კურდღლელი მოჰყვა,

კურდღლელს კიდევ თახვი,

მლიქენელები სიებს

წერდნენ მისი ნახვის.

მაიმუნმაც მშენივრად

შეიფერა მეფობა,

თქვა: – რა კარგი ყოფილა,

როცა თაფლში ეფლობი!

მაგრამ მალე, როცა

დაილია თაფლი,

ყველაფერი უცებ

გაქრა, როგორც ქაფი!

მაიმუნი ისევ

დარჩა მაიმუნად

და დაიწყო ხეზე

ძრომა ძველებურად!

## ი გ ა ვ ე ბ ი

### ფითრი ლა მქხატვა

მსხლის ხეზე რომ ცხოვრობს ფითრი,  
მსხლის ასაკსაც თვითონ ითვლის.

ბაქიბუქობს: – მსხალზე ადრე

მე გავჩინდი და დავიბადე!

და მსხალი რომ ისხამს ნაყოფს,

თვითონ ჩემობს და ამაყობს;

იქ რომ ძველი ცაცხვებია,

თავხედს მათიც არ რცხვენია.

მსხლის ხეზე რომ ფითრი ცხოვრობს,

ადგენს ალბომს სამახსოვროს,

სადაც მსხალი არც კი მოჩანს,

არ თვლის ფითრი ხახვის ფოჩად.

ნუთუ, აღარ იცის ფითრმა,

სადაც თავის, სხვისიც ითქვას?

რადგან თუ არ იქნა მსხალი,

მასაც ელის დღე სასხლავით!





## “ბატონის ციხის” საოჯახო ექსპონატები

**„ნათელო კახეთო!..”**

კახეთის ქალაქებს შორის ერთ-ერთი უძველესია თელავი. ქალაქის სახელწოდებას ეტიმოლოგიურად უკავშირებენ ხე-მცენარეს – თელას, რომელიც საკმაოდ დამახასიათებელია ამ რეგიონისთვის.

**XIX ს.-ის გამოჩენილი გერმანელი საზოგადო მოღვაწე და ლიტერატორი არტურ ლაისტი თელავსა და კახეთზე წერდა:**

„ნათელო კახეთო! ტყიანი მთების გვირგვინი შემოვლებია შენს მწვანე ველ-მონდორს. მზე და მთვარე შენი მეგობარია, ვისაც უნდა, სასწაული იხილოს, მან სავსემთვარიან ლამეს თელავიდან ალაზნის ველს უნდა უყუროს.“



„ბატონის ციხე“. თელავი

თელავის ერთ-ერთი ისტორიული უბანია XVII-XVIII ს.ს.-ში კახეთის მეფეთა რეზიდენცია, ქართული გვიანთეოდალური ხანის საერო ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანი ძეგლი — „ბატონის ციხე“.

დღეს უკვე თელავის ამ ისტორიული მუზეუმის კომპლექსში შედის ციხის ზღუდე ორი ალაყაფის კარით, მეფეთა სასახლე, აგებული XVIII ს.-ის 60-იან წლებში მეფე არჩილ II-ის მიერ, ორი კარის ეკლესია, აბანო, სასახლის ტერიტორიაზე გაყვანილი გვირაბი და ერეკლე მეფის დროინდელი წყარო, რომელსაც „ბატონის წყაროს“ უწოდებენ.

თუმცა ალსანიშნავია გაერთიანებული ჰერეთ-კახეთის პირველი მეფის-კვირიკეს მიერ (X ს.) აშენებული „სასახლე დიდი, ვითარცა ქალაქი“.

როგორც თელავის ისტორიული მუზეუმის საარქივო მასალებში ამოვიკითხეთ, „არჩილმა ახალი სასახლე კი არ ააშენა, არამედ კვირიკისეული ძეველი სასახლე განაახლა. კვირიკისეულ ციხე-სიმაგრეში არქეოლოგიური კვლევის დროს ალმოჩენილი ნაგებობის ნაშთები მეფე კვირიკეს დროინდელია“.

თელავის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი მანც ერეკლე II მეფობის ხანას ეკუთვნის. გამეფებიდან (1744) სიცოცხლის ბოლომდე (1798) მან თავისი ცხოვრება უძლვნა ქართველი ერის ფიზიკური გადარჩენის ცდას.



ერეკლე II-ის  
მომქრაცლი ბარძიმი



## ერებულე მეფის პირადი ნივთები



**დარეჯან დედოფლის მიერ  
მეუღლისადმი, ერებულე II-დმი  
მიძღვნილი ვერცხლის სასმისი**

თელავის ისტორიულ მუზეუმში დაცულ უამრავ ექსპონატს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ბაგრატიონებისა და, პირადად, ერებულე მეფის საოჯახო ნივთები.

მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციაში დაცულია ვახტანგ VI-ის დაარსებულ და უკვე შემდგომ ერებულე II-ის მიერ განახლებულ სტამბაში დაბეჭდილი სიგელ-გუჯრები, საეკლესიო და საერო ხასიათის ხელნაწერები და, რაც მთვარია, ნაბეჭდი წიგნები: ოთხთავი, საქმე მოციქულთა; ყველაზე მნიშვნელოვანია 1786 წელს გამოცემული სახარება, რომელიც ერებულე მეფის ერთ-ერთი საგვარეულო ნივთია და ახლაც ინახება მუზეუმში, გვირგვინოსნის სამუშაო ოთახში.

**ერებულე II-ვე ეკუთვნოდა მაღალფეხიანი მოოქრულ-მოვერცხლილი სასმისი-ბარძიმი, რომელიც ფერწერული მინანქრითაა შესრულებული და შემკულია წმინდანთა პორტრეტებით. შიდა მხარეს დასმულია თარიღი – 1794 წელი; ამასთან, სლავური წარწერა მიუთითებს, რომ სასმისი რუსეთიდანაა გამოგზავნილი.**

მუზეუმის ექსპოზიციაში გამოფენილი ორი ხმალიც ერებულეს სახელთანაა დაკავშირებული. ერთ-ერთი, მაღალი ხარისხის ფოლადისგანაა დამზადებული; მოსევადებული\*, ვერცხლისტარიანი ხმალი ერებულე მეფეს უჩუქნია სიმამრისთვის-იასე დადიანისთვის. პირადი მხედრული წარწერა გვაუწყებს: „მეფე ერებულე ი. დადიან უძლვნი 1770 წ.“

მეორე ხმალი, გადმოცემით, ეკუთვნოდა სახელოვან ხევსურ ვაჟკაცს-ძალლიკა ხიმიკაურს, ასპინძის ბრძოლის მონაწილეს. ხმალი ხევსურულია, პირი – ფოლადის, ტარი – ხის.



ისტორიული ფაქტია: ერებულე II-ეს, რომელსაც 500-ზე მეტი დიდი და მცირე ბრძოლა ჰქონდა გადატანილი და „აღმოსავლეთის ნაპოლეონსაც“ ეძახდნენ, ხშირი ხმლის ქნევისგან ბევრად განვითარებული ჰქონია მარჯვენა მხარ-ბეჭი.



ერებულე II-ის მოსევადებული ხმალი (მხედრული წარწერით)



მუზეუმში, ერეკლე მეფის ოთახში, პატარა საწერ მაგიდაზე დგას ვერცხლის სასმისი ნარწერით — „სახსოვრად მეფეს ერეკლეს — დარიასაგან“, ანუ ერეკლე II-თვის ფიალა უჩიუნია მეუღლეს — დარეჯან დადიანს. ჭურჭლის გარე პირზე ამოჭრილია მეფე-დედოფლის პორტრეტები, დათარილებული 1780 წლით; სასმისს მეორე დამღაცა აქვს, ხელოსნის სახელის მონოგრამა\*, რაც „იაკობს“ უნდა ნიშნავდეს.



რვაწახნაგოვანი, ხის ჩარჩოიანი,  
რომაული ციფერბლატითა და ფერადი  
სადაფებით ორნამენტირებული საათი  
რუსეთის იმპერატორს — ეკატერინე II-ეს  
ერეკლესთვის საჩუქრად გამოუგზავნია  
1880 წელს; უფრო სწორად, ფრანგული საათი მეფის  
უსაყვარლესი ქალიშვილის, თეკლე ბატონიშვილის  
საქორწინო ძლვენი ყოფილა.

ერეკლე II-დმი რუსეთიდან  
გამოგზავნილი ფრანგული საათი

მოჩუქურთმებული, მეტალის ისრებიანი საათი მუზეუმში დღესაც ერეკლეს ოთახს ამშვენებს. საათი გაჩერებულია დილის 7 საათზე, იმ დროზე, როცა გარდაიცვალა დიდი გვირგვინოსანი.

საინტერესოა ერეკლე მეფის ქალიშვილის — ქეთევანის პირდაპირი შთამომავლის ნაქონი ქულაჯა\*\*, ხავერდის, ოქრომკედით ნაქარგი (ვაზის ტოტისა და ყურძნის მტევნის მსგავსი ორნამენტი). იგი 1977 წელს ამერიკიდან ჩამოსულმა მეფის შთამომავალმა ქეთევან ნაკაშიძე-რატიშვილმა უსახსოვრა მუზეუმს.

P.S. ერეკლე II-ის  
სახელწიფო რეფორმებმა  
ძირულად შეცვალა ქვეყნის  
პოლიტიკურ-ეკონომიკური და  
კულტურული ორიენტაცია;  
მისი სახელი ქართველთათვის  
იქცა თავისუფლებისა და  
ეროვნული დამოუკიდებლობის  
სიმბოლოდ.

ბუნებრივია, თითოეული  
ნივთი, რომელიც უკავშირდება  
ამ სახელოვან გვირგვინოსანს,  
ფასდაუდებელი განძია არა  
მარტო მუზეუმისთვის,  
არამედ თითოეული  
ქართველისთვის.



ერეკლე II-ის შთამომავლის ნაქონი ქულაჯა

\* — ორი ან რამდენიმე ასოსგან შეთხზული ნიშანი (ნახატი).

\*\* — ძვირფასი ქსოვილის ზედა სამოსი, ბეწვმოვლებული.



მკითხველს, როგორც დავაანონსეთ წინა ნომერში, ვთავაზობთ თანამედროვე ამერიკული ავტორის ნინო სტრონის ნოველის „სტვენა ორი თითით“ გაგრძელებას (ფასანისი „იალქანი“ №46).

თხრობა თითქოს სხვა სიმძაფრეს იძენს, წინ მოდის მისტიკურ - ფინგასტიკური პლანი; ფრანგულინის ბრძოლისას\* დატუშელთა სათლავები სწორედ რომ შესანიშნავი გარემოა საამისოლ.

„წელიწადის ამ დღეს ყოველთვის ვცოცხლდებით“, - ეებნება ოლივიას, ნოველის მთავარ პერსონაჟს (თხრობა პირველ პირშია. რედ.) სამოქალაქო ომში დალუპული ახალგაზრდა. ლამის, დაიჯერი, რომ მართლაც ხდება რატაც მისტიკური, დაუჯერებელი რამ; ოლივიასთან ერთად ლამის შენც გაგეუინოს სისხლი ძარღვებში, მაგრამ მალე კანი იხსნება და იგებ, რომ ყველაფერი უწყინარი (იოლი სათქმელია) ხემრიბა იყო, მხოლოდ სახელდახელოდ გათამაშებული პერიოდმანი. მშვენიერი ჰეფი ენდია!

შესანიშნავი ქართველი პოეტისა და მწერლის ნინო ტარბაისელის მიერ თარგმნილი (და უანგარიდ მოწოდებული კურნალისთვის) „სტვენა ორი თითით“, ვთიქობთ, კარგი საახალწლო საჩუქარია „იალქნის“ მკითხველთათვის.

## სტვენის მრი ილია\*\*

ნინო სტრონი  
ინგლისურიდან თარგმნა ნინო დარბაისელია

ფრანკლინიდან ნეშვილის საერთაშორისო აეროპორტამდე მანქანით შორი არ არის, თუ ინტერსტეიტი თავისუფალია. რეგისტრაციამდე, მინიმუმ, ორი საათით ადრე უნდა იყო იქ, მით უმეტეს, პატარა ბავშვითა და ამდენი ბარგით. დრო კარგად გვქონდა დაგეგმილი. მანქანებში ჩავსხედით, მე – ისევ მის დებორასთან, ისინი – თავის ნაქირავებში და კმაყოფილები დავიძარით!

არა... ეს – ჩენ დავიძარით, მათი მანქანა კი არ იძვროდა, მოვტრიალდით უკან, რაღაცები სცადა მის დებორამ, მაგრამ უშედეგოდ. დრო თუ მთელი დღე უნელესად მიდიოდა, ახლა უკვე გარბოდა. აქამდე მშვიდ და თავაზიანად სევდიან სახეზე ყველას ნერვიულობა დაეტყო.

რა ვქნათ! უბერი ხომ არ გამოვიძახოთ? – დაინტენ სასწრაფო გამოსავლის ძებნა მის დებორამ. დარეკა. იქიდან უბასუხეს, რომ ახლა დღესასწაულია, სტუმრებითაა გადატვირთული ყველაფერი და რაც შეუძლიათ, ისაა, რომ ორმოცდახუთ წუთში იპოვონ სედანის ტიპის მანქანა და გამოუშვან, თუმცა გარანტირებულად – მხოლოდ თხუთმეტ წუთში ეტყვიან პასუხს. სედანი – პატარა მანქანას ნიშნავს. კარგი, ბარგის ნაწილს აქეთ გადმოვაწყობდით, ქარსით მაინც გადასაყინებელია, ბარგი – გადასალაგებელი, ამას, მინიმუმზე მინიმუმი, თხუთმეტი წუთი მაინც დასჭირდებოდა, უბერის კომპანიას, თავისი მხრით, ყველაფერი საუკეთესოდაც რომ მოეგვარებინა, ანუ ესეც – ერთი საათი!



ნეშვილ-სიეტლი – კვირაში ორჯერ დაფრინავს და თანაც სტუმრები ბილეთსაც ვერ გადაცვლიდნენ ამ წინასაშობაოდ, მით უმეტეს, დაფიქსირებულთარილიანი ბილეთები ჰქონდათ.

მე აქ დავრჩები და სუვენირების მაღაზიაში დაგელოდებით-მეთქი, – ვთქვი და სასტიკი უარი მივიღე. ჩაბარებულს, თანაც არასრულწლოვან ბავშვს, მე ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავტოვებ უცხო ქალაქში უმეთვალყურეოდ, ეს გამორიცხულიაო, – მის დებორამ.

– შეგიძლიათ, სუვენირების გამყიდველს და კიდევ სხვებსაც სთხოვოთ, რომ ყურადღება მომაქციონ,

– მოვძებნე გამოსაგალი, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, მტკიცე უარს მივიღებდი და ამის ნაცვლად დავრწმუნდი ადრე წაკითხულში, – რომ, როცა ადამიანები გამოუვალ დდგომარებაში აღმოჩნდებიან, არაპროგნოზირებადები არიან.

უკვე დაძრულზე, ჩამოწეული ფანჯრიდან უცებ ჩემი განუყრელი პლედი მესროლა, ჰაერში დავიჭირე და წავიდნენ!



უკვე გამყიდველებისთვის ჩაბარებული, სუვენირების  
მაღაზიის თაროებზე გამოფენილ ყველაფერს დიდი  
გულდასმით ვსწავლობდი. თითქმის ერთი საათი ასე  
გავიყვანე, მერე მომწყინდა შიგნით ყოფნა. ქალების  
საპირფარეშო ზუსტად მაღაზიის კარის წინაა,  
კლიენტებით დაკავებული გამყიდველის მზერა დავიჭირე,  
ვანიშნე, იქ გავალ-მეთქი. მართლაც შევედი, გამოვედი,  
მაგრამ მაღაზიაში აღარ შევპრუნებულვარ. ჩავისუნთქე და  
იმამს ვიგრძენი, ნოემბრის საღამოს მზე რომ გადადის,  
მთელი დღის მცხუნვარება როგორ უცებ იცვლება  
სუსხით. პლედი შემოვიხვიე და სასაფლაოსკენ წავედი,  
რადგან მუზეუმიდან, რომელიც ხელმარცხნივ დარჩა,  
ხალხი გარეთ გამოდიოდა, შესვლა ფასიანია და ხუთი  
წუთისთვის ბილეთს ხომ არ ვიყიდდი; სასაფლაო კი  
ხელმარჯვნივაა და უფასოა, რამდენიც გინდა, ათვალიერე  
თეთრი სტელები, საბავშვო სარკოფაგები და შტატების  
მიხედვით ჩამწკრივებული, 1500-მდე პატარა, ერთნაირი,  
დანომრილი ან ინიციალებიანი საფლავის ქვა, თითოეული  
– ასე, ბიუტერიის ზარდახშის ტოლა.

ახლიდან ვნახე კერი მაკვავოკის – სამხრეთის ქვრივის,  
მისი სამი პატარისა და მთელი ოჯახის საფლავები, შევედი  
შიგა ალაყაფის კარში და მარჯვნივ, ქვის სკამზე დავჯექი  
პლედმოხვეული, დაღლამ და ძილმა თავი წამართვა.

– მეემ, მეემ! – მომესმა ძილ-ბურანში ხმა, – ყველაფერი კარგადა? აქ, სიბნელეში რატომ ზიხართ,  
ჩემს საფლავთან არ გირჩევნიათ?

ოდნავ გავახილე თვალი. ჩემ წინ, არც მაინცდამაინც ახლოს, კონფედერალისტის რუხუნიფორმიანი,  
ჩემი ტოლი ბიჭი იდგა, შებინდებულშიც კი მოუჩანდა ცეცხლისფერი, მოგრძოკულულებიანი თმა და  
რაღაც უზარმაზარი, მუქი ლურჯი ან შავი, წყლიანი თვალები. უფრო ფართოდ გავახილე თვალები.  
საკმაოდ ბნელოდა, თორემ შევხედავდი და დავრწმუნდებოდი, მოჩვენება იყო თუ არა. წამიკითხავს,  
მოჩვენებებს ჩრდილი არა აქვთო. გულის მიდამოებში უნიფორმა უსწორმასწორო წრედ, უფრო  
მუქი უჩანდა, ალბათ, შემხმარი სისხლია-მეთქი, გავიფიქრე და გამაკანკალა. ხმა არ ამომილია. ის  
ალაპარაკდა:

– მე ჯონათან ტაკერი მქვია, მემ!

დღეს ოცდაათი დეკემბერია, ჩვენი დღე. ყველანი ვცოცხლდებით წელიწადში ერთხელ ამ დროს,  
ხუთი საათით და ისევ გარეთ გამოვდივართ. ყველაზე სისხლიანი სამოქალაქო ბრძოლა ამერიკის  
ისტორიაში ამ მიდამოებიდან ცოტა მოშორებით, 1864-ში, დღის ოთხ საათზე დაიწყო და სულ რაღაც  
ხუთ საათში, ღამის ცხრისთვის უკვე დასრულდა. ჩემი უსახელო საფლავის გვერდით რომ ასეთივე  
უსახელოა, იქ ჩემი მეგობარი წევს,

მამაჩემი ოფიცერი იყო და თავიდან  
არ მივყავდი ბრძოლაში, ბოლოს  
ზარბაზნისთვის სატენის მისაწოდებლად  
დაგვიტოვეს მე და ის, – დენი, დენიელი.  
მე ეს ფორმა ჩემი უფროსი ძმისგან  
მერგო, მას კი რომ შესციდა, ისე  
მოიქცა, როგორც ბევრი მაშინ – მკვდარ  
მოწინააღმდეგე იუნიონელს გახადა  
ლურჯი უნიფორმა და ჩაიცვა, რომ  
გამთბარიყო.

ტყვია ბრმაა, მემ! დენის ზურგიდან  
მოხვდა ვიღაც ჩემიანის ნასროლი და  
ადგილზევე მოუღო ბოლო.





მე როგორ მოვკვდი, არც გამიგია.  
სამოქალაქო ომი ასეთია, მემ, ვინ ვის კლავს და რატომ,  
ხშირად მათვისაც გაუგებარია, ქვეყანა, ჰო, მაგრამ ასეთ ომს  
გამარჯვებული მეომარი არა ჰყავს, მემ, ვინც ცოცხალი რჩება,  
ისიც მკვდარია.

ნუთუ ჩვენ, ყველა უნდა მოვმკვდარიყავით, რომ ერთიანი  
ქვეყანა გადარჩენილიყო!

– ჯონათააააან, ჯონათაააააან! – მოისმა ქალის შორეული ხმა  
ზემოდან, იქიდან, სადაც ბალნარის თეთრი, გრძელი ღობეა და  
დავლანდე თავიდან ფეხებამდე ვიქტორიანულ შავ ტანსაცმელში  
ჩაცმული, პირბადიანი ქალის გამოსახულება, თეთრ ღობე-ეკრანს  
რომ მიუყვებოდა, თითქოს მისრიალებდა თუ დაბალზე მიფრინავდა.

– ჯონათააააააან! – ახმიანდნენ ყოველი მხრიდან შორეული  
ლანდები.

– ვწუხვარ, უკვე უნდა წავიდე! – თითქოს გამოქვაბულიდან  
გამომავალი ხმით თქვა ჯონათანმა, – ნუ გეშინიათ, გემუდარებით,  
მემ, სულ რაღაც წამით დაიცადეთ, თვალი დახუჭეთ და ვიდრე  
სტვენის ხმა არ მოგესმებათ და არ მიწყდება, არ გაახილოთ!

თვალები მაგრად დავუჭე და მართლაც არ გამიხელია. ჯერ  
ოდნაც მოისმა ხმა, მერე გაძლიერდა და რხევებად გაიშალა  
ირგვლივ სიბრძელეში. მერე უცებ შეწყდა. თვალი რომ გავახილე  
და მიმოვიხედე, დაბლა, მარცხნივ, სუვენირების მაღაზიის წინ,  
ავტოსადგომზე უკვე დებორას განათებული მანქანა დავინახე.  
სირბილით დავეშვი და შიგ შევხტი. კბილს კბილზე მაცემინებდა.  
ჯეკსონში დაბრუნება უკვე გვიანი იყო, დებორამ გადაწყვიტა,  
იქვე, ფრანკლინში, ემას მამის ნათესავებთან, რამბლებთან  
დავჩენილიყავით და გზიდანვე მობილურით შეუთანხმდა.

უნდა ვალიარო, ჩემი წუხანდელი უძილობის მიზეზებში მთავარი – სწორედ ჯონათანი იყო.  
ჩემი წითელკულულებიანი, დიდთვალება, ჩემი მოლანდებული თუ წარმოსახული ბოიფრენდი!  
როგორ ამბობს ეინშტეინი? წარმოსახვა – ცოდნაზე მნიშვნელოვანია, რადგან მთელ სამყაროს  
მოიცავსო!

სამყარო კი, გარდა ხილულისა, უხილავისგან შედგება და უხილავი – ხილულზე მეტია.

\* \* \*

შოფინგზე სიარული მიყვარს, მაგრამ ბევრი ფულია საჭირო. წამოსვლისას დედაჩემმა ხუთი  
ცალი ათდოლარიანი კი მომცა სხვების დასანახად, მაგრამ ჩუმად დააყოლა, გქონდეს ყოველი  
შემთხვევისთვის, მაგრამ ეცადე, არ დახარჯო. კაფეტერიამდე ისე მივაღწიეთ, უფროსებმა  
ყველაფერი გაივსეს ნაყიდებით, მე კი ცენტიც არ დამიხარჯავს. რიგი დიდი იყო. ალბათ, ერთი საათიც  
მოგვიწევდა დგომა. ირჩევ საჭმელს, იხდი ფულს, გაძლევენ ნომერს, გადიხარ შემოღობილის გარეთ და  
შენს ნომერს რომ გამოაცხადებენ, შეხვალ და მაგიდასთან დაგსვამენ.

უცნაურია, როცა ვინმეზე ფიქრობ და გენატრება, ვიღაცებს სულ მას ამსგავსებ და ყოველ ჯერზე  
გული გიხტის.

თავიდან, მამა რომ მენატრებოდა, ვიდრე გავიგებდი, რომ ჩვენი მეზობელი შეირთო ცოლად  
და გული სულ გამიცივდებოდა, ყველა კაც-ექიმში მას ვხედავდი, მით უმეტეს, დოქტორ ტონიში,  
რომელმაც ოლივია დამარქვა ჯუანიტას წაცვლად, რადგან თავიდან ესპანურად ყველას ასე  
ვესალმებოდით დედა-შვილი – „ოლაა, ოლაა!“ ჰოდა, ოლა ოლივიად დაამრგვალა და დღემდე ყველა  
ასე მექანის.

ჰო, დღეს აქ ერთი ხუთი თმახუჭუჭა, გრძელ, წითელთმიანი ბიჭი მაინც მივამგვანე ჯონათანს..  
ყველა მათგანს ბაცი ან მუქი ლურჯი თვალები კი ჰქონდა, მაგრამ პატარა ან საშუალო ზომისა და არც  
უბრნყინავდა.



ჩემ წინ კი, კაფეტერიის რიგში, სულაც გამხდარი, მაღალი, გრძელთმიანი გოგოა, ორ მეგობართან ერთად; იმხელა ლურჯი თვალები აქს, თითქოს რაიმე ანიმაციური ფილმის გმირი იყოს. ვუყურებ და ვუყურებ. რამდენჯერმე მომხედა, ალბათ, დაჟინებული მზერა იგრძნო. უცებ მეგობრებს მიუტრიალდა და ეუბნება:

— არ მჯერა, აი ის — გუშინდელი ბავშვი, ჩვენებს რომ ჩაბარეს და სასაფლაოზე ძლივს ვიპოვეთ! შეხედეთ, ნამდვილად ეგაა! არა, უნდა მივიდე და დაველაპარაკო!

მე ჯერ ისედაც ენა მებმის და ახლა სულ მუცელში ჩამივარდა:

ჰაი! — მეუბნება, — მე წუხანდელი ჯონათან ტაკერი ვარ, სინამდვილეში ჯონა მქვია, ეს კი — მის მაკვავებია — მეგობარზე მიმითითა.

მეორე, შავთვალა გოგომ გულლიად გამიღიმა და პრინცესულად დამიქნია ხელი, მერე მეგობარს ყურთან მიუახლოვდა, „ჯონათააააა“ — მისტიკური ხმით ჩასჩურჩულა, გაცინა და განაგრძო;

— უნივერსიტეტის სტუდენტები ვართ, არტ პერფორმანსს ვსწავლობთ, ჩვენი დედები კარნ ტონის მუზეუმში ერთად მუშაობენ მთელი ცხოვრება და ბავშვობიდან ამ დროს ფრანგილინის ბრძოლის წლისთავისადმი მიძღვნილ, კოსტუმირებულ საქველმოქმედო პერფორმანსში ვმონაწილეობთ, შუადლეზე ეზოში რომ იმართება.

— მე ბრძოლაში დაღუპული ბიჭის როლში ვარ, — სიტყვა ჩამოართვა ჯონამ, — ჩემი მონოლოგის ტექსტი ხომ გაგაცანით წუხელ. ძალიან კი შეგვაშინე, რომ გეძებდით და ვერ გპოულობდით. ისე, ხომ კარგი იყო?

— დდდა-დ-ა — სტ-სტ-ვენა?

— აა, ორი თითით? თქვენი დეიდის მანქანა რომ დავინახე და დაგემშვიდობეთ? — აქ დიდკილებიანი პირით, ფართოდ გაიცინა და თავი ზურგჩანთაში ჩაყო, იქიდან ამოილაპარაკა, — გასწავლით, როგორ უნდა, ძელი არაა, აი, თქვენ — ნეშვილის საშობაო წარმოდგენის ორი ბილეთი. მე მთავარ როლში ვარ, სინდირელა, ესენი — ბოროტი დედინაცვლის შვილები არიან. მოდით და ყვავილები არ დაგავიწყდეთ.

რომ მომართმევთ ბოლოს, სცენაზე, მაშინ გასწავლით. შეიძლება, სელფი ერთად გადავილოთ?

პასუხს არ დალოდებია, ასეც მოიქცა.  
სურათი მაჩვენა — მე ორი ბილეთი მიჭირავს,  
მისი ხელი მაქვს მხრებზე გადმოხვეული, ორივე  
ვილიმით... მე, ჯერ კიდევ დაბნეულად, ის კი  
თვითდარწმუნებულად...

— თქვენი ნომერი მითხარით! ახლავე  
გამოვუშვებ!

— დამრჩა, მაგრამ შინ ხომ ვნახავ! — პირდაპირ  
ემა რამბლის ნომერი ვუთხარი. მე საკუთარი  
სელფონი ჯერ არა მაქვს და შობისთვის რომ  
მექნება, შემრცხვა ამის თქმა. სულ ვცდილობ, არ  
მოვიტყუო და არ გამომდის, რა!

ახლა წარმომიდგენია, ემა ამწამსვე სურათს  
რომ მიიღებს, ჯერ რომ ვერ მიხვდება, რაშია  
საქმე, მერე რომ ჩავალ და ამ ჩემს თავგადასავალს  
დაწვრილებით მოვუყვები და თანაც ერთად  
რომ წავალთ ნეშვილში საშობაო პერფორმანსზე  
ყვავილებით და ბოლოს სცენაზე ავალთ და  
დედოფლურად გამოწყობილ მთავარ გმირს  
მივართმევთ, ის კი იმდენ ხალხში ორ თითს ორივე  
მხრიდან პირში შეიყოფს და დაუსტვენს, რომ მეც  
მასწავლოს!





## მონაკრს სამთავრო

მონაკრს, ოფიციალურად მონაკრს სამთავრო, ვატიკანის შემცევ ყველაზე ჯუჯა ქალაქ-სახელმწიფოა. იგი მდებარეობს დასავლეთ ევროპაში, საფრანგეთის რივიერაზე.

მონაკრს ფართობი 2.1 კმ. კვ. ია, ხოლო მოსახლეობა 36,400, რითაც მსოფლიოში ყველაზე მჭიდროდ დასახლებული და, ამავე დროს, ყველაზე მდიდრებული ქვეყანა; აյ არ არსებობს საშუალო ფენა (ყველა ოჯახს ჰყავს იახტა), ცხოვრების კარგი პირობების გამო მონაკრს მოსახლეობა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ჯანმრთელია; სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა არის 90 წელი.

მონაკრს უძველეს მცხოვრებლებს (რომლებიც ქვეყანაში დაიბადნენ) ჰქვიათ მონეგასკები, რომლებიც მოსახლეობის 21% შეადგენენ.

მონაკრს სამი მხრიდან ესაზღვრება საფრანგეთის ალპები, ხოლო სამხრეთიდან ხმელთაშუა ზღვა. მთელი ქალაქი, შეიძლება, საათზე ნაკლებ დროში მოიაროთ, ნახოთ მისი ყველა ტიპის შესანიშნაობა.

ოფიციალური ენა ფრანგული, ასევე, ფართოდ გამოიყენება ინგლისური, იტალიური ენები და მონეგასკები დალექტი.

მონაკრში კონსტიტუციური მონარქიაა, რომლის სათავეში დგას პრინცი ალბერ II. მონაკრს სუვერენიტეტი ინფიციალურად 1861 წელს, ფრანგულ-მონეგასკები შეთანხმების შედეგად აღიარეს, ქვეყანას არ ჰყავს საზღვაო ფლობი, საპარი ძალები; არმია შედგება 100 ჯარისაცისგან (ნაციონალურ ორკესტრში მეტი ადამიანია).

1918 წლის ხელშეკრულებით მონაკრს დაცვაზე საფრანგეთია პასუხისმგებელი.

1993 წლიდან ქვეყანა არის გაეროს წევრი.

სამთავროს შემოსავლის მთავარი წყაროა ტურიზმი (ხუთიდან რომელი მცხოვრები ჩამოსულია) და აზარტული თამაშები. უმუშევრობა არის 3%; ქვეყანას არ აქვს შიგა სახელმწიფო ვალი. მოსახლეობა გათავისუფლებულია გადასახადებისგან.

მონაკრში 300 დღე მზიანია. აյ იმართება „ფორმულა 1-ის“ გრან-ტრის რბოლა და ყველაზე მდიდრებული პოლიტიკი.

ოფიციალური რელიგია კათოლიციზმია, თუმცა არის რელიგიური თავისუფლება.

### ლუქს კლასის ორი კვადრატული კილომეტრი

მონაკრს თითქოს ტურისტებისთვის შეიქმნა; მთები, ლაუვარდოვანი ზღვა, მდიდარი, მრავალსაუკუნოვანი ისტორია, პარკები, ბაღები, ცნობილი გასართობი დაწესებულებები ისე მიმზიდველია, რომ მისი მონახულება ყველა მოგზაურის ოცნებაა. სხვაგან ვერსად ნახავთ ამდენ ძვირადირებულ მანქანასა და იახტას.

მონაკრში არის პატარა, ხელოვნური, მაგრამ ყველაზე კარგი და განსაკუთრებული პლაჟი, რადგან ქვეყანა დგას ფრიალო კლდეზე; აյ არ არის ქვიშა და ქვები – ესაა წვრილი კენჭები; მასზე წოლა სასიამოვნოა და არც თმაში შეგრჩებათ.



მონაკრს სამთავრო

სამთავრო, დიდი ხანია, მოისიყვარულეს მსოფლიოს ყველაზე მდიდარმა და ცნობილმა ადამიანებმა, მაგრამ მონაკრს არის ლუქს კლასის ის ორი კვადრატული კილომეტრი, სადაც ღარიბებს არაფერი ესაქმებათ.



ქვეყანას, რომელსაც მთაგორიანი ლანდშაფტისა და ტერიტორიის სიმცირის გამო აეროპორტიც არ აქვს, შეგიძლიათ, 20 კილომეტრით დაშორებული ნიციდან ტაქსით, ექსპრესავტობუსითა თუ ვერტმფრენით ეწვიოთ, იმის მიხედვით, რა თანხის პატრონი ხართ.

სამთავროს შემოსავლის წყარო, გარდა ტურიზმისა და აზარტული თამაშებისა, არის ინვესტიციები და გადასახადები იმ მილიარდებთა, რომლებიც აქ უძრავ ქონებას იძენენ. არ შემინდეთ – კვადრატული კილომეტრი დაახლოებით 70 000 ევრო ღირს! თუმცა ამით ხომ ბინადრობის უფლებასაც ყიდულობთ (მონაკოს ბანკში 2 მლნ. ევროს შეტანით).



ნმინდა ნიკოლოზის სახელობის  
კათედრალური ტაძარი

მთელი მსოფლიოდან ჩამოსული მენარმეები, ფინანსური მაგნატები თუ კინოვარსკვლავები თავის მოსაწონებლად და საკუთარი ავლადიდების გამოსაფენად ტურისტულ სერვისებში, კაზინოებსა თუ გასართობ ატრაქციონებზე ნამდვილად გულუხვად ხარჯავენ იოლი გზებით მოპოვებულ ფულს.

## მარტოსაც ჰერაკლეს ნავსაყუფელი

მონაკოს ისტორია 1215 წლიდან იწყება, როცა დღევანდელი სამთავროს ადგილზე გენუის კოლონიის მშენებლობა დაიწყო. თავის სახელს მონაკო ძველ ბერძნებს უნდა უმაღლოდეს: საუკუნეების წინათ სწორედ აქ მდებარეობდა ბერძნული კოლონია მონოკი, რაც წიშავს „განმარტოებული ჰერაკლეს ნავსაყუდელს“.


1297 წლის 8 იანვარს, გენუაში გაჩაღებული სამოქალაქო ომის დროს, მონაკოს ტერიტორია თავის მომხრეებთან ერთად დაიკავა ფრანჩესკო გრიმალდიმ, რომელმაც სათავე დაუდო გრიმალდების დინასტიას.

1641 წლიდან მონაკო საფრანგეთის პროტექციის ქვეშ იმყოფებოდა, ხოლო 1861 წლიდან გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომლის მმართველობის სისტემა კონსტიტუციური მონარქიაა. გრიმალდები, რომელთა მმართველობა 700 წელზე მეტ ხანს ითვლის, ფლობდნენ აბსოლუტურ ძალაუფლებას; მაგრამ 1910 წლის მონეგასკური რევოლუციისა და 1911 წლის კონსტიტუციის შედეგად ავტორიტარული რაჟიმი მცირედით შემცირდა.

1942 წელს მონაკოში შეიჭრა იტალია და მოახდინა რა მისი ოკუპაცია, დაამყარა ფაშისტური მმართველობა. 1943 წელს, მუსოლინის დაცემის შემდეგ, ქვეყანა დაიპყრო ვერმახტმა, რომელმაც დაიწყო ებრაელთა დეპორტაცია.



მონაკოს ძველი უბანი – მთავრის რეზიდენცია



პრინცესა გრეისი და პრინცი რაინერ III

მონაკოს სამთავროს ნაცისტურ რეჟიმთან კოლაბორაციას შეეწირა სამთავროს მრავალი გამოჩენილი ადამიანი, მათ შორის, მონტე-კარლოს საბალეტო თეატრის დამაარსებელი რენე ბლუმი, ოპერის ხელმძღვანელი რაულ ჰანსბურგი, წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერები რენე ბორგინი, ჟოზეფ-ჰენრი ლაჟუ და ესთერ პოგიო.

**2015 წლის 27 აგვისტოს პრინცმა ალბერ II-ემ ოფიციალურად მოიხადა ბოდიში შეორე მსოფლიო ომში მონაკოს მონაწილეობაზე.**

## პრინცესა მუხუფოს მარჯვალზე

1956 წლის 19 აპრილს მთელი მსოფლიოს ფართო მედიით გაშუქდა პრინც რაინერ III-ისა და ამერიკელი მსახიობის გრეის კელის ქორწილი, რამაც კიდევ უფრო აამაღლა მონაკოს ცნობადობა.

პოპულარობის ზენიტში მყოფმა ჰოლივუდის ვარსკვლავმა, ოსკაროსანმა გრეის კელიმ მსახიობის კარიერას პირადი გრძნობები და ოჯახის შექმნა ამჯობინა და არც არაფერი დაუკარგავს: იგი სიცოცხლის ბოლომდე იყო ბედნიერი მეუღლე და დედა, ამავე დროს, მონაკოელების სათაყვანებელი პრინცესა.

1982 წლის 13 სექტემბერს ავტომანქანით მიმავალი გრეის კელი (თვითონ იჯდა საჭესთან) და სტეფანია, მისი ქალიშვილი, მონაკოს მთაგორიან გზაზე ხევში გადაიჩენენ. პრინცესა სტეფანია გადარჩა, ხოლო გრეის კელი მეორე დღეს, სამწუხაროდ, გონიერ მოუსვლელად გარდაიცვალა.

პრინცესა გრეისს თავისი ელეგანტურობის, შთამბეჭდავი ბიოგრაფიისა და სინატიფის გამო მონაკოელები (და არა მარტო) დღემდე თაყვანს სცემენ.

მონაკოში ჩასული ტურისტი დღესაც აღტაცებაში მოჰყავს ვარდების ბალს, რომელსაც პრინცესა გრეისი საკუთარი ხელით უვლიდა. 1984 წელს სწორედ აქ გახსნა თავადმა რენიეგ „ფანვეის პარკი“, რომელიც საყვარელი მეუღლის ხსოვნას მიუძლვნა.

## სამორინე „მონტე-კარლო“

მონაკოს მთავარი ღირსშესანიშნაობა, კაზინო „მონტე-კარლო“, ერთ-ერთი ყველაზე პრესტიულია მსოფლიოში. სწორედ მას უნდა უმაღლოდეს ქვეყანა თავისი სიმდიდრის დიდ ნაწილს; თუმცა სამთავროში არის კაზინოც „კაფე დე პარიზი“, სადაც შეგიძლიათ, ისაუზმოთ კიდევ.



სამორინე „მონტე-კარლო“

1850-იან წლებში, როცა სამთავროს ორი დიდი ქალაქი (ტერიტორიის თითქმის ცხრა მეტედი) გამოეყო, კარლ მესამემ შემოსავლის ალტერნატიული გზების ძიება დაიწყო. იგი დაუკავშირდა ფრანგ ბიზნესმენს, სათამაშო ინდუსტრიის კარგ მცოდნეს ფრანსუა ბლანს, რომელმაც დიდი ყოყმანის შემდეგ საფრანგეთის საუკეთესო არქიტექტორ შარლ გარნიესთან ერთად მიწის პატარა, კლდოვანი ნაგლეჯი აქცია ფეშენებელურ კურორტად.



„მონტე-კარლო“ დილიდან იღებს ტურისტებს. შეგიძლიათ, იქ სურათიც გადაიღოთ, შეპინდებისას კი მუზეუმი სამორინედ იქცევა. დაწესებულებაში იკრძალება მოწევა, ალკოჰოლი და ფოტოგადაღებაც. შენობაში შორტებითა და მაისურებით ვერ შეხვალთ, ვერც უფულოდ; თუმცა სანამ მდიდრები კაზინოს შიგნით ფულის ფლანგვით არიან გართულნი (რომელიც ბევრს სიცოცხლის ფასადაც უჯდება), გარეთ, შეგიძლიათ, დატვებით ძვირადლიბული, თქვენი საოცნებო მანქანების დათვალიერებით.

მონაკოს მოქალაქეებს კაზინოში თამაში ეკრძალებათ; ეს კანონი ყველას ეხება, თვით სამეფო ოჯახის წევრებსაც კი.

„მონტე-კარლოში“ გადაღებულია მრავალი ცნობილი ფილმი (მათ შორის, „ჯეიმს ბონდი“); სხვათა შორის, გადაღებისას ნებადართულია ნამდვილი საპრძოლო იარაღის გამოყენება.

## პატრია სამოცხე ხმელთაშე ზღვაზე

ხუთი კვარტლისგან შემდგარ მონაკოს სამთავროში არის ყველაფერი, რაც შეიძლება, იყოს გიგანტი სახელმწიფოში. უფრო მეტიც, აქ ყველაფერი დახვეწილად, სრულყოფილად არის ნარმოდგენილი.

მონაკოელები დიდ პატივს სცემენ წინაპრებს, ამაყობენ ისტორიითა და ტრადიციებით.

უჭუუბად ითვლება, თუ ოჯახის წევრი ნებისმიერ დღესასწაულს სახლის გარეთ აღნიშნავს. არ შეიძლება ახლობლების დატოვება მარტო. ერთი დიდი მაგიდის გარშემო იკრიბება ყველა; ითვლება, რომ ასე დაცულია ოჯახის ერთიანობა.

**მონეგასკები გამოიჩინევიან**  
სტუმართმოყვარეობით, მეგობრული დამოკიდებულებით. ყველა ტურისტს ეპყრობიან თბილად, უჩვენებენ გზას; მაგრამ არ უნდა შეურაცხყოთ მათი ეროვნული გრძნობები-არ მოიხსენიოთ ფრანგებად, არ შელახოთ მათი მონეგასკური თავმოყვარეობა. ეს ხომ ცალკე ერია ყველა თავისი კომპონენტით.



ვარდების ბალი „როზარიუმი“

მონაკოში არის ცნობილი ოპერის თეატრი და კლასიკური საბალეტო დასი (თავისი სიმფონიური ორკესტრით), რომელიც ხშირად მასპინძლობს მსოფლიო ვარსკვლავებს; ოკეანოგრაფიული მუზეუმი მნახველს აკვირვებს თევზის მრავალი სახეობით; ულამაზესი „იაპონური ბაღი“ სამთავროს ერთ-ერთი მთავარი ღირსშესანიშნაობაა; არის 5 კათოლიკური ტაძარი; მათ შორის, ერთი კათედრალური და სხვა კონფესიების წარმომადგენელთა სამლოცველოები; აქვს უნივერსიტეტი და ფეხბურთის სტადიონი.

სათავადოს უძველეს ნაწილში, მონაკო-ვილში მდებარეობს თავადის სასახლეც, რომელიც უკვე 700 წელია, მონაკოს მმართველი დინასტიის უცვლელი რეზიდენციაა.

მონაკოში 30 000 მუშა-ხელი ყოველ დღე ჩამოდის (და მიღის) საფრანგეთიდან. აქ არის 50-მდე ბანკის წარმომადგენლობა. ქვეყანა ცნობილია, როგორც საგადასახადო თავშესაფარი, ამიტომაც ითვლება იგი შეძლებულ ადამიანთა რეკრეაციულ ცენტრად.

**სამთავროს მცხოვრებთა 30%-ს ხომ მილიონერები შეადგენენ!**

ლიგურიის ზღვის\* სანაპიროზე მდებარე მინიატურულ ქვეყანას ტყუილად როდი უწოდებენ „ხმელთაშუა ზღვის პატარა სამოცხეს“; მონაკო, მართალია, ტურისტებს უკანასკნელ ცენტამდე უცარიელებს ჯიბეებს, მაგრამ ჩუქნის დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს; მართლაც, ამ წარმტაც სამთავროში მოგზაურობის ხიბლი არასოდეს დატოვებს თქვენს გულს.

\* – ხმელთაშუა ზღვის ნაწილი, საფრანგეთისა და იტალიის ნაპირებს შორის.



ჯერ კიდევ მოზარდს მოუსწორო ომბა. წესით, დედისერთა ბიჭი მალე უნდა გაერიცებინათ ცეცხლის საზზე მდებარე სოფლისთვის, მაგრამ მშობლებთან დარჩენა თვითონ ისურვა. ამიტომ ერთ დღეს მამასთან ერთად სანგარში მყოფი ორშერივ სროლაში რომ მოჰყვა, ალბათ, არ იყო შემთხვევით. აფეთქების ტალღამ ჰაერში აისროლა; გადარჩა, მაგრამ დაუზიანდა ხერხემალი, რამაც დროთა განმვინდაში მოძრაობა შეუზღუდა.

წყალგუბოს სანატორიუმებში განთავსებული დევნილებიცან ვინ არ იცნობდა ოჩამჩირის რაიონის სოფელ არალუს მჯვიდრს მანუჩარ მუშკულიანს, ზრდილ, ჰქვიან, სიყვარულით და სიკეთით სავსე ახალგაზრდას.

წლების მანძილზე დედასთან ერთად იბრძოდა სიცოცხლისთვის, არასოდეს კარგავლა იმედს. ბევრს კითხულობდა, დროდადრო წერდა კიდეც, იზრდებოდა სულიერად.

ახლა მანუჩარის სიცოცხლე მის ნაწერებში გრძელდება. ავტობიოგრაფიული მოთხოვნა „ვარდა“ მყითხველს გააცნობს ავტორის ფუქიზ შინაგან სამყაროს.

იქნებ ეს პუბლიკაცია მცირედი წუგეში იყოს მარტო დარჩენილი დედისთვის.

## ვარდა

### მანუჩარ მუშკულიანი



ქუთაისიდან ზუგდიდის მიმართულებით თითქმის ცარიელი ავტობუსი დილის ათი საათისთვის დაიძრა. მძღოლი ყველას, ვინც კი ხელს დაუქნევდა, უჩერებდა. ამის გამო მგზავრები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ; ღელავდა მძღოლიც, მაგრამ ცარიელი ავტობუსით სიარულს მაინც მგზავრების საყვედურებისა ატანა ერჩივნა.

ვლელავდი მეც, რადგან უნდა მენახა რვა თვის უნახავი ბაბუა, რომელმაც აფხაზეთიდან იძულებით წამოსვლის შემდეგ სამეგრელოში დაიდო ბინა. უნდა მენახა ვარდა, ცოტა ფეთიანი, კბენია, მაგრამ საოცრად გონიერი და ერთგული ცხენი, ჩვენი ოჯახის ნამდვილი მეგობარი. ბაბუას ახალი სამყოფლის ზუსტი მისამართი არ ვიცოდი, მაგრამ სოფელში რა დაკარგავს კაცს, მით უმეტეს, თუ ის დევნილია და თანაც, ცხენიც ჰყავს. ბაბუამ ხომ თავისი საყვარელი ვარდას წყალობით გამოაღწია სამშვიდობოს.

მალე ჩემთვის უცხო სოფლის შესასვლელამდე ჩავაღწიეთ და მძღოლმა ავტობუსი ტრასის პირას გამიჩერა. ცოტა არ იყოს, შიშმა შემიძყრო, მე ხომ იქ, ბაბუას გარდა, არავინ მეგულებოდა ნაცნობი. სოფლის გზას ფეხით გავუყევი, ფეხბურთის სტადიონი მქონდა ორიენტირად, იქვე, სადღაც, ბაბუას მიერ ახლადშეკონინებული სახლი, უფრო სწორად, ქოხი უნდა ყოფილიყო. უცებ რაღაც უხილავმა ძალამ მოედნისენ მიმახედა და ნაცნობი ჭიხვინიც მომესმა-

ჩემსკენ დამესავით შავი ულაყი მთელი სისწრაფით მოქროდა.

– ეს ხომ ჩემი ვარდაა! – დავიძახე

გახარებულმა და მეც მის შესასველად გავიქეცი.

მივგარდი ჭიშკარს, მაგრამ ვერაფრით გავალე,

საგულდაგულოდ ჩაეკეტათ. ვერ მოვითმინე,

ჭიშკარზე გადავდერი და ვარდას მოვეხვიე.

ვარდა უფრო გაზრდილიყო და

დაჭკვიანებულიყო. სადღა იყო ჯიუტი, ფეთიანი

ცხენი, მე და ჩემს თანატოლებს საკენად რომ

გვეტანებოდა და გვაწვალებდა. ვარდა სულ

ერთიანად თრთოდა სიხარულით, თითქოს

რაღაცის თქმას ცდილობდა ჩემთვის; დიდრონი,

შავი თვალებიდან ცრემლიც კი გადმოუგორდა და

რაღაცნაირად ამოიხვენება კიდეც.

უცებ შორიდან ხმამაღალი ყვირილი მომესმა.

მოვტრიალდი და რას ვხედავ: ვიღაც უცნობი





ჩვენკენ ჯოხის ქნევით მოიწევს და თან გაბრაზებული მეგრულად რაღაცას ამბობს. ახლოს რომ მოვიდა და მე და ვარდას შემოგვხედა, ცოტა დამშვიდდა. რომ გაიგო, ვინც ვიყავი, გაიხარა, მომიბოდიშა კიდეც, ცხენის ქურდი მეგონეო. ახლავე მიგიყვან ბაბუაშენთანო, მითხრა უცნობმა. მეც ვარდას დროებით დავემშვიდობე და უკანვე გადმოვძვერი ჭიშკარზე.

ვარდა მზერას არ მაცილებდა, იდგა გაუნძრევლად და ჭკვიანი, სევდიანი თვალებით მაკვირდებოდა, საით წავიდოდი. რაკი დარწმუნდა, ბაბუას სახლისკენ ავიღუ გზით, თავი ასწია, კმაყოფილებით დაიჭიბვინა და საძოვარს მიუბრუნდა.

ჩემი მეგზური, ბატონი უჩა, გზაში რაღაცას

მელაპარაკებოდა, მე კი გულისყური კვლავ ვარდასკენ მქონდა.

გამახსენდა, ერთხელ, იმის ხათრით, რომ ვარდაზე დამსვამდა, მამასთან ერთად როგორ წავედი ყანაში, რომელიც მდინარის გაღმა გვქონდა. დილით ადრე გავიღვიძეთ, შევაბით ვარდა ოთხთვალაში და გავწიეთ ყანისკენ.

როგორც კი სოფელს გავცდით და ტრიალ მინდორზე გავედით, მამას ვთხოვე, ჩემთვის მოეცა სადავე. ავერიფე სიჩქარე და, აი, მდინარეც გამოჩნდა, საშიშრად ამღვრეული და აღელვებული.

— ალბათ, მთაში ჩამოწვიმაო, — ამის თქმალა მოასწრო მამამ, რომ უკვე მდინარის პირას ვიყავით. ვარდამ, როგორც კი იგრძნო საშიშროება, შეეცადა, გაჩერებულიყო; წინა ფეხები მთელი ძალით დაასო მინას, უკანა ფეხებით კი ჩაჯდა და ადგილზე გაქვავდა. ინერციით ოთხთვალა და ჩვენც კინაღამ თავზე გადავემხეთ თავგანწირულ ცხოველს. მე და მამა, შიშნაჭამები, სასწრაფოდ გადმოვხტიოთ ოთხთვალიდან. ცხენი ადგილიდან არ იძვროდა, ისედაც ფართო თვალები კიდევ უფრო გაფართოებოდა, აჩქარებით სუნთქავდა და დღროდადრო უცნაურად ფრუტუნებდა.

მალე ნათელი გახდა, რა განსაცდელისგან გვიხსნა ვარდამ: ღამით მართლა ეწვიმა მთაში, მოვარდნილ წყალს მდინარის ფონი წაელეკა, ხოლო მის ადგილზე საკმაო სიმაღლის ხრამი წარმოქმნილიყო. რომ არა ვარდას გონიერება და სიმამაცე, ალბათ, ძალიან ცუდად წაგვივიდოდა საქმე.

ამ ფიქრებში ვიყავი, რომ ჩემი მეგზურის ხმამ გამომაფხიზლა: აჲა, მოვედით და აგერ ბაბუაშენიცო. ბაბუამ და შვილიშვილმა დიდად გავიხარეთ ერთმანეთის ნახვით, ხოლო ვახმობისა და ბატონი უჩას წასვლის შემდეგ გვიან ღამემდე ვილაპარაკეთ ტკბილად.

დილით ცხენის ჭიხვინმა გამომაღვიძა. ვარდას შეშით სავსე ოთხთვალა შემოჰქონდა ეზოში. ჩემს დანახვაზე კვლავ სიხარულით აფრუტუნდა. თავს აქნევდა, თითქოს მესალმებოდა. კისერზე ხელი მოვხვიე და დატალლულ ფაფარზე მოვეფერე. ბაბუა გაკვირვებული გვიყურებდა.

— ბიჭო, შენ არ იყავი, საკბენად რომ დაგდევდა, ახლა რა დაემართა?

— ალბათ, მოვენატრე.

— რა ვიცი, რაც შენ ნაჭენები გყავს...

— იქნებ, მაპატია...

ვარდა სიყვარულითა და ნდობით მომჩერებოდა. მე კიდევ ერთხელ გადავუსვი ხელი თავზე. თითქოს, მშობლიური კუთხის სითბოსთან ერთად ჩემი ბავშვობის დარჩენილი ნაწილიც თან ჩამოეტანა ვარდას. იქით გავიხედე, სადაც აფხაზეთი მეგულებოდა; ცოტა დავსევდიანდი. ჭიხვინმა გამომაფხიზლა; ცხენს ახლოს მოეტანა თავი ჩემს სახესთან, თითქოს მეფერებოდა და მანუგეშებდა: ნუ გეშინია, ჩვენ ხომ შენთან ვართ, შენი საყვარელი დედა, მამა, ბაბუა და მე, შენი მეგობარი ვარდაო.

უკვე ვიცოდი, სახლის მონატრებაც ამიერიდან ასე გაუსაძლისი აღარ იქნებოდა.





თავისი სიცოცხლის უკანასკნელი 3 წელიწადი ერეკლე მეფემ გაატარა თელავში. იმ დღეს, 1798 წლის იანვარის სუსტიან დილას, უკვე საკმაოდ დაუძლურებულმა, ითხოვა, გამიყვანეთ გარეთ, რომ სასახლის გალავნის ქონგურიდან ალაზნის ველს გადავხედოო.

ეს იყო უკანასკნელი თხოვნაც და სიცოცხლის უკანასკნელი დღეც.

„ყოველს ხალხთ უთხარით ჩემ მაგიერ, რომ იმ სოფელშიაც ლვთის წინაშე ვიქენები მვედრებელი მათის ბედნიერებისათვის და იმედიცა მაქვს, ლმერით არ დააგდებს თვის მოწყალებით ყოველს საქართველოს ერთა. ვინაითგან ლვთისმშობლის საუფლისწულონი ვართ, მარადის იმას არ მოვასვენებ ჩემის ვედრებითა. ნუ შეწუხდებით ჩემის სიკვდილისათვის, იქ არ დავეხსნები და ყოველთვის ლმერის „შეგვედრებთ“, - დაიბარა ანდერძად ერეკლე მეფემ, ხელმწიფე-რეფორმატორმა, მებრძოლმა და უფილესმა მხედართმთავარმა, თავისი დროის განთქმულმა პოლიტიკოსმა.

„მეფე ერეკლეს გარდაცვალება და მისი დაკრძალვა“ გამოჩენილი რესი სამხედრო ისტორიულისა და გენერლის ნიკოლოზ დუბრივინის (1837-1904 წ.წ.) წიგნის „გიორგი XII უკანასკნელი მეფე საქართველოსი და მისი შემორითება რუსეთთან“ პირველივე თავია.

„ინტერესი რუსეთის ამ ლვთით დაჯილდოებული პოეტი კუთხის მიმართ არასდროს არ ქრება“, - ალნიშნავს ნაშრომის წინასიტყვაობაში მისი გამომცემელი მ. ტერ-ასატუროვი.

ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან 70 წლის შემდეგ აღნერილი ამბავი (დუბრივინის წიგნი გამოიცა პეტერბურგში, 1867 წელს). თვითმხილველის მიერ განცდილი შთაბეჭდილებითა გადმოცემული; ნიკოლოზ დუბრივინი, სათანადო წყაროებზე დაყრდნობით, ცდილობს მეფის სასახლეში დატრიალებული უბედურების ყველაზე უმნიშვნელო ნიუანსი, სამეფო რიტეალით დაცული ქართული ადათის ესა თუ ის სამგლოვარო ტრადიცია არ გამორჩეს, რომ მეტი ესქარესიულობა შესძინოს თხრიბისა.

## ერეკლე II-ის გარდაცვალება და დაკრძალვა

ნიკოლოზ დუბრივინი  
რუსულიდან თარგმნა მედეა ლომიძე

ვაზის ზვრებით დაფარულ მდინარე ალაზნის ხეობაშია ჩაფლული ბაღებით შემოვლებული ქალაქი თელავი, ოდესლაც კახეთის სამეფოს ყოფილი დედაქალაქი. თვითონ ქალაქი მოფენილია თელებით გარშემორტყმულ სიმაღლეზე, საიდანაც შორიდანვე მოჩანს ხების ხშირ სიმწვანეში შერეული თეთრი ეკლესიები და ქალაქის კოშკები.

გარეუბნის გავლისას, რომელიც სამართლიანდ ვარდების ქუჩადაა წოდებული და რომელიც ასევე განთვენილია ბორცვზე და ბაღების ჯგუფითა გარშემოცული, თქვენ ახლაც შეგხვდებათ საკმაოდ დიდი თელავის ციხესიმაგრე, წინ წამოწეული თავისივე მრგვალი ბასტიონით. ციხესიმაგრის შიგნით, მოედანზე, დღემდე შემორჩენილია ქვითკირის ძველთაძეველი კედლები, რომელიც ბატონობს გარემოზე... ეს ციხესიმაგრე მეფისაა, თვით შენობა კი – კახთ-მეფეთა ყოფილი სასახლე.



ოთახი, სადაც დაიბადა და გარდაიცვალა ერეკლე II

სასახლე ოდესლაც შედგებოდა შუაში მდიდრულად მორთული ვრცელი დარბაზისგან, რომელსაც გვერდებზე აკრავს პატარა განსასვენებლები და აზიური სტილის გალერეები. 1798 წლის 11 იანვარს ქართველები ამ დარბაზში შეკრიბნენ, რათა ეგლოვათ თავიანთი მეფის ერეკლე II-ის გარდაცვალება.

თბილისის შემდეგ ერეკლეს უსაყვარლესი რეზიდენცია იყო თელავი, რომელთანაც მას აკავშირებდა საუკეთესო მოგონებები და ბედნიერი ცხოვრება. ჯერ კიდევ კახეთის მეფედ ყოფილისას, ერეკლემ მოიპოვა სამხედრო დიდება და ხალხის სიყვარული.



მთელ ამიერკავკასიაში ცნობილი იყო, რომ თელავი კახეთის მრისხანე მეფის რეზიდენციაა. თელავში ცხოვრებისას ერეკლემ თავისი ძალაუფლების ქვეშ გააერთიანა ქართლისა და კახეთის სამეფოები; აქ კი იმისათვის ჩამოვიდა, რათა სიცოცხლის დარჩენილი დღეები აქვე დაესრულებინა. როდესაც მისი ბედნიერების ვარსკვლავი ჩაქრა და თბილისში აღა-მაჰმად-ხანის შემდეგ მას ძალა არ შესწევდა, ეცეირა ნახანძრალი თბილისისათვის, ესმინა მის მცხოვრებთა ტირილი და ქვითინი; ამიტომ მიაშურა თელავს, რომ სიმყუდროვეში დაეღვარა ცხარე ცრემლები.

სიკვდილის უამს ერეკლეს გარშემო მხოლოდ რამდენიმე დიდებული და დაახლოებული პირი იმყოფებოდა. სამაგიეროდ იყვნენ მისი მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრები. ის სიცოცხლეს გამოეთხოვა მაშინ, როდესაც საკუთარ ოჯახში ნარმონიშვა განხეთქილებები და უთანხმოება; მის მიერ შექმნილი სამეფოსათვის ეს ძალზე დამრთვუნველი იყო.

მეფის სიკვდილისთანავე სასახლეში მაშინვე შეიკრიბნენ თელავში მყოფი კარისკაცები, სამოქალაქო და სამხედრო მოხელეები. სარეცლის წინ, რომელზედაც გარდაცვლილის სხეული ესვენა, სამეფო ტახტის მსგავს ამაღლებულ ადგილზე დააბრძანეს დიდი, მდიდრულად მორთული ბალიში, ზედ კი პორფირი\* დააფინეს; ბალიშის მარჯვენა მხარეს სამეფო რეგალიები მოათავსეს, მარცხნივ – დაქვრივებული დედოფლის სამეფო სამკაულები, მეუღლის ტანსაცმელთან და იარაღთან ერთად.

დაბალ ტახტებზე ისხდნენ  
დიდებულთა მეუღლეები,  
რომლებიც თავიდან ფეხებამდე  
შემოსილნი იყვნენ გრძელ, თეთრ  
საბურველებში. მკერდში მჯიდის  
ცემით ხმამალლა გოდებდნენ  
მეფის გარდაცვალებას. ქალების  
მოპირდაპირე მხარეს, ტახტის  
მარჯვნივ, „დადუმებული, ნაღვლიანი  
სახეებით“ იდგნენ სახელმწიფო  
ჩინოსნები, უმცროს-უფროსობისა  
და ღირსების მიხედვით. ყველაზე  
ზევით, ისხდნენ მეფის მინისტრები  
და ცერემონიმასტერები,\*\*  
გადამტვრეული კვერთხებით.



ერეკლე II და დარეჯან დედოფლი

ოთახის ფანჯრიდან მოჩანდა მეფის საყვარელი ცხენი, რომელიც სასახლის კარიბჭესთან უკულმა შეკაზმული იდგა. ცხენთან სიახლოეს მინაზე იჯდა თავშიმუშელი მოხელე.

ასე გამოიყურებოდა ოთახი, სადაც ესვენა გარდაცვლილი, როდესაც იქ შევიდა დედოფლი შვილების, ნათესავებისა და დაახლოებულ პირთა თანხლებით.

დედოფალი მიუახლოვდა გარდაცვლილს და ეამბორა; რამდენიმე წუთს დასტიროდა განსვენებულს და იცემდა მკერდზე, სახეზე და იგლეჯდა თმებს. შემდეგ მიუბრუნდა დამსწრეთ და ქართული წესის მიხედვით შესჩივლა მათ, რომ დაკარგა საყვარელი მეუღლე და შვილებთან ერთად სამუდამოდ დაოპლდა.

ქვეშევრდომებმა მისი სახით დაკარგეს ჭეშმარიტი მამა, – ამბობდა დედოფალი.  
მასთან ერთად იგივეს იმეორებდნენ სხვებიც.

გამოვიდა რა ოთახიდან, სადაც ესვენა გარდაცვლილი, დედოფალი მიუახლოვდა მოხელეს, რომელიც ცხენთან იდგა; დედოფალმა მასთან გაიმეორა იგივე, შემდეგ კი გავიდა თავის მოსასვენებელში.

იქ, იატაკზე, რომელიც მოფენილი იყო მდიდრული ხალიჩებით, იჯდა ღრმად მგლოვიარე ბედმავი ქვრივი, გაშლილი თმებით; იგი შეუჩერებლად ტიროდა, იგლეჯდა თმებს, იცემდა მკერდში მჯიდის, სევდიანი ხმით იხსენებდა გარდაცვლილის ღირსებებს და თავის უმწეო მდგომარეობაზეც მოთქვამდა.

\* – მეფეთა წითელი ფერის გრძელი ხავერდის საზეიმო მოსასხამი.

\*\* – უმაღლესი ჩინის მქონე კარისკაცი, რომელიც ხელმძღვანელობს სამეფო ცერემონიებს.



ქართული ადათით დედოფალი გარშემოხვეული იყო ქალების ჯგუფით, რომლებიც ამშვიდებლენენ უბედურს და მასთან ერთად ტიროდნენ.

დამსწრეთა ყურადღებას დროებით გაფანტავდა ხოლმე მეფის რომელიმე ნათესავის გამოჩენა. მისი მოსვლით სცენა იცვლებოდა. იგი უახლოვდებოდა ქვრივს, მის წინ მუხლებზე ეცემოდა და თავდახრილი აქვითინდებოდა: როგორ მეგობრულად ცხოვრობდა თანამეცხედრესთან, როგორი ლირსეული ადამიანი იყო იგი და რა აუნაზღაურებელი დანაკარგია ყველასთვის მისი სიკვდილი.

ვინ დავკარგეთ ჩვენ მისი სახით? – კითხულობდა შემოსული და მიმართავდა მოტირალი იქ მყოფ მგლოვიარე ადამიანებს.

განა იგი არ იყო ჩვენი ნუგეში და ქომაგი უმძიმეს დღეებში, ჩვენი გადამრჩენელი შიმშილის დროს და სიხარულის მიზეზი სიხარულში?

ვაი, ვაი, – პასუხობდნენ მგლოვიარენი.

განა მისი კეთილი მეუღლე არ იყო ჩვენი მეგობარი და დედა? ახლა კი ჩვენ ვხედავთ ჩვენს დაობლებულ დედას.

ნამოძახილითა და ცრემლებით პასუხობდნენ შემოსულის კითხვებზე.



ერეკლე II-ის სასახლის საელჩო დარბაზი.  
XVII-XVIII ს.ს.

დაასრულებდა რა თავის ხანგრძლივ იმპროვიზაციას, ის იწყებდა ქვითინს და ქვითინებდა გულამოსკვნით, უნუგეშოდ. ქვრივ-დედოფალთან ერთად მსხდომი ქალები მასთან ერთად ქვითინებდნენ და ოთახში ყველანაირ კილოსა და ხმაზე ისმოდა გულშემზარავი ტირილი. ოდნავ რომ მიჩუმდებოდა მოთქმა, ოთახში მყოფი ბუნებრივ მდგომარეობას უბრუნდებოდნენ, მაგრამ ყოველი შემდეგი ნათესავის გამოჩენა ანახლებდა წინანდელ სცენას...

ადათის მიხედვით, მიცვალებულის არც ერთი ნივთი დაუტირებელი არ უნდა დარჩენილოყო: არც ცხენის აღკაზმულობა, არც სამოსი, არც იარალი, არც სახლი; თვით სახლის ბანიც კი, თუკი განსვენებულს უყვარდა იქ დასვენება და მოცალეობის უამს განმარტოება.

შავი ჭირის გამო, რომელიც მაშინ საქართველოში მძინვარებდა, ორმოც დღეზე ადრე არ მოხერხდა, მეფური პატივით დაეკრძალათ ერეკლე II მცხეთის ტაძარში, საქართველოს მეფეთა ძველთაძველ აკლდამაში.

თელავის სასახლიდან გარდაცვლილი გადაასვენეს ღვთაების უძველეს ეკლესიაში, რომელსაც ოდესლაც შემოვლებული ჰქონია მტკიცე გალავნი.

„დღემდე ამ ტაძარში არსებობს საფარი, – წერს მოგზაური, – რომლის ქვეშაც ორმოცი დღე ესვენა დიდი მეფის – ერეკლეს ნეშტი“.


დაკრძალვის დღეს, დილაადრიან კუბოსთან იდგა „ტირილი და გოდება“. მთელი სამეფო კარი და დიდგვაროვანნი, ღრმა ძაძებში შემოსილნი, მონაწილეობდნენ სამგლოვიარო ცერემონიაში.

მედოლეებთან და სალამურზე დამკვრელებთან ერთად სამხედროები მიდიოდნენ განსვენებულთან გამოსამშვიდობებლად; მათ წინ მიუძღოდა საპარადო მოტირალთა „ორი გუნდი“, რომელთაც წინ მიუძღოდა შავებში შემოსილი ცერემონიასტერი. არტილერიის უფროსი და მთავარსარდლები,



თავშიშვლები, რიგრიგობით მიდიოდნენ კუბოსთან. მედოლეები და სალამურის დამკვრელი ახმოვანებდნენ ნაღვლიან მელოდიას და „გოდების შესრულების“ შემდეგ დახრილი დროშებით უპრუნდებოდნენ ცერემონიით განსაზღვრულ თავიანთ ადგილებს.

პროცესის გრძელი კორტეჯი მოჩანდა თელავის ქუჩებში. ყველაზე წინ იდგა არტილერია, დახრილი და გაშიშვლებული ხმლებით, მის უკან სიგრძივ გაჭიმულიყო დანარჩენი ჯარი; ჯარის შემდეგ იდგა ორი ჯალავდარი,\* რომლებსაც სადავით ეჭირათ ერთნაირად შეკაზმული ორი ცხენი. ორივე გამყოლი ქუდმოხდილი იდგა; ცხენებიდან ერთ-ერთზე გადაკიდებული იყო გარდაცვლილის იარალი, მეორეზე კი – მისი აბჯარი.



დანარჩენ პროცესის შეადგენდა:  
საჭურველთმტვირთველნი მშვილდა-ისრებით,  
საისრებითა და შუბებით, ხელჯოხიანები  
გადამტვრეული ტროსტებით, ხაზინადარნი,  
სამხედრო გადამწერნი, მოლარეთუზუცესნი ხელში  
ლანგრებით, რომელზედაც ელაგა გასაღებები  
ხაზინიდან; მდივნები, რომელთაც ეჭირათ  
სამელნები და გადამტვრეული კალმები; ისინიც  
მწყობრად იდგნენ გზის მარჯვნივ და მარცხნივ –  
ქუდმოხდილნი, მოწყენილნი და თვალცრემლიანნი.

ეკლესიასთან ახლოს თქვენ დაინახავდით მდივანბეგებსა და მსაჯულებს –  
ქართლელებს მარჯვნივ და კახელებს კი მარცხნივ. მათგან შორიახლოს იდგა  
პირველი გადამწერი, რომელსაც ეჭირა ვერცხლის ლანგარი ფარჩიანი ბალიშით,  
ზედ კი იდო კანონის წიგნი. კიდევ უფრო ახლოს ეკლესიასთან თქვენ შეხვდებოდით  
მანდატურთუზუცესებს მარჯვნივ, ხოლო მარცხნივ – საიდუმლო საბჭოს  
მანდატურთუზუცესებს, რომლებიც მთელი წლის მანძილზე თავს იკავებდნენ  
მცირეოდენი გართობისგანაც კი, იზრდიდნენ წვერს, ამ დროის განმავლობაში ბევრი  
ხორციანი საკვებისგანაც თავს იკავებდა.

უფლისწულებმა და მეფის ასულებმა ერეკლეს  
ნეშტი მცხეთამდე მიაცილეს.

თელავში დარჩა მხოლოდ გარდაცვლილის  
მეუღლე, დედოფალი დარეჯანი თანამოაზრებთან  
ერთად, რათა სისრულეში მოეყვანა თავისი  
ამბიციური ჩანაფიქრი.

განვლო ერეკლე II-ის მეფობის 52 წელმა.  
უხუცესმა გვირგვინოსანმა თავისი დღეები  
დაასრულა სასიკვდილო სარეცელზე...

ერეკლე II გარდაიცვალა მაშინ,  
როდესაც საქართველო აღა-მაჟმად-ხანის  
შემოსევებისა და სამეფო ოჯახში დაწყებული  
უთანხმოებისაგან გმინავდა.



ქვეყნისათვის საჭირო იყო, რომ მის სათავეში  
მოსულიყო ენერგიული, ისეთი მტკიცე ხასიათის კაცი,  
როგორიც გარდაცვლილი მეფე იყო...


სვეტიცხოველი.  
ალექსანდრე ივანიცის 1858 წლის ფოტო

\* – ცხენების გამხედვავი.



## მარკ ტვენი

1835-1910 წ.წ.



მარკ ტვენი

ამერიკული მწერალი მარკ ტვენი, იგივე სემუელ ლენდონი კლემენტი მრავალი წელი ამერიკულთა სანუელარი ოცნების - წარმატების სიმბოლოს წარმოადგენდა. თვითმხილველი ამტკიცებენ, რომ მთელი სამყაროს ტურისტები ამერიკაში ორი საოცრების - ნიაგარას ჩანჩქერისა და მწერალ მარკ ტვენის სანახვად ჩატიოდნენ.

მისი ნაწარმოებები: „ტომ სონიერის თავგადასავალი“, „უფლისწული და მათხოვარი“, „ჰექლბერი ფინის თავგადასავალი“, „მიამიტები საზღვარგარეთ“ გამოცემისთანავე აიტაცა მეითხველმა.

მწერალს არ მიუღია ბრძინვინვალე აკადემიური განათლება, მაგრამ ის ბავშვობიდან ეცნობოდა და სწავლობდა მთავარ წიგნს - ცხოვრებას. მოზარდობის ასაკიდან მუშაობდა სხვადასხვა პროფესიით - სტამბაში ასოთამწყობად, გემზე ლოცმანად, მაღაროში ვერცხლის მომპოვებლად; ჩაერერა სახალხო ლაშქარში - იბრძოდა სამოქალაქო ომში. ერთი ხანი იყო მასონთა ლოების წევრი, თუმცა ე.წ. „საძმოს“ ყოველთვის იუმორით ეკიდებოდა.

მარკ ტვენი ბევრს მოგზაურობდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში; იყო ბრძინვინვალე ორატორი, კითხულობდა ლექციებს აშშ-სა და ინგლისის რამდენიმე უნივერსიტეტში. მწერალი დიდ ფრის უთმობდა ახალგაზრდა ტალანტების მოძიებას, ეხმარებოდა მათ. მდიდარ ადამიანებსაც მოუწოდებდა, ქველმოქმედებაში დაეხარჯათ ფული.

მარკ ტვენი დაინტერესებული იყო ელექტრობითა და ტექნოლოგიებით. ამ ინტერესმა (რომელიც უკავშირდებოდა ფულსა და ინვესტიციას), იგი დაახლოვა უნგრელ ფიზიკს-გამომგონებელ ნიუოლა ტესლასთან, რომელსაც, თავის მხრივ, ძალიან უყვარდა ლიტერატურა.

ჰანიბალში (მისურის შტატი) შემონახულია სახლი, სალაც მარკ ტვენი თამაშობდა ბავშვობაში. ტურისტებს შეუძლიათ, დაათვალიერონ „ტომ სონიერში“ აღწერილი გამოიქვაბული.

**2020 წელს მარკ ტვენის დაბადებიდან 185 და გარდაცვალებიდან 110 წელი შესრულდა.**

### კომეტა გალეიის თანამგზავრი...

„მე ქვეყანას 1835 წელს კომეტა გალეიითან ერთად მოვევლინე“, – წერდა მარკ ტვენი...

მწერალი დაიბადა ფლორიდაში, მისურის შტატში. „ჩემი დაბადებით ფლორიდის მოსახლეობა 1%-ით გაიზარდა“, – ასეთი იუმორით აღნიშნავდა იგი ქალაქის მცირერიცხოვნობას.

მომავალი მწერლის მშობლები ვირჯინიისა და კერნუტის შტატებიდან იყვნენ. ოჯახს ჰქონდა ინგლისური და შოტლანდიური ფესვები. მამა, ჯონ მარშალ კლემენტი, პროვინციელი იურისტი, მეტად პირქუში და პედანტი კაცი იყო. სამწუხაროდ, იგი ადრე გარდაიცვალა და ოჯახს დაუტოვა საკმაო ვალები. დედა, ჯეინ ლემპტონი, რომელმაც 87 წლამდე იცოცხლა, მხიარული ხასიათით, ოპტიმიზმითა და იუმორის გრძნობით გამოირჩეოდა. ეს თვისებები და, აგრეთვე, ნიჭი ამბის საოცარი გადმოცემისა სემუელს დედისგან დაჰყენა.



მარკ ტვენის ბავშვობის სახლი (მისურის შტატი. აშშ.).

კლემენტს ჰყავდათ 7 შვილი, მათგან მხიარულ 4 – სემუელი, ორანი, ჰენრი და პამელა შერჩათ. როცა სემუელი 4 წლის იყო, ოჯახი ახალი, კარგი ცხოვრების საძიებლად გადავიდა ქალაქ ჰანიბალში. მოგვიანებით სწორედ ეს ქალაქი, მისი მაცხოვრებლები აღწერა მწერალმა თავის ცნობილ ნაწარმოებებში.

სემუელი ბავშვობაში ძალიან ცელქი და მხიარული ყოფილა, მაგრამ მისმა ბავშვობამ დიდხანს არ გასტანა. 12 წლის ასაკში, მამის გარდაცვალების შემდეგ, იგი სკოლიდან გამოიყვანეს. სემუელმა ძმის, ორანის სტამბაში ასოთამწყობად დაიწყო მუშაობა.



სიცოცხლით სავსე, თამაშის მოყვარული ბიჭუნასთვის ეს ადვილი არ იყო. არანაირი ანაზღაურება, მხოლოდ საჭმელი და გამონაცვალი ტანსაცმელი ეძლეოდა; ეძინა პირდაპირ იატაკზე. საოცარია, მწერლის ადრეული ბიოგრაფიაც წერასთან არის დაკავშირებული. ძმის დახმარების მიზნით სემუელი ხანდახან ყველაზე ცოცხალ საგაზეთო სტატიებსაც წერდა.

## წეოვრება მისი სიპრი

მწერლის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მდინარე მისი სიპრი გემის ლოცმანობა. „ნეტა იმ დროს, როცა ლოცმანი ვიყავი და გემებს დავატარებდი მისი სიპრი. ამქვეყნად ყველაფერი ამაოებაა, გარდა ლოცმანობისა“, – წერდა მარკ ტვენი.

მწერლის ლიტერატურული ფსევდონიმიც მდინარე მისი სიპრი ლოცმანად მუშაობას უკავშირდება. მარკ ტვენი (Mark Twain), რაც სანაოსნო გემებისთვის საკმარის სილრმეს ნიშნავს, ყველაზე ხშირად გაისმოდა გემზე.

მომავალი მწერალი, ჯერ კიდევ პატარა ბიჭი, მისი სიპრი ნაპირებზე დარბოდა; ნავსადგომებთან აყუდებული უსმერნდა იქ შეკრებილი ხალხის უხეშ ოხუნჯობებს. ამ ჭრელმა ბრბომვე მისცა მარკ ტვენს განათლება, რომელიც შეკში აგდებდა კეთილშობილურად აღზრდილ მასწავლებელ ქალებს. აქ მან უდიდესი ცხოვრებისეული გამოცდილება მიიღო. მდინარე მისი სიპრი გახდა მწერლის ბავშვური სამყაროს ღერძი.

გემზე ლოცმანად მუშაობისას აკვირდებოდა ადამიანებს, სწავლობდა მათ ხასიათებს; იხიბლებოდა და ტყებობდა ბჟუნების საოცარი სილამაზით. გემზე მუდამ თან ჰქონდა წიგნაკი, საღაც ინიშნავდა მოსმენილ თუ თავს გადამხდარ ამბებს. მაშინ, ალბათ, არც კი ფიქრობდა, თუ ეს ჩანაწერები რამეში გამოადგებოდა.



მარკ ტვენი. 15 წლის


## შემთხვევით მწერალი

„ლიტერატურა არასოდეს მიტაცებდა, მხოლოდ შემთხვევაშ ამაღებინა კალამი ხელში, მწერალი შემთხვევით გავხდი“, – ამბობდა მარკ ტვენი. თუმცა სტამბაში მუშაობისას სემუელი მიხვდა, რა დიდი ძალა ჰქონდა პრესასა და ლიტერატურას. 1861 წლიდან მუშაობა დაიწყო გაზეთ „ტერიტორიალ ენტერპრაიზში“ (აქ გამოიყენა პირველად თავისი ლიტერატურული ფსევდონიმი მარკ ტვენი).

თავისი პირველი მოთხოვა „ჯიმ სმაილი და მოხტუნავე ბაყაყი“ მარკ ტვენმა 30 წლის ასაკში, 1865 წელს დაწერა. ნაწარმოები ნლის საუკეთესო მოთხოვად აღიარეს, რამაც ძალიან გააკვირვა ავტორი. „ვერ გამიგია, რა ნახეს ამ მოთხოვაში?!“ – წერდა იგი დედას.

მომდევნო წლები მწერალმა მივლინებებში გაატარა. 1866 წელს გაზეთმა „საკრამენტო უნიონმა“ გაგზავნა ჰავაიზე, ხოლო გაზეთ „ალტა კალიფორნიას“ გამომცემელმა შესთავაზა ტურნე ამერიკის მასშტაბით, რომლის დროსაც კითხულობდა ლექციებს. შეიძლება, თამამად ითქვას – მისი ლექციები საოცრება იყო!


ამავე, 1866 წელს მარკ ტვენი პირველად ჩავიდა ევროპაში, იმოგზაურა ახლო აღმოსავლეთსა და რუსეთში, კერძოდ, ყირიმში. შთაბეჭდილებები გამოსცა წიგნად „გულუბრყვილოები საზღვარგარეთ“, რამაც დიდი წარმატება მოუტანა. და ისე, რომ არც ერთი წიგნი არ ჰქონდა გამოცემული, გახდა პოპულარული. ეს იყო ათვლის წერტილი, რამაც მთლიანად დააკავშირა მწერლობასთან.



წიგნი „ტომ სოიერის თავგადასავალი“



## წყალს ეჭანება ყველა



წიგნი „ჰეკლებერი ფინის  
თავგადასავალი“

„ტომ!.. პასუხი არ ისმის“, – ეს სიტყვები ერთხელ მაინც ყველას მოუსმენია ტელეეკრანიდან, ან წაუკითხავს ავტობუსის გაჩერებაზე დამონტაჟებულ ბანერზე. დიახ, ეს მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ბიჭუნა ტომ სოიერია, რომელმაც ყველა ადამიანის გულში შეაღწია და დიდსა თუ პატარას თავი დაამახსოვრა.

1875 წელს მარკ ტვენმა გამოსცა „ტომ სოიერის თავგადასავალი“, რომელიც დღემდე მის ყველაზე პოპულარულ ნაწარმოებად რჩება და მილიონობით ეგზემპლარი იყიდება.

„ჩემი ჩანაფიქრია, მსუბუქად შევახსენო უფროსებს, როგორები იყვნენ ისინი თავად ოდესლაც“, – წერს წინასიტყვაობაში ავტორი. მარკ ტვენი გვახსენებს იმასაც, რომ ჩვენც ოდესლაც უფრო უკეთესები ვიყავით, ვიდრე ახლა ვართ.

ტომ სოიერის ბედნიერი, სუფთა სამყარო ნაჩვენებია საადვოკატო კანტორების, სკოლებისა და ეკლესიების პირქუშ ფონზე, სადაც ბავშვებს დადარაჯებული უფროსები ჩასაფრებიან. ტომ სოიერი, რომელმაც თავდაცვის საშუალებებს პრაქტიკულობა და უზარმაზარი შემოქმედებითი ნარმოსახვა შეუთავსა, ამერიკელი ბავშვების თაობებისთვის სანიმუშო გახდა.

„ტომ სოიერის“ გაგრძელებაში, „ჰეკლებერი ფინის თავგადასავალი“ კიდევ უფრო მუქდება უფროსების სამყაროს მრუმე ჩრდილი.

ყველაფერი მისურის შტატის გამოგონილ ქალაქ სანკტ-პეტერბურგში იწყება. თავად ამ ქალაქის პროტოტიპი რეალურად არსებული ქალაქი პანიპალია (სწორედ აქ გაატარა ბავშვობა მარკ ტვენმა). პატარა, დაკონკილი ჰეკი განდევნილად ცხოვრობდა, ვიდრე ნაპოვნმა საგანძურმა არ მიიყვანა დუგლასის ქვრივის ცივილიზებულ, მაგრამ აკრძალვებით სავსე სახლში. მაგრამ ჰეკლებერი ფინისთვის, რომანის მთავარი გმირისა და მთხოვნელისთვის ისე, როგორც ტომ სოიერისთვის, წარმოუდგენელია ერთ ადგილზე გაჩერება. ის ისეთია, როგორც თავად ქვეყანა, რომლის გაჩერებაც შეუძლებელია.

საერთოდ, ეს წიგნი გაქცევაზეა; სწორედ ამიტომაცაა ყველაზე ამერიკული ნაწარმოები, თავისუფლებისადმი მიძღვნილი ოდა. ნაწარმოებში არის ერთ-ერთი გამორჩეული პასაჟიც, როდესაც ჰეკი აცნობიერებს, რომ ადამიანის კანის ფერს მნიშვნელობა არ აქვს; 13 წლის ბიჭი ძალიან სწრაფად ერკვევა იმაში, რის გასაგებადაც კაცობრიობას საუკუნეები დასჭირდა!

ჰეკთან ერთად რომანის მთავარი პერსონაჟი მდინარე მისისიპია, რომელიც სრულიად წარმოუდგენელია ევროპასა და ევროპულ ლიტერატურაში. ამიტომაც ამბობდა მარკ ტვენზე ფოლკნერი, რომ „იგი იყო პირველი ჭეშმარიტად ამერიკელი მწერალი“, ხოლო ჰემინგუეის თქმით, „მთელი ამერიკული ლიტერატურა „ჰეკლებერი ფინის თავგადასავლიდან“ მოდის“. როგორც თვითონ მარკ ტვენი ამბობდა: „ჩემი ნაწარმოები წყალია, გენიოსებისა – ლვინო; წყალს ეტანება ყველა.“



ოლივია ლენგდონი,  
მარკ ტვენის მეუღლე

## ოჯახური ტეივილები

1870 წელს მარკ ტვენი დაქორწინდა ქალაქ ელმირში მცხოვრებ ოლივია ლენგდონზე. მწერალი ეთაყვანებოდა ქალს, სწრდა წერილებს. ნიშნობიდან ერთი წლის შემდეგ კი ელმირში შედგა მათი ქორწილი.

ახალდაქორწინებულები საცხოვრებლად გადავიდნენ ქალაქ ბუფალოში, ოლივიას მამის მიერ ნაყიდ სახლში. პირველი შვილი – ლენგდონი, დღენაკლული დაიბადა.

ამ დროს ოლივია ტიფით დაავადდა; ამიტომ იძულებული გახდნენ, დაბრუნებულიყვნენ ელმირში. ოლივია გამოჯანმრთელდა, ხოლო ლენგდონი 2 წლის ასაკში დიფტერიით დაიღუპა. შემდეგ შეეძინათ სამი ქალიშვილი: სიუზენი, კლარა და ჯეინი.



ოლივიასთან ქორნინებამ მწერალი მატერიალურად უზრუნველყო, მაგრამ ვერ მოუტანა პირადი ბედნიერება. მისი ოჯახური ცხოვრება იყო „მოსაწყენი, როგორც კვირა დღე“. ოლივია, ღრმად მორწმუნე კათოლიკე, სულ ცდილობდა, ქმარი თავის რწმენაზე მოქმედია; თან, განსხვავებული აღზრდა და საზოგადოებრივი სტატუსი, მიუხედავად მარკ ტვენის პოპულარობისა, სულ აჩრდილივით იდგა ცოლ-ქმარს შორის.

სემუელ კლემენტის მარკ ტვენი 1871 წელს კლემენტის გადავიდნენ ჰარტფორდში, თავიანთი ფულით აშენებულ 19 ოთახიან

სასახლეში (დღეს მწერლის სახლ-მუზეუმი). მაგრამ საყვარელი ქალიშვილის, სიუზენის მენინგიტით გარდაცვალების შემდეგ მწერალი იქ აღარ დაბრუნებულა.

მალე გულის ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა ოლივია, რამაც დეპრესიაში ჩააგდო მწერალი. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მკვეთრად გაუარესდა ტვენის ფინანსური მდგომარეობაც, მისი საგამომცემლო კომპანია გაკოტრდა; თუმცა მწერალს ერთგვარ მხსნელად და მეგობრად მოევლინა ნავთობმაგნატი ჰენრი როჯერსი. მარკის გავლენით ჰენრი ნამდვილ ქველმოქმედად იქცა.

ნერვული აშლილობით იტანჯებოდა კლარაც, მწერლის შუათანა ქალიშვილი (დაქორნინებული იყო რუს მუსიკოს იოსიფ გაბრიელოვიჩზე; მისგან ჰყავდა ქალიშვილი, რომელსაც შთამომავლობა არ დარჩენია); ხოლო როცა ეპილეფსით დაავადებული ნაბოლარა ჯეინიც მკვდარი იპოვეს აპაზანაში, მარკ ტვენის სიცოცხლეც დასასრულს მიუახლოვდა.

„მე კომეტა გალეისთან ერთად მოვედი და მასთან ერთად გამგზავრებას ვაპირებ“, – სიკვდილამდე ერთი წლით ადრე განაცხადა მწერალმა. ეს ასეც მოხდა. 1910 წლის 21 აპრილს სემუელ ლენპორნ კლემენტი, იგივე მარკ ტვენი 74 წლის ასაკში სტენოკარდიით გარდაიცვალა.



მარკ ტვენი ოჯახთან ერთად

## გრძნული წილაჭერი ირონიის ელფერით

ნებისმიერი ხსენება პრესაში, გარდა ნეკოლოგისა - რეკლამაა.

ყველაზე უარესი მარტობა - როცა ადამიანი საკუთარ თავთან თავს არაკომფორტულად გრძნობს. სიგარეტისთვის თავის დანებება ადვილია - მე ეს თითქმის ასჯერ გავაკეთე.

იმ ადამიანებს ერიცეთ, ვინც საკუთარი

რჩმენის დაკარგვისაკენ გიბიძებთ.

მოლით, მადლობა ვეთხრათ სულელებს, რადგან, რომ არა ისინი, დანარჩენებს ნარმატების მიღწევა ძალიან გაუჭირდებოდა.

თუ ფული გჭირდება, უცხოსთან წალი, თუ რჩევა - მეგობრებთან, ხოლო თუ არაფერი - ნათესავებთან.

თქვენ გჭირდებათ მხოლოდ უვიცობა და თავდაჯერებულობა და წარმატება გარანტირებული გაქვთ.

კლასიკა ისაა, რაც ყველას უნდა, წაკითხული ჰქონდეს, მაგრამ არავის უნდა მისი წაკითხვა.

ბანკირი ის ადამიანია, რომელიც სიამოვნებით გათხოვებთ ქოლგას, როცა ცა მოწმენდილია და ნაგართმევთ იმავე ქოლგას, როცა წვიმს.

ჰატარა წერილის დაწერისთვის ლრო არ მყოფნის, ამიტომაც დიდ წერილებს ვწერ.



მარკ ტვენის სახლ-მუზეუმი ჰატარა



1. ჩვენამდე მოღწეული ქართული წარწერებიდან რომელია უძველესი:

- ა) ბეთლემის (იერუსალიმის) ქართული წარწერა.
- ბ) ბოლნისის სიონის წარწერა.
- გ) მცხეთის ჯვრის წარწერა.

2. რუსი ქალების ეროვნული ტანსაცმელი „სარაფანი“ სადაური წარმოშობისაა?

- ა) რუსული.
- ბ) სპარსული.
- გ) ფრანგული.

3. ევროპელებმა პირველად როდის და რა ენაზე გაიცნეს „ვეფხისტყაოსნის“ ფრაგმენტები და ვინ თარგმნა იგი?

- ა) გერმანულად, არტურ ლაისტმა.
- ბ) ფრანგულად, მარი ბროსემ.
- გ) ინგლისურად, მარჯორი უორდროპმა.

4. რას ნიშნავს „ალია“ ეპრაულად?

- ა) გამარჯვებისთვის ბრძოლას.
- ბ) გადასახლების პროცესს.
- გ) მომავალზე ფიქრს.

5. რუსეთის 14 იმპერატორიდან რამდენი იყო ქალი?

- ა) 2.
- ბ) 3.
- გ) 4.



7. ვინ არის ფილმ „ჯარისკაცის მამის“ სცენარის ავტორი?

- ა) სულიკო ულენტი.
- ბ) სიკო დოლიძე.
- გ) გუგული მგელაძე.

6. რომელმა გენერალმა წარმოსთქვა ეს სიტყვები:

- „ყველა ჩემი ჯარისკაცის ზურგჩანთაში მარშლის კვერთხი დევს.“
- ა) ალექსანდრე მაკედონელმა.
  - ბ) ნაპოლეონ ბონაპარტემ.
  - გ) ალექსანდრე სუვოროვმა.

8. ლექსის ეს სტრიქონები რომელ პოეტს ეკუთვნის: „ავადმყოფობა ეგონათ, ბიჭო, ლექსები, ტანზე გამონაყარი“.

- ა) პაოლო იაშვილს.
- ბ) ტიციან ტაბიძეს.
- გ) ნიკო სამადაშვილს.

9. რომელი ცნობილი იმპრესიონისტი მხატვრის ნახატია „ფლეიტისტი“? (1866 წ. ორსეს მუზეუმი, პარიზი).

- ა) ედუარდ მანესი.
- ბ) კლოდ მონესი.
- გ) პიერ ოგიუსტ რენუარის.





## საქართველო

<b>კაბელაშვილი</b>	"საცი ტაძარის"
ქეთევან იაშვილი – ქალბატონი, რომელსაც უნდა იცნობდეს ქართველი ერი ..... 3	დავით კრაჭაშვილი ლექსები ..... 30
<b>პროცესი</b>	ო, ცავ ჩამ ..... 32
ოთარ ჩხეიძე შემოზამთრება ..... 4	<b>ცენტრ მამობახს</b> ზაურ ბედია „შეიძლებოდა, ეს ბარათი არასოდეს მომენტია“ ..... 34
<b>ახალი მაფის დაბალიღიან 300 ნივთავი</b>	<b>"სიბერი სისხისა"</b> ნუნუ ჯანელიძე იგავები ..... 36
ლიანა თანდილაშვილი ერეკლე II უცხოელთა ჩანაწერებში ..... 7	ახალი მაფის დაბალიღიან 300 ნივთავი „ბატონის ციხის“ საოჯახო ექსპონატები ..... 37
<b>ზოვისას იალინი</b> ..... 10	<b>თაბებაზი</b> ნინო სტრონი სტვენა ორი თითით ..... 40
<b>ჩათანას საკათვებოს ვაძა</b>	<b>კვეყნის ლ შასისივანი</b> მონაკოს სამთავრო ..... 44
ფრანგესკო ტრეჩი ქართული გენის ღრმა სულის აღმოსაჩენად ..... 12	<b>ლაფიონი</b> მანუჩარ მუშკუდიანი ვარდა ..... 48
<b>იმის ნახევრი</b> ..... 17	<b>ახალი მაფის დაბალიღიან 300 ნივთავი</b> ნიკოლოზ დუბროვინი ერეკლე მეფის გარდაცვალება და დაკრძალვა ..... 50
<b>პირი ელექტრონი</b>	<b>ჩრდილო ბზა ბავშვობიან</b> მარკ ტვენი ..... 54
აფხაზეთში მოღვაწე წმინდა მამები ..... 18	<b>ლავახახი სალახეას</b> ..... 58
<b>ახალი მაფის დაბალიღიან 300 ნივთავი</b>	
კრწანისის პრძოლიდან გასულია 225 წელი ..... 20	
<b>ზოგადი იღებისთვის</b>	
ნანა ჭარტურია დედის სხივუკები ..... 23	
<b>ფინანსი მომავალი შიგნილა</b>	
გიგლა გობეჩია 1001 ქართული ხასიათის ქრონიკა ..... 26	

**ჩვენი მისამართია:**

ქ. თბილისი, უზნაძის ქ. № 68.  
ტელ.: (+995) 598 93 92 84;  
(+995) 599 12 66 80;

ელ-ფოსტა: jurnali.ialqani@gmail.com

იალქანი № 3 (47). 2020 წ.

აფქიო № 3 (20). 2020 წ.

ტირაჟი: 300 ც.

ფასი სახელშეკრულებო

„ՏԵՐԵՆԴԱԿԱՆ ՊՈՅԱՐԱ”, ԵՍԱԳՐՈՎ ԱՄԵՐԻԿԱ. 12 ՓԼԱՆ. ԱՐԵԱՆ

D.M.

